

ორ ფრონტზე მებრძოლი ლუკაშენკო

A2



ორი მსოფლმხედველობა ალმა მატერში

A5



რუსების კინომისიონერობა

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — პარასკევი, 9 ივნისი, 2006 წელი. №126 (1278) — ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## პოლიტიკა

### კრიზისი აშშ-სა და გაერო-ს ურთიერთობებში

გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენლის ჯონ ბოლტონის გამოსვლის შემდეგ ექსპერტები ოფიციალურ ვაშინგტონსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის ურთიერთობების დაძაბვის შესახებ ალაპარაკდნენ.

A3

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

**"SLP-01F", "კასპი-02ფ" და "მერკური-180ფ"**

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 9/06 | 10/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 35 |
| ტყიბული | 33 | 28 |
| სოხუმი | 27 | 25 |
| გორი | 31 | 30 |
| ონი | 26 | 23 |
| ზუგდიდი | 34 | 28 |
| ახმეტა | 35 | 35 |
| გაგრა | 26 | 23 |
| სამტრედია | 35 | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7885 |
| ევრო | 2.2825 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3032 |
| რუბლი | 0.0665 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# „ქაჯები", ამერიკის ელჩი და ტესტი დემოკრატიაში

სოფო ბუკია

მომავალი არჩევნები რომ „ზღაპრული" იქნება, ამას უკვე ის ლექსიკა მოწმობს, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გაჩნდა.

„ქაჯები," - ასე უწოდა სალომე ზურაბიშვილმა თბილისის მერობის ერთიანი კანდიდატის მაძიებელ ოპოზიციას და ამით ორიგინალური სულაც არ იყო.

ამჯერად, ზურაბიშვილის ლექსიკონის თანახმად, ქაჯი არის ადამიანი, რომელიც „მეორე ადამიანს გაერთიანებისკენ მოუწოდებს ისე, რომ მას არც გასინჯავს".

**„მე ვალდებული ვარ ჩემი ამომრჩევლის წინაშე,"** - აცხადებს სალომე ზურაბიშვილი და დანარჩენ ოპოზიციასთან გაერთიანებაზე უარს ამბობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დიდი ფეხბურთის ერთი თვე

C



# GG&MW შეღავათებს ითხოვს

### ბენდუქიძე კომპანიის წინადადებას იწუნებს

B

*"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" - GG&MW მთავრობისგან დღე-ღამეში ლიცენზიით გათვალისწინებული მინერალური წყლის ჩამოსხმის შემცირებას ითხოვს, რისი დაკმაყოფილება სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს არასწორად მიაჩნია. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე სწორედ ამ საკითხზე მსჯელობდნენ, თუმცა ის კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა.*



# სუვერენიტეტის ხედვა დასავლეთიდან, მოსკოვიდან და კიევიდან

### მოსალოდნელი ძვრების მიუხედავად, უკრაინა და საქართველო ნატო-სკენ მაინც მიისწრაფვიან

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პიერ ლელუშის თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ნეგატიური განცხადებები, ალიანსში უკრაინის შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება რუსეთსა და ნატო-ს შორის 1997 წელს დადებულ შეთანხმებას.

როგორც ცნობილია, ლავროვის მიერ ოთხშაბათს გაკეთებული შეფასებით, ნატო-ში უკრაინისა და საქართველოს შესვლა „კოლოსალურ გეოპოლიტიკურ ძვრებს" გამოიწვევს. „ასეთი ნაბიჯის შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენ უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების მიმართება იმ ქვეყნების ინტერესებთან, რომლებიც ჩვენ გვიყურებენ, როგორც პრივილეგირებულ პარტნიორებს," - აღნიშნა რუსმა მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას.

ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში ლელუშმა კომენტარი გაუკეთა ლავროვის განცხადებას და შენიშნა, რომ გაოცებულია მისი არსით. **„მე ხაზს ვუსვამ ერთ წინააღმდეგობას - რუსეთსა და ნატო-ს შორის გაფორმებული შეთანხმება მკაფიოდ აღიარებს ყველა ევროპული ქვეყნის უფლებას, აირჩიოს მოკავშირეები და ის ორგანიზაციები, რომელში გაწევრიანებაც სურს, აგრეთვე განახორციელოს ეს არჩევანი სუვერენულად,"** - განაცხადა ლელუშმა.

ის, რომ რუსეთს არ მოსწონს აღმოსავლეთით ნატო-ს გაფართოება, არც ევროპისთვის და არც შეერთებული შტატებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. **„მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეეწინააღმდეგება რუსეთი ნატო-ში უკრაინის შესვლას ისე, „ცივი ომის" მეთოდებს რომ არ დაუბრუნდეს,"** - ამბობს ასამბლეის ხელმძღვანელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ერაყელი ტერორისტები ლიდერის გარეშე დარჩნენ

### აბუ მუსაბ აზ-ზარქავის ლიკვიდაციას მსოფლიო სიხარულით ხვდება

თეა მაისურაძე

გუშინ ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური მალიკიმ პრესკონფერენციაზე მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ალ-ქაიდას ლიდერი აბუ მუსაბ-ზარქავი საჰაერო სროლის დროს ბაქუბაში დაიღუპა: „ჩვენ მიერ ლიკვიდირებულ იქნა სამხედრო ლიდერი", განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა. გავრცელებულ ინფორმაციას აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციაც ადასტურებს.

ერაყში აშშ-ს შეიარაღებული ძალების ლიდერმა, გენერალმა ჯორჯ კასეიმ განაცხადა, რომ ზარქავი საჰაერო რეიდის დროს ქალაქ ბაქუბას ჩრდილოეთ ნაწილში მოკლეს. აღნიშნული ოპერაციის დროს ალ-ქაიდას ლიდერის თანამოაზრეებიც დაიღუპნენ. ჯორჯ კასეის განცხადებით, ტერორისტის ცხედრის იდენტიფიცირება თითის ანაბეჭდების, სახის ამოცნობით და სხვა გავრცელებული მეთოდებით მოხდა. მისივე თქმით, მომხდართან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია შემდეგ დღეებში გახდება ცნობილი.

აღნიშნული ცნობის გავრცელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ზარქავის სიკვდილის შესახებ განცხადება გააკეთა „ალ-ქაიდა"-მაც. ტერორისტული ორგანიზაციის ვებ-გვერდის საშუალებით მიმდევრები უსამა ბინ-ლადენს ჰპირდებიან, განაგრძონ დაღუპულის საქმე და შური იძიონ მისთვის. გარდა ამისა, ტერორისტები ოპერაციის დეტალებსაც ჰყვებიან - როგორც ვებ-გვერდზეა ნათქვამი, ამერიკული რაკეტა მოხვდა სახლს, სადაც აზ-ზარქავი და მისი ახლობლები იმოფებოდნენ.

ერაყში აშშ-ს ელჩის, ზალმაი ჰალილზადის განცხადებით, **„აზ-ზარქავის სიკვდილი არის დიდი წარმატება ერაყელებისათვის და ასევე წინგადადგმული ნაბიჯია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზარქავი იყო ერაყში ტერორისტული აქტების მთავარი ორგანიზატორი. თუმცა, საეჭვოა, რომ მისი სიკვდილი გახდეს ძალადობის მოსპობის საფუძველი ერაყში"**.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყოფილი პრემიერ-მინისტრის სასამართლო პროცესი

*ასლან აბაშიძის ხელისუფლების ერთ-ერთი პრემიერ-მინისტრი, ედუარდ კაკაბაძე საკანში ზის და სასამართლო პროცესის დასრულებას ელოდება. მას ბრალად ედება თაღლითური ჯგუფის შექმნა. დაკავებულის ადვოკატის, რამინ პაპიძის განცხადებით, გამოძიება ცდილობს, აღნიშნული საქმე საპროცესო გარიგებით დაასრულოს. თავად კაკაბაძე კი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და გარიგებაზე წასვლას არ აპირებს.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

ედუარდ კაკაბაძე ასლან აბაშიძის ხელისუფლების მორიგი წარმომადგენელია, რომელიც „აჭარის რევოლუციის" შემდეგ ბათუმის მე-3 საპყრობილეში მოხვდა. მანამდე ასეულობით ჩინოვნიკი და ბიზნესმენი სამართალდამცველებმა მძიმე ბრალდებებით დააკავეს, მაგრამ მათი უმეტესობა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მალევე გაათავისუფლეს.

აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ედუარდ კაკაბაძე სამართალდამცველებმა გასული წლის დეკემბერში დააპატიმრეს. მას ბრალად აჭარის ფინანსთა მინისტრ დავით აბაშიძესა და ცოტნე ბაკურიასთან ერთად, თაღლითური ჯგუფის შექმნა ედება. წაყენებული ბრალის მიხედვით, კაკაბაძემ ბათუმის საგადასახადო ინსპექციის უფროსს აკაკი წერეთელს ფირმა „სანდოს" დარეგისტრირება დაავალა, რომელსაც, როგორც გამოძიებიდან ჩანს, აღმოაჩნდა ყალბი 14-მილიონიანი ავიზო. აქედან, შპს-ს დირექტორმა ვლადიმერ ფოფხაძემ 960 ათასი ლარის ღირებულების აქციზური მარკების გატანა მოახერხა.

კაკაბაძის ადვოკატის რამინ პაპიძის განცხადებით, განსასჯელს გულის ქირურგიული ოპერაცია აქვს გადატანილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# აჭარის მთავრობა უმაღლესი საბჭოს დადგენილებებს არ ასრულებს

გუშინ აჭარის უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესია დაიხურა. ამის შესახებ საბჭოს ბიუროს სხდომაზე გამოცხადდა. უმასლლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მალხაზ სიორიძის განცხადებით, ზაფხულში მუშაობა ჩვეულებრივი რეჟიმით გაგრძელდება: **„დაგეგმილია რამდენიმე რიგგარეშე სესია. ასევე იქნება ბიუროს სხდომები. კომიტეტები კი ჩვეულებრივ რიტმში გააგრძელებენ მუშაობას“.**

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე კრიტიკული იყო აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომრის, ზურაბ მიქელაძის გამოსვლა. მისი განცხადებით, უმაღლესმა საბჭომ კანონები და დადგენილებები არა მარტო უნდა მიიღოს, არამედ მათ შესრულებაზეც უნდა დაამყაროს კონტროლი, რადგან აჭარის მთავრობა მათ ხშირად უგულებელყოფს: **„სად წაიღო მთავრობამ ჩაის რეაბილიტაციისათვის გამოტანილი ჩვენი დადგენილება? რატომ შეჩერდა მიწის რეფორმა, როცა საქართველოს პარლამენტმა ჩვენი საკანონმდებლო ინციატივა მიიღო და აჭარაში რეფორმის დასრულებისათვის მიწის პრივატიზაციის პროცესი გარკვეული ვადით ამის გამო შეაჩერა? თუკი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საამისოდ ჯეროვან ზომებს არ მიიღებს, უნდა დავაყენოთ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი“.**

*24 საათი*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედია პროექტი რადიო „უცნობის“ ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ნინია კაკაბაძეს. გადაცემის სტუმრები არიან კინომცოდნე გოგი გვახარია და კრიტიკოსი დავით ბუხრიკიძე.*

**ნინია კაკაბაძე:** ბევრი მსმენელი ფიქრობს ალბათ, რა დროს ხელოვნებაა, როდესაც ქვეყანა თავზე გვენგრევაო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე. ცოტა ხნის წინ, კანის საერთაშორისო კინოფესტივალს გოგი გვახარია ესწრებოდა. პარალელურად კი, ბერლინში თეატრალურ ფესტივალს - დავით ბუხრიკიძე. უპირველეს ყოვლისა, მინდა დათოს ვთხოვო, რომ თეტრალური ფესტივალის შთაბეჭდილებები გაგვიზიაროს ...

**დავით ბუხრიკიძე:** პირველ რიგში, დავიწყებ იქიდან, რომ თეატრი წარმოადგენს უნივერსალურ საშუალებას, არა მარტო კულტურული, არამედ კონტაქტის თვალსაზრისითაც. თეატრი ყველაზე ცოცხალი ხელოვნებაა, მაგრამ, ამავე დროს, მას აქვს ერთი ბარიერი, ანუ სიტყვა, ენა. კინო კი, ამ მხრივ, უფრო უნივერსალურია. რაც შეეხება თვითონ ფესტიველს, იგი დაარსდა 1964 წელს. მოგეხსენებათ, რომ ბერლინი 1961 წელს გაიყო და მთელი კულტურა აღმოსავლეთში დარჩა. შესაბამისად, დასავლეთი მხარე, თეატრის გარეშე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, დაჩქარებული ტემპებით დაარსდა „დოიჩოპერა“ და ამას მოჰყვა „ფესტივალჰაუზი“, რომელიც დასავლეთ მხარეში მდებარეობს და სპეციალურად, აღნიშნული ფესტივალისთვის აშენდა. აქედან მოყოლებული, ფესტიველი ყოველ წლის მაისში ტარდება. ეს პერიოდულობა განაპირობებს გარკვეულ მოლოდინსაც, რომ ფესტივალისას აუცილებლად იქნება საინტერესო შეხვედრები და ჩარჩოებიც. თუმცა, ჩარჩოს არღვევს ის, რომ კლასიკური თანამედროვე თეატრი წარმოდგენილი უნდა იყოს, მხოლოდ ორიგინალური ფორმით. ამაში იგულისხმება ის, რომ სამეტყველო ენა მხოლოდ გერმანულია. ფესტივალში მონაწილეობენ თეატრები ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან და ლუქსენბურგიდან.

**ნ.კ.** ეს ყოველთვის ასეა?

**დ.ბ.** კი ასეა, თუმცა ერთი სპეციფიკაც არის, რომ აუცილებლად თორმეტი სპექტაკლია. თორმეტი უცვლელი ციფრია.

**ნ.კ.** წელს ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა?

**დ.ბ.** ყველაზე მნიშვნელოვანი შექსპირი და ჩეხოვი იყო. განსხვავებით წინა ორი ფესტივალისაგან, წელს უფრო კონსერვატული მიდგომა იყო.

**ნ.კ.** გოგი გვახარიას მინდა, რომ დავუსვა კითხვა, როგორია გოგი, სახელოვნებო და შემოქმედებითი ცხოვრება დასავლეთში? ჩემთვის ყველაზე თვალში საცემი იყო მაყურებლის ინტერესი...

**გოგი გვახარია:** გული მწყდება, რომ კანის ფესტივალიდან ჩამოსულს, მისვამენ კითხვებს: ვნახე თუ არა ლეონარდოს კოდი, ან პენელოპა კრუზი ცოცხლად და ა.შ. სწორედ, ამ კითხვების გამო არის შეუძლებელი, რომ ჩვენთან ჩატარდეს ისეთი ფესტივალი, როგორიც კანის ფესტიველია. თუმცა, ეს არ არის ჩვენი საზოგადოების ბრალი. იქ, სადაც ქვეყანა ინგრეოდა, კულტურა ვითარდებოდა... შემდეგ კი კულტურა არჩენდა ქვეყანას.

**ნ.კ.** მაინტერესებს გადარჩენილია თუ არა თანამედროვე ქართული ხელოვნება?

**გ.გ.** მინდა გითხრათ, რომ როდესაც ფრანგული კინო საშინელ კრიზისში იყო, მოვიდა ერთი ძალიან კარგი კაცი, ანდრია ბაზენი თავის მოწაფეებთან ერთად და თქვა: მოდით, ჩვენ გამოვუშვათ ჟურნალი... ამაზე მას ეკითხებოდნენ, რატომ უნდა გამოვუშვათ ჟურნალი, როდესაც კინო აღარ არსებობს? ამაზე მისი პასუხი ასეთი იყო: ჩვენ უნდა გამოვუშვათ ჟურნალი, რომელიც პროვოცირებას გავუკეთებთ იმას, რომ კინო გაცოცხლდეს. სწორედ, ერთ 10 დღეში საქართველოში გამოვა ახალი ჟურნალი „კინო“. ამ ჟურნალში იქნება რუბრიკა, რომელიც მე ძალიან მომწონს და ამაყი ვარ ამით. ამ რუბრიკას „პერსონაჟები ფილმისთვის“ და „პრობლემა ფილმისთვის“ ერქმევა. ანუ ჩვენ ვთავაზობთ კინორეჟისორებს, რომელთაც ამ ეტაპზე სძინავთ , ცოტა გაიხედგამოიხედონ და დაინახონ, რა ხდება ამ ქვეყანაში.


## დაინტერესებულ პირთათვის

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ზღვისპირა პარკი" გაუქმებულად აცხადებს 2006 წლის 6 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ზღვისპირა პარკი აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს დაინტერესებულ პირებს.**

*სატენდერო კომისია*



**ამა წლის ივნისის თვეში კარდიოლოგიური კლინიკა "გრანდი", ფრანგული ფარმაცევტული კომპანია "სერვიეს" მხარდაჭერით, გთავაზობთ სტაციონარულ მკურნალობას 20%-იანი ფასდაკლებით. მკურნალობა ტარდება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.**

**კლინიკა "გრანდის" კარდიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, *პროფესორი მერაბ ბოხუა***
**მისამართი: ჭავჭავაძის 5**
**(ყოფილი ლეჩკომბინატის შენობა)**
**ტელეფონი: 22 44 29**


# ორ ფრონტზე მებრძოლი ლუკაშენკო

დიმიტრი ავალიანი

*ბელარუსი რუსეთის შემადგენლობაში არასდროს შევა, - ასეთი კატეგორიული განცხადება ბელარუსის კოლორიტულმა პრეზიდენტმა გააკეთა, რომელიც, იმავდროულად, დასავლეთის დიპლომატიურ შეტევებს „საპასუხო ზომებით“ იგერიებს.*



როგორც ალექსანდრ ლუკაშენკომ გუშინ განაცხადა, მინსკი კვლავაც რუსეთთან ინტეგრაციის იდეების ერთგულია, თუმცა, გარკვეულ საკითხებში მისი პოზიცია შეუვალია. კერძოდ, ბელარუსი რუსეთის შემადგენლობაში არასდროს შევა. **„ჩვენ ეს არ გვჭირდება. ბელარუსი ლამაზი და თვითკმარი ქვეყანაა,“** - მიაჩნია ლუკაშენკოს.

გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი ორი სახელმწიფოს საერთო ვალუტის შემოღებაზე. **„ვალუტის საკითხი უნდა განისაზღვროს საკავშირო სახელმწიფოს საკონსტიტუციო აქტში, რომელიც რეფერენდუმის გზით უნდა მივიღოთ,“** - განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის პრეზიდენტის კატეგორიულობა ერთგვარი პასუხი გახდა პუტინის არაოფიციალურ განკარგულებაზე, რომელიც, რუსული მედიის ცნობით, ბელარუსის ეკონომიკის ყოველგვარი სუბსიდირების შეწყვეტას ითვალისწინებს. „გაზპრომი“ აპირებს ბელარუსს 2007 წლიდან გაზი ათას კუბურ მეტრში 230 აშშ დოლარამდე გაუძვიროს (დღევანდელი 60 დოლარის ნაცვლად). ეს კი ბელარუსის „თვითკმარი“ ეკონომიკისაგან ქვას ქვაზე აღარ დატოვებს.

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ რუსეთის ეკონომიკური ზეწოლა მოკავშირე ბელარუსზე მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ლუკაშენკოს დათანხმებას ქვეყნის გაზის ინფრასტრუქტურის რუსეთისათვის გადაცემაზე, მეორე მხრივ კი, ორი ქვეყნის ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას, თანაც მოსკოვის მიერ ნაკარნახევი პირობებით. ლუკაშენკომ კი მოსკოვს მიანიშნა, რომ პირობებს, ყველაფრის მიუხედავად, თავად წააყენებს.

იმავდროულად, ლუკაშენკომ გუშინ დასავლეთის პრეტენზიებსაც უპასუხა. ევროკავშირის მიერ ბელარუსის თანამდებობის პირებისთვის მის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვის ანალოგიურად, ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „განსაკუთრებით ოდიოზურ“ ევროპელ და ამერიკელ ჩინოვნიკებს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლა აუკრძალა. თუმცა, „ოდიოზურთა“ სიაში მოხვედრილთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

სანქციები ბელარუსი ჩინოვნიკების, მათ შორის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ, ევროკავშირმა ორი თვის წინ შემოიღო და გაურკვეველია, საპასუხო ნაბიჯის სურვილი ბელარუსს მაინცდამაინც ახლა რატომ გაუჩნდა. ისიც უცნობია, გასჩენიათ თუ არა საერთოდ ბელარუსის მონახულების სურვილი „შავ სიაში“ მოხვედრილ ევროპელებსა და ამერიკელებს.

# მრგვალი მაგიდა „თავისუფლების ინსტიტუტში“

*არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტმა“ გუშინ რამდენიმე კვლევის შედეგი წარმოადგინა, რომელიც თვითმმართველობის რეფორმის როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებსა და ევროპულ-ამერიკული თვითმმართველობის მოდელებს შეეხებოდა.*

ნათია მსხილაძე

„თავისუფლების ინსტიტუტის“ ოფისში გუშინ გამართულ შეხვედრას პარლამენტის წევრები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„თავისუფლების ინსტიტუტმა“ საქართველოს მსგავსი ქვეყნების მონაცემების მიხედვით მომზადებული სამი კვლევა წარმოადგინა: „მმართველობის მოდელები და ადგილობრივი თვითმმართველობები“, „სახელმწიფოების თვითმმართველი ერთეულის ზომა“ და „ზედამხედველობა ადგილობრივ თვითმმართველობაზე“. მასში გაანალიზებულია დანიის, შოტლანდიის, ბელგიის, პოლონეთის, ხორვატიის, რუმინეთის და სხვათა მაგალითები.

როგორც შეხვედრის ორგანიზატორებმა განაცხადეს, აღნიშნული საკითხების გამოკვლევა რეფორმას გააადვილებს. მათ მოსაზრებას პარლამენტარი გიგა ბოკერიაც იზიარებს. ბოკერიას თქმით, მისთვის მნიშვნელოვანია ყველა ის საკითხი, რომელიც რეფორმის წარმატებით განხორციელებას შეუწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ მრგვალი მაგიდის მონაწილეები წარმოდგენილი კვლევებით კმაყოფილი დარჩნენ, მათი განმარტებით, შემოდგომაზე არჩეული თვითმმართველობები, შარშან დეკემბერში მიღებული კანონპროექტის შესაბამისად იმოქმედებენ. თუმცა, მომავალში მოდელი, სავარაუდოდ, შეიცვლება. **„მოკვლეული მასალები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. თვითმმართველობის მოდელის გარდაქმნა კი, დღის წესრიგში დგას და კიდევაც იდგება,“** - აცხადებს გიგა ბოკერია.

პარლამენტარი პავლე კუბლაშვილი, თვითმმართველობის სამომავლო განვითარებას პრაქტიკას მიანდობს, ხოლო დისკუსიის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს ჯერჯერობით საკანონმდებლო ინიციატივის ღირსად არ თვლის. **„სამომავლოდ, საინტერესო ანალიზია ევროპულ გამოცდილებასთან მიმართებაში, თუმცა ჩვენ დეკემბერში მივიღეთ კანონი, რომელიც რეალობას ასახავს და რაიონებს თვითმმართველობის ინსტიტუტებს უკავშირებს. რა მოხდება ხვალ და ზეგ, ეს უნდა გადაწყვიტოს თვითმმართველობამ. ვნახოთ, რამდენად შეძლებენ თვითმმართველობები, გაუძღვნენ თავიანთ ფინანსურ საქმეებს,“** - აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა.

მრგვალი მაგიდის დასრულებისას პარლამენტარმა ალექსანდრე შალამბერიძემ ჩატარებული ანალიზი დადებითად შეაფასა.

# „დემოკრატიული ფრონტი“ სახალხო დამცველის ფუნქციების გაფართოებას მოითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ სახალხო დამცველის ინსტიტუტისთვის საგამოძიებო უფლებამოსილების მინიჭებას და ომბუდსმენის ფუნქციების გაფართოებას მოითხოვს.

აღნიშნული განცხადება „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარის მოადგილემ დავით ზურაბიშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი თქმით, ფრაქცია მიესალმება სოზარ სუბარის გააქტიურებას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენის კუთხით და მოუწოდებს სუბარს, არ დაექვემდებაროს არანაირ პარტიულ კონიუნქტურას.

ზურაბიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი უფრო რადიკალური უნდა იყოს, ოპოზიცია მაინც კმაყოფილია მისი მოხსენებით და ანგარიშით, რომელიც პარლამენტმა ორ კვირაში უნდა განიხილოს.

დეპუტატის თქმით, საპარლამენტო ოპოზიცია პლენარულ სხდომებს ბოიკოტს უცხადებს და ამიტომ, სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენას ვერ დაესწრება. შესაბამისად, მისი აზრით, ომბუდსმენის 2005 წლის მეორე ნახევრის ანგარიშის მოსმენისას საპარლამენტო უმრავლესობის ლუსტრაცია მოხდება.

როგორც ზურაბიშვილი აცხადებს, თუ უმრავლესობამ მოისმინა და მოიწონა ანგარიში, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა.

პარლამენტარი მოუწოდებს სახალხო დამცველს, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები და საჭიროების შემთხვევაში, ახსნა-განმარტებები მინისტრებსაც კი ჩამოართვას.

როგორც ზურაბიშვილი აცხადებს, სახალხო დამცველის ინსტიტუტისთვის საგამოძიებო უფლებამოსილების მინიჭება ალტერნატიული გამოძიების საშუალება იქნება და იგი პრესში მოაქცევს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაც სამართლიანობის დამკვიდრების რეალური შანსი გახდება.

*ინტერპრესნიუსი*

# რუსეთის მოსახლეობის ნაწილი ვლადიმირ პუტინის მესამე ვადით არჩევას უჭერს მხარს

რუსეთის მოსახლეობის ნაწილი ვლადიმირ პუტინის მესამე ვადით არჩევას უჭერს მხარს.

„ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და პრეზიდენტისთვის მესამე ვადით კენჭისყრის უფლების მინიჭებას მხარს გამოკითხულთა 23 პროცენტი უჭერს.

თუმცა, ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ არ აპირებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას.

რაც შეეხება სხვა სასურველ კანდიდატებს, გამოკითხულთა უმრავლესობა რუსეთის პრეზიდენტად პირველ ვიცე-პრემიერ დმიტრი მედვედევს უფრო ისურვებდა, ვიდრე თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს.

„ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ რესპონდენტთა 10,3 პროცენტი მზად არის, ხმა მისცეს დმიტრი მედვედევს. ივანოვის სასარგებლოდ ხმის მიცემას რესპონდენტთა მხოლოდ 7,2 პროცენტი თანხმდება.

რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მედვედევის წარმატება მისი ცენტრალურ ტელეარხებზე ხშირი გამოჩენით აიხსნება.

რუსეთის პირველ ვიცე-პრემიერს, „გაზპრომის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს დმიტრი მედვედევს რუსეთში უკვე განიხილავენ პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე სავარაუდო კანდიდატად.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძემ და რუსეთის ელჩმა პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ ისაუბრეს

გუშინ რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს შეხვდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ელჩმა განაცხადა, რომ მან და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა ძირითადად 13 ივნისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე ისაუბრეს. ჩხიკვიშვილის თქმით ძალზე პოზიტიურია, რომ საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგ საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდებიან. „რა თქმა უნდა, ერთი შეხვედრა ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაგრამ შესაძლოა, დაიწყოს ის პროცესები, რაც, საბოლოო ჯამში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას დაარეგულირებს“, - თქვა ჩხიკვიშვილმა. **მედიანიუსი**

### გალელ ქართველებს აფხაზური პასპორტების აღებას აიძულებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს აფხაზური პასპორტების აღებას ავალდებულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მათ საკუთარი სახლების დატოვებას აიძულებს. ამის შესახებ თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ გაიძიკოვმა განაცხადა. აღნიშნული საკითხის შესახებ სამ დღეში ამოქმედდება სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად, გალის რაიონის ყველა სოფელში ხელახალი რეგისტრაცია დაიწყება. შესაბამისი ბლანკები სპეციალურად ამ საქმისათვის რუსეთში დაიბეჭდა. ვლადიმერ გაიძიკოვის თქმით, ქართული პასპორტების მფლობელებმა ჯერ საქართველოს მოქალაქეობა უნდა უარყონ და მათზე აფხაზური პასპორტის გაცემის საკითხი მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება. **მედიანიუსი**

### ჯონდი ბაღათურიას დეპუტატობა ვერ ეღირსა

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ ხელისუფლებას თბილისის საკრებულოს წევრად ჯონდი ბაღათურიას უფლებამოსილების ცნობის გაჭიანურებაში ადანაშაულებს. ამ საკითხის გასარკვევად გუშინ, პარტიის ლიდერები ცესკო-ს თავმჯდომარეს გურამ ჩალაგაშვილს შეხვდნენ და მისგან განმარტებები მოითხოვეს.

„ლეიბორისტების“ განცხადებით, ჯონდი ბაღათურიამ თბილისის საკრებულოში ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი დავით იოსელიანი უნდა შეცვალოს, თუმცა, „ხელისუფლების დაკვეთით, ბაღათურიას უფლებამოსილების ცნობა ხელოვნურად ჭიანურდება“. პარტიის წევრთა მტკიცებით, საკრებულოში ირწმუნებიან, რომ დავით იოსელიანმა უფლებამოსილება უკვე მოიხსნა და შესაბამისი შეტყობინება ცესკო-ში გაიგზავნა. დღევანდელ შეხვედრაზე კი ცესკო-ს თავმჯდომარემ „ლეიბორისტებს“ განუცხადა, რომ მასთან ამგვარი შეტყობინება ჯერ არ მისულა.

ჩალაგაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც ცესკო საკრებულოსგან შესაბამის დოკუმენტს მიიღებს, კომისია ბაღათურიას უფლებამოსილებას კანონით დადგენილ ვადებში ცნობს. „ხელისუფლება კატა-თაგვობანას გვეთამაშება. საკრებულოში ამბობენ, რომ იოსელიანმა უფლებამოსილება უკვე მოიხსნა, ცესკო-ს თავმჯდომარემ კი განგვიცხადა, რომ მასთან შეტყობინება არ მისულა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ აწყობს საკრებულოში კიდევ ერთი ოპოზიციონერი დეპუტატის შესვლა“, - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ. დავით იოსელიანი საკრებულოში „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ საარჩევნო სიით მოხვდა, რომლის რიგით მომდევნო ნომერი ჯონდი ბაღათურია იყო. **ინტერპრესნიუსი**

### აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერები მსოფლიო თანამეგობრობას კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნებისკენ მოუწოდებენ

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკები მსოფლიო თანამეგობრობას კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნებისკენ მოუწოდებენ და დამოუკიდებლობის კურსს კვლავ ადასტურებენ. ამის შესახებ, განცხადებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტებმა სერგეი ბაგაფშმა და ედუარდ კოკოითიმ გუშინ, ქალაქ ნალჩიკში ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტ არსენ კანოკოვთან შეხვედრის შემდეგ გააკეთეს. ბაგაფშის მტკიცებით, აფხაზმა ხალხმა საკმარისად იომა და ახლა მთავარია აღმშენებლობითი შრომა - სახლების შენება, შვილების გაზრდა და კავკასიაში მშვიდობის დამყარებისთვის ზრუნვა. კოკოითის განცხადებით, „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ აპირებენ საქართველოს შემადგენლობაში შესვლას“. „ჩვენ თვითგამორკვევის ეტაპი გავიარეთ. საქართველოსგან გამოყოფისთვის ყველა პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძველი გვაქვს“, - აღნიშნა ედუარდ კოკოითიმ. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# სუვერენიტეტის ხედვა დასავლეთიდან, მოსკოვიდან და კიევიდან

პირველი გვერდიდან

ლელუშმა ასევე მიუთითა, რომ ნამდვილი „გეოპოლიტიკური ძვრა“ იქნებოდა ყოფილი იმპერიის აღდგენა საბჭოთა კავშირის ფარგლებში და არა ნატო-ში უკრაინისა და საქართველოს მიღება.

**„ჩემი აზრით, სწორედ ერების უფლება, რომ დამოუკიდებლად აირჩიოს უსაფრთხოების სისტემა, წარმოადგენს მსოფლიოში სტაბილურობის საფუძველს. ყველა, ვინც ამ ლოგიკის წინააღმდეგ გამოდის, ევროპული უსაფრთხოების დესტაბილიზაციას ცდილობს. გამოდის, რომ ბოლოდროინდელ მოვლენებს მე რაღაც სხვაგვარად ვხედავ, ვიდრე მოსკოვში. სამწუხაროა, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, უკან იხევს პარტნიორობის სულისკვეთებისგან, რომელიც 1997 წლის შეთანხმებაშია ჩადებული,“** - დაასკვნის ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი.

### შიდა ხედვა (მოსკოვიდან დანახული შიდაპოლიტიკური პრობლემები უკრაინაში)

*უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე ფრიად ორიგინილურ მოსაზრებებს გამოთქვამს რუსი მიმომხილველი ვიტალი პორტნიკოვი ინტერნეტ-გამოცემა „გრანი.რუ“-ზე გამოქვეყნებულ თავის სტატიაში.*

ყირიმში მოწყობილი პიკეტები, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მიმართვა უმაღლესი რადის კოლეგებისადმი, უკრაინის ხელმძღვანელობის განცხადება ნახევარკუნძულზე გასამართი სწავლების მიმართ უცხო ძალების დაინტერესების შესახებ - ყოველივე ეს წარმოშობს მჭიდრო კვანძს რუსეთ-უკრაინის საგარეო პოლიტიკურ დაპირისპირებაში და აიძულებს მოსკოვს, გააკეთოს ხმამაღალი განცხადებები გეოპოლიტიკური ძვრების შესახებ, რაც ნატო-ში უკრაინის გაწევრიანებას შეიძლება მოჰყვეს. და ეს მაშინ, როდესაც საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სწავლებაზე, რომელიც ყირიმში, აგერ უკვე ცხრა წელია, ტარდება - სხვათა შორის, რუსი დამკვირვებლების მუდმივი მონაწილეობით.



არ არის აუცილებელი, უკრაინის ისტორიის დიდი სპეციალისტი იყო, რათა დაინახო: სწავლებები ჯერ კიდევ ლეონიდ კუჩმას დროს, ნატო-სა და უკრაინას შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ჩარჩოებში დაიწყო. ამ თანამშრომლობის ფორმატი ყოველთვის მისაღები იყო, როგორც რუსული მხარისთვის, ისე უკრაინის მთელი პოლიტიკური ელიტისთვის. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, მისთვის ის დღესაც მისაღებია: რეგიონების პარტიის ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მიმართა ნატო-ს მოწოდებით, რომ გაერკვეს სიტუაციაში და მიხვდეს, რომ ალიანსთან უკრაინის ურთიერთობაზე ნეგატიურ ზეგავლენას სწორედ უკრაინის დღევანდელი ხელმძღვანელობა ახდენს.

მაინცადამაინც ახლა რატომ გამწვავდა სწავლებისა და ყირიმის ნახევარკუნძულზე ამერიკელი სამხედროების ყოფნის საკითხი? ამას რამდენიმე ახსნა აქვს და ყველა ისინი შიდაპოლიტიკურია. სამთავრობო კრიზისის პირობებში, როდესაც ნარინჯისფერ კოალიციაში შემავალი ძალები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, რეგიონების პარტიას სჭირდება ვიქტორ იუშჩენკოს დაანახოს ძალაუფლების ის ხარისხი, რომელსაც იულია ტიმოშჩენკოსთან საერთო ენის გამონახვის შემთხვევაში მიიღებს. დაანახოს ხელისუფლება, რომელიც ვერ აკონტროლებს ყირიმს: აქ ნატო-ს წინააღმდეგ ილაშქრებენ. დაანახოს ხელისუფლება, რომელიც ვერ აკონტროლებს აღმოსავლეთ ოლქებს: აქ, პრეზიდენტის გაღიზიანების მიუხედავად, იღებენ გადაწყვეტილებას რუსული ენის რეგიონული სტატუსის შესახებ. ერთი სიტყვით, ძალაუფლება მხოლოდ ნახევარ სამეფოზე ვრცელდება, მეორე ნახევარი კი იანუკოვიჩს ერგება მემკვიდრეობით და არა ტიმოშჩენკოს. თუ იუშჩენკო სწორ არჩევანს გააკეთებს, ყირიმში პროტესტი უმალვე შეწყდება - მარგინალი პოლიტიკოსის, თუმცა მოსკოვის უდიდესი სიყვარულით მოსარგებლე ნატალია ვიტრენკოს მცირერიცხოვანი მომხრეები თუ იხმაურებენ.

იუშჩენკოზე ზეწოლის საბაბი მოხერხებულად არის შერჩეული. უკრაინის ჩინოვნიკური მანქანა ჯერ ნარინჯისფერმა რევოლუციამ შეარყია, იუშჩენკოს მმართველობის პერიოდში კი მან ბალანსირება დაკარგა. ამან გამოიწვია ის, რომ უმაღლესმა რადამ ვადაში - როგორც ადრე ხდებოდა - ვერ მიიღო კანონი უკრაინის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების დაშვების შესახებ, ანუ სწავლების ჩატარების იურიდიული საფუძველი არ არსებობს. საეჭვოა, რომ ამ კანონს ახალმა პარლამენტმა მხარი დაუჭიროს - რეგიონების პარტიის გარდა, ნატო-ში უკრაინის შესვლის წინააღმდეგ ენერგიულად გამოდიან „პირობითი ნარინჯისფერები“, სოციალისტ ალექსანდრე მოროზის ხელმძღვანელობით. დღევანდელ სიტუაციაში კი სწავლებისთვის კენჭისყრა ნატო-ში გაწევრიანებისთვის კენჭისყრის ტოლფასია. გარდა ამისა, სოციალისტები შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ არანარინჯისფერი კოალიციით. ასე რომ, პატური მდგომარეობაა. სწავლების არჩატარება ხელისუფლების სისუსტის გამოვლინება იქნება, ჩატარებისთვის კი საკანონმდებლო შესაძლებლობა არ არსებობს.

ეს პატი ვიქტორ იუშჩენკოსა და მისი პარტიისთვის მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ისინი იულია ტიმოშჩენკოს ნარინჯისფერ კაბაზე იქნებიან ჩაბღაუჭებულნი - აი, რის დემონსტრირებას ცდილობდნენ პრეზიდენტისთვის რეგიონების პარტიის ხელმძღვანელები, როდესაც ყირიმში „მშვიდობისმოყვარეობის ზეიმი“ ჩაატარეს. თუ ვიქტორ ანდრეევიჩს თავისი ნახევარი სამეფოს შენარჩუნება სურს, მაშინ მან მის მეორე ნახევარზე ვიქტორ ფიოდოროვიჩის უფლებები უნდა აღიაროს. დადოს ზავი იანუკოვიჩთან და გააფორმოს მასთან კოალიცია.

მაგრამ, რა შუაშია აქ ნატო? ნატო არაფერ შუაშია, ისე, როგორც, სხვათა შორის, მოსკოვი.

*24 საათი*

# „ქაჯები“, ამერიკის ელჩი და ტესტი დემოკრატიაში

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის პოლიტიკურ თამაშებს, „საქართველოს გზის“ ლიდერი „ქაჯურ პოლიტიკას“ უწოდებს. აქვე მოდის განმარტებაც: **„ქაჯური პოლიტიკა ნიშნავს, რომ ერთ დღეს ვიღაცას შენს კანდიდატად აირჩევ, მეორე დღეს კი უსაფუძვლოდ გალანძღავ,“** - აცხადებს ზურაბიშვილი.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ოპოზიციის წინადადება მერობის კანდიდატობის შესახებ ძალიან გაურკვეველი იყო და ფიქრობს, რომ ამ წინადადებით ოპოზიციას მომავალ არჩევნებში მისი ავტორიტეტის გამოყენება სურდა. სალომე ზურაბიშვილი იმანაც გაანაწყენა, რომ პირველივე უარის შემდეგ ოპოზიციამ მისი კრიტიკა დაიწყო.

ოპოზიციონერები ჯენტლმენურად მოიქცნენ და სალომე ზურაბიშვილს ნესტან-დარეჯანი შეარქვეს. სალომე ზურაბიშვილს ურჩიეს, ტარიელს დაელოდოს, რომელსაც „შესაძლოა მიშა ჰქვია“. ეს რჩევა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზურაბიშვილისგან მიიღო.

დავით გამყრელიძე ძალიან გულნატკენი არ ჩანდა და აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილთან შემდგომაც ითანამშრომლებს, რადგან „მემარჯვენე“ ლიდერისთვის მთავარია „დიდი გაერთიანება და დიდი თანამშრომლობა“.

„მრეწველი“ ცაგარეიშვილი აღიარებს, რომ ის ქაჯია. **„თუ პარიზელი თბილისელზე ფიქრობს, რომ ის ქაჯია, მაშინ ალბათ ვარ,“** - აღნიშნა მან.

სალომე ზურაბიშვილისთვის „ჯვარის დასმას“ არც „რესპუბლიკელები“ აპირებენ.

დავით უსუფაშვილის თქმით, **„პოლიტიკური ლიდერის ცხოვრებაში შეინიშნება გარკვეული ეპოქა, როდესაც მას ყველა სხვა ქაჯი ჰგონია, საკუთარი თავი კი ანგელოზი და მხსნელი მესია“.** უსუფაშვილს დიდი იმედი აქვს, რომ სალომე ზურაბიშვილი დღეს ამ ეპოქაში არ იმყოფება. უსუფაშვილი მზად არის, შემდგომაც გამონახოს საერთო ენა ზურაბიშვილთან, მაგრამ როგორც პოლიტიკურ ლიდერთან და არა როგორც „მხსნელ მესიასთან“.

არ არის გამორიცხული „ქაჯების“ სია დღეს კიდევ უფრო გაიზარდოს და მასში სალომე ზურაბიშვილის პარტიის - „საქართველოს გზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრი გია თორთლაძეც ჩაეწეროს. თორთლაძე დღეს პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს, სადაც, სავარაუდოდ, სალომე ზურაბიშვილის პარტიის დატოვების შესახებ განცხადებას გააკეთებს.

მართალია, სალომე ზურაბიშვილმა „მავნე არსებებთან“ ურთიერთობის საფრთხისგან თავი დროულად დაიცვა, მაგრამ სამაგიეროდ გუშინ ორი საათის განმავლობაში ამგვარი საფრთხის ქვეშ აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი აღმოჩნდა.

სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდა დავით უსუფაშვილის, კობა დავითაშვილის, შალვა ნათელაშვილისა და დავით გამყრელიძის ტეფტთან სტუმრობა.

საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან შეხვედრების პრაქტიკა ოპოზიციონერებს დიდი ხანია აქვთ, თუმცა მანამდე დიპლომატებთან ურთიერთობას ქართველი ოპოზიციონერები ცალ-ცალკე ამჯობინებდნენ. ამჯერად ტეფტს ყველა ერთად ესტუმრა.

საუბარის თემა არჩევნები გახდა.

როგორც დავით უსუფაშვილმა „24 საათთან“ საუბარში აღნიშნა, ტეფტმა ოპოზიციისგან მოისმინა, რომ აუცილებელია თბილისის საკრებულოს დღევანდელი საარჩევნო სისტემის შეცვლა, რომელიც ერთპარტიულ საკრებულომდე მიგვიყვანს.

**„ჩვენ ვთხოვეთ ელჩს, რომ ხმა მიაწვდინოს თავის მთავრობას და იქნებ ჩვენს მთავრობასაც უკეთ აუხსნას ჩვენი არგუმენტები,“** - აღნიშნა უსუფაშვილმა.

ტეფტი ქართველ ოპოზიციონერებს დაჰპირდა, რომ მათ მოსაზრებებს დაუყოვნებლივ აცნობებს ვაშინგტონში შესაბამის უწყებებს, რომლებიც თავის მხრივ საკუთარ პოზიციას საქართველოს ხელისუფლებას აცნობებენ.

როგორც დავით უსუფაშვილი აცხადებს, ამ არჩევნებით საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობისა და საკუთარი ხალხის წინაშე დემოკრატიის ტესტს ჩააბარებს. ასევე - ამ არჩევნებისგან პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების კონსოლიდაციას ელიან.

მაგრამ ეს მოგვიანებით, მანამდე გრიბოედოვის თეატრია შესაკეთებელი, მეტრო „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორია მოსაწესრიგებელი, ბავშვთა ქალაქი „მზიური“ მისახედი, ეროვნული სტადიონი მწყობრში ჩასაყენებელი და ა.შ. და მერე, ალბათ, არჩევნებსაც დანიშნავენ...

# ერაყელი ტერორისტები ლიდერის გარეშე დარჩნენ

პირველი გვერდიდან

აზ ზარქავი იორდანიაში დაიბადა და ერაყში ის სუნიტური რადიკალების დაჯგუფების ლიდერი იყო, რომელიც „ალ-ქაიდას“ ქსელში შედიოდა. ის არ იყო ისეთივე გლობალური მასშტაბის ტერორისტი, როგორც ბინ ლადენი, თუმცა მას ბევრი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მათ შორის ადამიანთა გატაცება და უცხოელთა წამება ედებოდა ბრალად. „ალ-ქაიდას“ დაჯგუფების მიერ ათასობით ტერორისტული აქტი განხორციელდა, რომლის შედეგადაც მრავალი შიიტი მუსლიმი და კოალიციის ჯარისკაცი დაიღუპა.

პოლიციის განცხადებით, აღნიშნული დაჯგუფების მიერ განხორციელებულ ძალადობას ადგილი ჰქონდა სამშაბათს ბაღდადის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაბომბვის შედეგად დაიღუპა 13, ხოლო დაიჭრა 28 ადამიანი.

ინტერნეტში გავრცელებულ ერთ-ერთ ვიდეო-მასალაზე კარგად ჩანს, თუ როგორ სჭრის თავს ტერორისტი ამერიკელ მძევალს.

აღსანიშნავია ასევე ვიდეო მასალა, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში გავრცელდა და რომელზეც ასახულია სასტუმროებზე თავდასხმა იორდანიის დედაქალაქ ამანში, გასული წლის ნოემბერს, რომლის შედეგადაც 60 ადამიანი დაიღუპა. იორდანიის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ზარქავის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციაში თავისი წვლილი შეიტანეს, თუმცა ერაყის პემიერ-მინისტრს ალ მალიკის პრეს-კონფერენციაზე იორდანია არ უხსენებია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყის ხელისუფლებამ დიდი წვლილი შეიტანა ტერორისტის ლიკვიდაციაში.



შეგახსენებთ, ზარქავის შესახებ ინფორმაცია 25 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, ასეთი დიდი ჯილდო მხოლოდ ბინ ლადენის ლიკვიდაციისათვის არის დაწესებული აშშ-ს ხელისუფლების მიერ.

ანალიტიკოსების აზრით, აზ ზარქავის სიკვდილი აპრიორი არ ნიშნავს, რომ ტერორისტული აქტები შეწყდება, პირიქით, მათი რიცხვი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს და ამგვარ ქმედებებს ამჯერად უკვე აზ ზარქავის მიმდევრებისაგან ელოდებიან.

**„ის რაც დღეს მოხდა, არის შედეგი ერაყის ხელისუფლებასა და მის მოსახლეობას შორის თანამშრომლობის,“** - განაცხადა ერაყის პრემიერ-მინისტრმა. მანვე მოუწოდა ერაყელებს, რომ უმჯობესია მათ ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ, და იბრძოლონ იმისათვის, რომ სხვა ტერორისტებიც იგივე გზას დაადგნენ, რასაც აზ ზარქავი. **„დღევანელი ფაქტი არის კიდევ ერთი გზავნილი იმ ადამიანებისათვის, ვინც ტერორიზმის გზა აირჩია,“** - განაცხადა ნოური მალიკიმ.

როგორც ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტი ფრენკ გარდნერი იუწყება, ალ-ქაიდას ლიდერს ბევრი მტერი ჰყავდა, მან რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა, რაც საბოლოოდ მისი ლიკვიდაცის მიზეზი გახდა.

ზარქავის სიკვდილს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა გამოეხმაურა, რომლებიც დიდ სიხარულს გამოხატავენ და ტერორისტის ლიკვიდაციას მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის განცხადებით, აზ ზარქავის წინააღმდეგ მიმართული სპეცოპერაცია მეტად მნიშვნელოვანია. **„ეს საკმაოდ კარგი ამბავია, რადგან ალ-ქაიდას განადგურება ერაყში ნიშნავს მის განადგურებას მთელს მსოფლიოში,“** - აღნიშნა ტონი ბლერმა.

„დღეს ბედნიერი დღეა ერაყელი ხალხისათვის და პირადად ჩემთვის, რადგანაც ზარქავი იყო ადამიანი, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სრულ ტერორში ჰყავდა ერაყელი ხალხი. ეს წინგადადგმული ნაბიჯია იმისათვის, რომ შემდგომში უკვე ამ დაჯგუფების დარჩენილი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა გავაგრძელოთ,“ - განაცხადა ერაყის საგარეო სამეთა მინისტრმა, ჰოშიარ ზებარიმ.

# კრიზისი აშშ-სა და გაერო-ს ურთიერთობებში

გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენლის ჯონ ბოლტონის გამოსვლის შემდეგ ექსპერტები ოფიციალურ ვაშინგტონსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის ურთიერთობების დაძაბვის შესახებ ალაპარაკდნენ. ჯონ ბოლტონის კრიტიკა კი გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის მარკ მალოკ ბრაუნის განცხადებამ დაიმსახურა.

მალოკ ბრაუნის თქმით, თეთრი სახლი არ იცავს საერთაშორისო ორგანიზაციის სახელს მაშინ, როდესაც ქვეყნის შიგნით გაეროსადმი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, სამაგიეროდ ორგანიზაციის დიპლომატიურ ინსტრუმენტად გამოყენებას არასოდეს ივიწყებს.

საპასუხოდ ბოლტონმა ბრაუნის სიტყვებს „მეტისმეტად სერიოზული შეცდომა“ უწოდა და გაერო-ს გენერალურ მდივანს მოსთხოვა, ერჩია თავისი მოადგილისთვის, შემდგომში თავი შეეკავებინა მსგავსი განცხადებებისაგან.

ანალიტიკოსთა აზრით, ეს ყველაზე არადიპლომატიური „დუელია“, რომელიც გაერო-სა და მის უმსხვილეს სპონსორს - აშშ-ს ურთიერთობებში დიდი ხნის წინ დაწყებულ დაძაბულობას ასახავს. „თავაზიანობის ურთიერთგამოვლენის“ მიზეზი კი ერაყზე მეტად, ფინანსური კრიზისი აღმოჩნდა, რომლის წინაშეც გაერო დგას. გაერო უკვე წლის ბოლოს უფულოდ რჩება, აშშ კი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს ბიუჯეტში თანხების გადარიცხვა, თუ ორგანიზაციის რეფორმირებაში ამერიკელი მაღალჩინოსნები გარკვეულ პროგრესს ვერ შენიშნავენ.

გაერო-ს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მალოკ ბრაუნის გამოსვლა მოსალოდნელი კრიზისის მანიშნებელი სიგნალი იყო. ბრაუნის ხისტმა განცხადებამ კი გულისწყრომა თვით გაერო-ს ზოგიერთ წარმომადგენელშიც გამოიწვია.

**„ჩვენ მთელი მონდომებით ვცდილობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი რეფორმის გატარებას, მართალია ეს არც ისე ადვილია, მაგრამ უკიდურესად სერიოზული საკითხია და ამ დროს გენერალური მდივნის მოადგილის დემარში ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ დახმარების ნაცვლად „დათვურ სამსახურს“ გვიწევს,“** - აღნიშნა ჯონ ბოლტონმა.

ბოლტონის გამოსვლის შემდეგ საგანგებო პრესკონფერენცია გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გამართა მოადგილესთან ერთად. კოფი ანანის თქმით, მისი მოადგილე, გარკვეულწილად, მართალიც იყო შეფასებებში და ამიტომ იზიარებს კიდეც მის პოზიციას. კოფი ანანის შემდეგ ჟურნალისტებს სიტყვით მალოკ ბრაუნმაც მიმართა და აღნიშნა, რომ ამერიკელებს მეტი სიფრთხილე და ყურადღება მართებთ საერთაშორისო ორგანიზაციისადმი, რომელიც მალე შესაძლოა, საბიუჯეტო კრიზისში აღმოჩნდეს ჩაფლული.

**„მიიღეთ მონაწილეობა ახლა, არ დაგავიწყდეთ, მონაწილეობა საჭიროა ამერიკელ ხალხთან ერთად. დაარწმუნეთ ამერიკელები, რომ საჭიროა გაერო-ს არსებობა; და თუ გინდა მომკალით, მაგრამ ვერაფრით გამიგია, ჩემს მოწოდებებში ანტიამერიკული რა დაინახეთ,“** - ამ სიტყვებით დაასრულა კომენტარი მალოკ ბრაუნმა, რომელიც პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ამავდროულად, გაერო-ში შიშობენ, რომ აშშ-ს კონგრესის არჩევნების წინ - იგი მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს, ოფიციალურმა ვაშინგტონმა, შესაძლოა, ჩათვალოს, რომ გაეროსთან დაძაბული ურთიერთობები რესპუბლიკელებს ამომრჩეველთა დამატებითი ხმების უზრუნველყოფის ბერკეტიც იყოს.

*ბი-ბი-სი*



# იარაღიანი უცნობი კობა დავითაშვილის ეზოში

*საქართველოს „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი საქართველოს ხელისუფლებისაგან დაცვის დანიშვნას მოითხოვს. ეს განცხადება კობა დავითაშვილმა პარლამენტში, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლად ორი დღის წინ, გვიან ღამით მომხდარი ინციდენტი დაასახელა.*

კობა დავითაშვილის განცხადებით, გუშინწინ მეზობლებმა უცნობი პირი შენიშნეს, რომელიც ორი ღამის განმავლობაში მისი სახლის ეზოში, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის N73-ში მდებარეობს, ათენებდა. დეპუტატის თქმით, რამდენიმე მეზობელს სახლში რემონტი აქვს და იქედან გამომდინარე, რომ მეზობლების მიერ შემჩნეული უცნობი, ხელოსნის ფორმაში ჩაცმული დადიოდა, მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. თუმცა, მას შემდეგ, რაც მეზობლები მისი პიროვნებით დაინტერესდნენ, იგი გაიქცა. როდესაც უცნობს დაედევნენ, მან, სავარაუდოდ, მაყუჩიანი იარაღიდან, მდევრის მიმართულებით ორჯერ გაისროლა. გაქცევის დროს უცნობ პიროვნებას პოლიეთილენის პაკეტი დაუვარდა.

როგორც კობა დავითაშვილი აცხადებს, მეზობლებმა ფუთა წამოიღეს, მასში აღმოჩნდა პერანგი და შარვალი. დავითაშვილის თქმით, შარვლის ჯიბეს აშკარად ემჩნევა იარაღის ტარების კვალი. უცნობის ფუთაში დავითაშვილის მეზობლებმა ასევე მაგთიკომის და ერთიც უცხოური კომპანიის სიმბარათი იპოვეს. სიმბარათებთან ერთად ფუთაში გაზეთიდან ამოჭრილი დავითაშვილის ფოტოც იდო.

დეპუტატმა აღნიშნული ფუთა, მისი ფოტო და სიმბარათები თვალსაჩინოებისათვის ჟურნალისტებს წარუდგინა. ასევე წარმოადგინა გასროლილი მასრა, რომელიც დავითაშვილის თქმით, სპეციალურად არის დამუშავებული დარტყმის ძალის გასაძლიერებლად.

პარლამენტარის განცხადებით, მეზობლები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული პიროვნება 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა იყო და ძალზე უცნაური აქცენტით საუბრობდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული პიროვნება შესაძლოა, ჩამოსული იყოს რუსეთიდან. პარლამენტარმა ფუთა და ნივთები გუშინ გენერალურ პროკურორს გადასცა და მომხდარის გამოძიება მოითხოვა.

**„ამ საქმეში რა როლი მიუძღვის საქართველოს ხელისუფლებას, იქედან გაირკვევა, თუ როგორ დაიწყებს გენერალური პროკურატურა აღნიშნული საქმის ძიებას“,** - აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

პარლამენტარის განცხადებით, მისი მეზობლები და მეუღლე მზად არიან პროკურატურასა და სამართალდამცველებს აღნიშნული პიროვნების ფოტორობოტის შექმნაში მიეხმარონ. გარდა ამისა, კობა დავითაშვილის თქმით, მეზობლებისათვის ცნობილია, იმ ავტომანქანის მარკა და ნომერი, რომელსაც აღნიშნული პიროვნება ვახუშტი ბაგრატიონის N73 ნომერთან მიყავდა.

*24 საათი*

# პროკურატურა პატიმარს არ კითხავს

პატიმართან, პლატონ მამარდაშვილთან, რომელმაც სახალხო დამცველს აღიარებითი ახსნა-განმარტება მისცა, უკვე მეორე დღეა სახალხო დამცველისა და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლები მორიგეობენ. ისინი მამარდაშვილის პალატაში მთელი ღამის მანძილზე იმყოფებოდნენ, რომ მასზე ზეწოლა არ მომხდარიყო.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის ანა დოლიძის განცხადებით, ის პირადად გაეცნობა მამარდაშვილთან დაკავშირებულ საქმეს და შეამოწმებს მის უსაფრთხოებას. საქმე ისაა, რომ დღეიდან, მამარდაშვილის ინტერესებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დაიცავს.

პატიმარი, რომელმაც სახალხო დამცველს ძალზე მნიშვნელოვანი ჩვენება მისცა, რატომღაც პროკურატურას ჯერ არ დაუკითხავს. სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგა გიორგაძე აცხადებს, რომ გენერალურ პროკურატურაში შუამდგომლობას შეიტანს და მამარდაშვილის დაკითხვას მოითხოვს.

როგორც გიორგაძე აცხადებს, კანონის მიხედვით, შუამდგომლობის შეტანიდან ერთი კვირის ვადაში, მამარდაშვილი პროკურატურამ აუცილებლად უნდა დაკითხოს.

სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ მათთვის გაუგებარია, თუ რატომ აჭიანურებს პროკურატურა დაკითხვას. დაზუსტებული ინფორმაცია, თუ როდის აპირებენ პროკურატურის თანამშრომლები მამარდაშვილთან მისვლას ომბუდსმენის ოფისში არ აქვთ.

მამარდაშვილთან დაკავშირებით „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლის თეა თუთბერიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას კომენტარი გაუკეთა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით კირკიტაძემ. მან თეა თუთბერიძე საკითხის არასწორ ინტერპრეტაციაში დაადანაშაულა. საუბარია, თუთბერიძის განცხადებაზე, როცა მან სოზარ სუბარი სვანებისა და კრიმინალების დაცვაში დაადანაშაულა.

დავით კირკიტაძის განცხადებით, სოზარ სუბარის ქმედებებს, შესაძლოა, სხვადასხვა რეაქცია მოჰყვეს, „თუმცა სოზარ სუბარის განცხადებების თუთბერიძისეული ახსნა არასწორია“.

**„არ იყო სწორი თუთბერიძის განცხადება, რომ თითქოს სოზარ სუბარი მხოლოდ სვანებსა და „კანონიერ ქურდებს“ იცავს. საქართველოს კუთხეების მიხედვით დაყოფა მიუღებელია. სოზარ სუბარი იცავს ყველას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის და ეს მისი მოვალეობაა“,** - განაცხადა დავით კირკიტაძემ. მისივე განცხადებით, სვანებს სოზარ სუბარის დაცვა არ სჭირდებათ.

დავით კირკიტაძის გარდა თეა თუთბერიძის განცხადებებს მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძეც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, არა მხოლოდ თეა თუთბერიძე, არამედ სამხარეო პოლიციის უფროსი და რამდენიმე ჩინოვნიკი აკეთებს აქცენტს სვანებთან დაკავშირებით, ამიტომ, ვიქტორ ჯაფარიძე შეახსენებს თეა თუთბერიძესაც და ჩინოვნიკებსაც, რომ სვანები ძირძველი ქართველები არიან.

**„თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში, შეუძლია მოვიდეს და დაგველაპარაკოს“,** - განაცხადა ვიქტორ ჯაფარიძემ.

*24 საათი*

# ქრთამის აღების მცდელობა მინისტრის თანდასწრებით

იუსტიციის მინისტრი სამდღიანი სამუშაო ვიზიტით სამცხე-ჯავახეთის რეგიონს სტუმრობს. გია ქავთარაძე ადგილზე ეცნობა ყველა იმ სამსახურის მუშაობას, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის. ვიზიტის ფარგლებში მინისტრი ადგილობრივ ჟურნალისტებს შეხვდა და სფეროში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა.

ქავთარაძის განცხადებით, ასპინძის საპასპორტოს უფროსს გიორგი ჯვარიძეს ერთ-ერთი პიროვნებისაგან მოქალაქეობის დადგენის მიზნით 150 დოლარი უნდა აეღო. ქრთამის აღების მცდელობის ფაქტს მინისტრი თავად შეესწრო, რის გამოც, ჯვარიძე მან სამსახურიდან გაათავისუფლა. რეგიონში სტუმრობისას იუსტიციის მინისტრმა იმ სიახლეებზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც სამინისტროშია დაგეგმილი. „უახლოეს ხანში, ამოქმედდება კურიერის ინსტიტუტი და, შესაბამისად, პასპორტის ასაღებად რეგიონულ ცენტრში ჩასვლა აუცილებელი აღარ გახდება.

„საქართველოს ნებისმიერ პიროვნებას ექნება უფლება, იქონიოს ერთდროულად რამდენიმე პასპორტი“, - აღნიშნა ქავთარაძემ. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით დაწყებულია იუსტიციის სახლების შექმნა. მინისტრის თქმით, სამცხეთ-ჯავახეთის რეგიონში ახალქალაქის რაიონი პირველია, სადაც იუსტიციის სახლისთვის შენობა უკვე გამოიყო. აღნიშნულ სახლებში სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა სამსახური ერთად განთავსდება.

„ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი კომფორტი შევუქმნათ მოქალაქეს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში“, - განაცხადა გია ქავთარაძემ. იუსტიციის მინისტრის სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ვიზიტი ბორჯომის რაიონში სტუმრობით დასრულდა. ანალოგიურ შეხვედრებს იუსტიციის მინისტრი იმერეთშიც გეგმავს.

*24 საათი*

# მიხეილ სვანიძე სეკო ხაბულიანს არ იცნობდა

*22 წლის სეკო ხაბულიანის მკვლელობიდან ორ დღეში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოაცხადებული მიხეილ სვანიძის ოჯახმა სამართალდამცველების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდული უწოდა.*



*მიხეილ სვანიძის ოჯახი შვილის ბრალეულობას აბსურდულს უწოდებს.*

მიხეილ სვანიძის მამამ, ყოფილმა პარლამენტარმა ჯემალ სვანიძემ საადვოკატო ფირმა „ეკა და კომპანია“-ში ადვოკატ ეკა ბესელიასთან ერთად პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ გარდაცვლილ სეკო ხაბულიანს მისი შვილი მიხეილ სვანიძე სახეზეც კი არ იცნობდა.

სვანიძეების ადვოკატის ეკა ბესელიას ინფორმაციით, მიხეილ სვანიძე გამოძიებას ეჭვმიტანილად რეალურად არ უცვნია, იგი არც ბრალდებულია და, შესაბამისად, არც იძებნება. ადვოკატის თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა, რითაც პრესა და საზოგადოებაც შეცდომაში შეიყვანა.

ეჭვმიტანილის მამის თქმით, როცა მკვლელობასთან დაკავშირებით პრესით მიხეილ სვანიძის მკვლელობაში მონაწილეობის ვერსიამ გაიჟღერა, საგამოძიებო ორგანოებში დაიწყო ოჯახის ნათესავების და ახლობლების დაკითხვა.

**„მე ოჯახის ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიც გამოძიებაში დაიკითხა, განმიცხადა, რომ პოლიციაში ვერსიის დონეზე საუბარი იყო 2005 წლის 22 ოქტომბერს ჩემი უმცროსი შვილის - სანდრო სვანიძის დაჭრაზე. იგი 22 ოქტომბერს, დაბადების დღეზე იმყოფებოდა, მოგვიანებით, შატბერაშვილის ქუჩის მიმდებარე ბაღთან ზურგში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ამ დრომდე დაუდგენელმა პირმა დაჭრა. მე სეკოს გარდაცვალების შემდეგ გავიგე, რომ პოლიციაში განიხილავდნენ ვერსიას იმის შესახებ, რომ სანდრო სვანიძე შესაძლოა, დაეჭრა გარდაცვლილ სეკო ხაბულიანს. ეს ვერსიის დონეზეა, საიდანაც შესაძლოა, ვარაუდის დონეზე სეკოს მკვლელობასთან დაკავშირებით გაჟღერებულიყო მიხეილ სვანიძის სახელი“,** - განაცხადა ჯემალ სვანიძემ, რომელიც იმასაც ირწმუნება, რომ მიხეილ სვანიძე იარაღს არასოდეს ატარებდა და პირველ რიგში, ოჯახის ინტერესებშია, გაირკვეს სიმართლე.

როგორც პრესკონფერენციაზე განმარტეს, სეკო ხაბულიანთან დაკავშირებით წარსულში კიდევ ერთი დავა არსებობდა. ჯემალ სვანიძის ნათესავებს - თორნიკე ცაგურიას, ზურა სვანიძესა და სეკო ხაბულიანს შორის მობილური ტელეფონის გამო მცირე ინციდენტი წარმოიშვა, რომელიც სულ მალე შერიგებით დასრულდა და ამ დავას რაიმე სახის გაგრძელება არაფრით შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ამ დროისთვის, ჯემალ სვანიძის შვილები - მიხეილ სვანიძე, სანდრო სვანიძე და ირაკლი სვანიძე არც ერთი არ იმყოფებიან სახლში. მამის თქმით, ისინი გარიდებულნი არიან სიტუაციას. სვანიძეების ადვოკატი ეკა ბესელია საგამოძიებო ორგანოებიდან ოფიციალურ პასუხს ელოდება, თუ ვინ არის ამ საქმესთან დაკავშირებით ეჭვმიტანილად ცნობილი, რის შემდეგაც ეკა ბესელია საქმეს სამართლებრივ რეაგირებას მისცემს.

*24 საათი*

# ყოფილი პრემიერ-მინისტრის სასამართლო პროცესი

პირველი გვერდიდან

**„მიუხედავად იმისა, რომ კაკაბაძის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, სასამართლო არც ერთ ჩვენს შუამდგომლობას არ იზიარებს. განსასჯელი აბსურდული ბრალდებით არის დაკავებული. გამოძიება კი ცდილობს აღნიშნული საქმე საპროცესო გარიგებით დაასრულოს. მე ვაცხადებ, რომ კაკაბაძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და არანაირ გარიგებაზე არ წავა“,** - აცხადებს რამინ პაპიძე.

დაცვის მხარის განცხადებით, კაკაბაძე „სანდოს“ დარეგისტრირებიდან თვენახევარში გაათავისუფლეს თანამდებობიდან. თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს „სანდომ“ მხოლოდ 100 ათასი ლარის აქციზური მარკის გატანა მოახერხა.

**„ბრალდებაში წერია, რომ კაკაბაძე „სანდოს“ თანხის გატანაში არაერთგზის დაეხმარა, რაც აბსურდია,“** - აცხადებს პაპიძე.

ამ საქმესთან დაკავშირებით, აჭარის ყოფილი ფინანსთა მინისტრი დავით აბაშიძეც დააკავეს. მან გირაოს სახით 2 ათასი ლარი გადაიხადა და პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს (აბაშიძეს ადრე სხვა საქმესთან დაკავშირებით საპროცესო გარიგება ერთხელ უკვე აქვს დადებული). არადა, კაკაბაძეს სასამართლომ გირაოს სახით 5 ათასი ლარის გადახდაზეც კი უარი უთხრა.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ კაკაბაძის თავდებით გათავისუფლება შესაძლებელია. **„წინასწარი გამოძიება გასული წლის ოქტომბერში დასრულდა, კაკაბაძე გამოძიებაზე ზემოქმედებას ველარ მოახდენს. იგი გამოძიების პერიოდში 6-ჯერ იმყოფებოდა საზღვარგარეთ, მიმალვა რომ სდომებოდა, მიიმალებოდა. მის მიმართ საქმეში მხოლოდ წერეთელის ჩვენება დევს, რომ თითქოს, „სანდოს“ რეგისტრაცია მას კაკაბაძემ დაავალა“,** - აცხადებს კაკაბაძის ადვოკატი.

საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, „სანდოს“ მფლობელს, ვლადიმერ ფოფხაძეს, საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებს, თამაზ აბუსერიძეს და აკაკი წერეთელს, ასევე, დავით აბაშიძეს, კაკაბაძესთან ერთად, სახელმწიფოს კუთვნილი 2 595 000 ლარის თაღლითური გზით მითვისებაში ედებათ ბრალი.

აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვა უახლოეს მომავალში განახლდება. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, განსასჯელებს ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

# მოსკოვში მილიციელების მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქართველი დააკავეს

მოსკოველმა სამართალდამცველებმა ქართველი მამაკაცი დააკავეს, რომელსაც ორი მილიციელის მკვლელობა ედება ბრალად.

დაკავებულია მილიციელების მკვლელობაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე დავით ზვიადაძე, მას რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით ედება ბრალი - მკვლელობაში მონაწილეობისა და ყაჩაღობის მუხლით.

რუსეთის მასმედიის ინფორმაციით, მკვლელობის მეორე მონაწილე თემურ გოგნიძე ქართველმა სამართალდამცველებმა საქართველოში დააკავეს. მოსკოვის პროკურატურის ინფორმაციით, ამჟამად, მისი რუსეთში ექსტრადიციის საკითხი წყდება. მკვლელობის დანარჩენ 5 მონაწილეზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

საუბარია, 28 აპრილს, მოსკოვში მომხდარ მკვლელობაზე. კიროვოგრადის ქუჩის N17 სახლის პირველი კორპუსის მცხოვრებლებმა მილიციის მორიგეს შეატყობინეს, რომ პირველი სართულის ბინიდან, რომელშიც სომხეთის მოქალაქეები ცხოვრობდნენ, ისმოდა ხმაური და მოწოდება დახმარების შესახებ.

ინფორმაციის გადასამოწმებლად შემთხვევის ადგილზე მოსკოვის მილიციის სწრაფი რეაგირების ჯგუფი გაემგზავრა. ადგილზე მისული მილიციელები - საპატრულო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი ანდრეი აშურკოვი და მილიციის ზემდეგი სერგეი რებრიკოვი ბინაში შევიდნენ. დამნაშავეებმა მათ ცეცხლი ავტომატური იარაღიდან გაუხსნეს. თავდასხმის შედეგად ადგილზე დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი ანდრეი აშურკოვი, ზემდეგმა სერგეი რებრიკოვმა მძიმე ჭრილობა მიიღო და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

28 აპრილს, მოსკოვში მომხდარი თავდასხმა რუსული მასმედიის წამყვანი თემა გახდა.

გამოძიების წინასწარი ვერსიით, ადგილი ჰქონდა ე.წ. კრიმინალურ გარჩევას, რომლის დროსაც, „ქართველი კრიმინალები სომხებს ფულს სძალავდნენ.“

**„მილიციელებზე თავდასხმა ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წარმომადგენლებმა განახორციელეს, რომლებიც მოსკოვის ტერიტორიაზე მოქმედებენ. თავდასხმა რუსეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ბაზარში გავლენის სფეროების გადანაწილებასთან იყო დაკავშირებული“,** - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო „რის ნოვოსტიმ“.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## მოკლედ

### 7,5 ლარი საპროტესტო აქციისათვის

„დაისაჯონ მკვლელების ბრიგადები“, - არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრების მიერ ამ სახელით ორგანიზებული კიდევ ერთი საპროტესტო აქცია სასამართლოთი დასრულდა.

აქციის ხუთი მონაწილე ირაკლი კაკაბაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, გუგა ხოშტარია და ზურაბ რთველიაშვილი სასამართლდამცველებმა დააკავეს. მათ ბრალად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წაუყენეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ისინი რამდენჯერმე შეეცადნენ რუსთაველის გამზირზე სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებას - გზის სავალ ნაწილზე წვებოდნენ.

სასამართლო პროცესი ღამის 3 საათზე დასრულდა. ირაკლი კაკაბაძეს, ლევან გოგიჩაიშვილს, ჯაბა ჯიშკარიანს, გუგა ხოშტარიას და ზურაბ რთველიაშვილს მოსამართლე ლელა ცანავას გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული სახდელის სახით, 7,5 ლარის გადახდა დაეკისრა. პროცესზე სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძეც მივიდა.

აქციის მონაწილეთა ინტერესებს იცავდნენ ადვოკატები სოსო ბარათაშვილი და გელა ნიკოლეიშვილი. პროცესს ესწრებოდნენ დეპუტატი კოკა გუნცაძე და არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე. ისინი აქციის მონაწილეთა დაკავებას უკანონოდ მიიჩნევენ და ამ ღონისძიებას პოლიტიკური ანგარიშსწორებით ხსნიან.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები აქციების გაგრძელებას მომავალშიც გეგმავენ. **24 საათი**

### მოლაშვილის ახალი მოსამართლე სტრასბურგში

კონტროლის პალატის ყოფილი თანმჯდომარის სულხან მოლაშვილის წამების ფაქტზე ადამიანის უფლებათა ევროპის (სტრასბურგის) სასამართლოში დაწყებულ საქმის განხილვაზე ახალი მოსამართლე დაინიშნა. მოლაშვილის ერთ-ერთი ადვოკატის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლოში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის საქმეზე საქართველოს მხარემ ახალი მოსამართლე ლევან ადეიშვილი ჩართო, რომელიც ადრე სამოქალაქო კოლეგიაში მუშაობდა.

აღნიშნული პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც საქმის განხილვაში თვითაცილების გადაწყვეტილება მიიღო ქართველმა მოსამართლემ მინდია უგრეხელიძემ. ადვოკატების ვარაუდით, აღნიშნული იმით აიხსნება, რომ ადრე, იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში მუშაობდა, ისევე, როგორც სულხან მოლაშვილი. მეტიც, სულხან მოლაშვილი მინდია უგრეხელიძის თანაშემწე გახლდათ და საქმეში ჩახედულთა თქმით, უგრეხელიძე მოლაშვილის მასწავლებელია.

ადვოკატის ინფორმაციით, თავდაპირველად საქართველომ აღნიშნულ პოსტზე მაშინდელი შს მინსიტრის მოადგილე, ამჟამად კი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ეკა ტყეშელაშვილის ჩართვა მოისურვა, რაზეც ევროსასამართლომ უარი განაცხადა. ვინაიდან, ტყეშელაშვილი სამართალდამცველი სტურქტურის მაღალჩინოსანი იყო, აქედან გამომდინარე, იგი ბრალდების მხარედ მოიაზრებოდა და, შესაბამისად, დაინტერესებულ კანდიდატად ითვლებოდა. მოალაშვლის ადვოკატების განცხადებით, განსასჯელის საქმეზე ახალი მოსამართლის დანიშვნა საქმის განხილვას დააჩქარებს. **ინტერპრესნიუსი**

### მირცხულავას პროცესის ახალი ეტაპი

თბილისის სააპელაციო სასამართლოში დავით მირცხულავას საქმესთან დაკავშირებით, დღეს პროკურატურა საკუთარ სიტყვას იტყვის. როგორც დაკავებულის ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, სხდომაზე მხარეთა შორის კამათი უნდა გაიმართოს, რის შემდეგაც საქმის განხილვა ბოლო ეტაპზე გადავა. დაცვის მხარის ინფორმაციით, წინა ინსტანციის მიერ გამოტანილ განაჩენში მირცხულავას უკანონო ქმედების გამო, საქართველომ სომხეთს 6,7 მლნ დოლარის ოდენობის თანხა უნდა გადაუხადოს, თუმცა ამჟამად, საქმესთან დაკავშირებით, დაკითხული საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის ინფორმაციით, აღნიშნული თანხა ქართულ მხარეს უკვე სრულად აქვს გადახდილი.

შეგახსენებთ, წინა სხდომებზე, „საქენერგო-2000“-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილება გაუქმდა. ადვოკატ იასონ ბესელიას თქმით, აღნიშნულის საფუძველზე, მირცხულავას ის მძიმე ბრალდებები უნდა მოეხსნას, რის გამოც, პირველი ინსტანციის სასამართლომ ხანგრძლივი პატიმრობა შეუფარდა.

„თუ ყველაფრის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო თანხების მითვისების ბრალდებას ძალაში დატოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ მხარეს „არმენენერგოსთვის“ ხელახლა მოუწევს იმ საჯარიმო სანქციების გადახდა, რაც საქართველომ 1998-1999 წლებში, სომხეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო უკვე დაფარა,“- განაცხადა ბესელიამ.

ადვოკატის თქმით, თუ დავით მირცხულავას საქმეს თბილისის სააპელაციო სასამართლო ობიექტურად განიხილავს, მაშინ დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმებით, განსასჯელს უნდა მოეხსნას ისეთი მძიმე ბრალდებები, როგორიცაა, თაღლითობა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

განსასჯელს გენერალური პროკურატურის ბრალდების საფუძველზე, კიდევ ერთი ბრალი აქვს წაყენებული - ოფიციალური დოკუმენტების გადამალვა, რომელისთვისაც დაკავებულს საჯარიმო თანხა დაეკისრა. როგორც ბესელია განმარტავს, პროკურატურის თანამშრომლებმა ის დოკუმენტები, რომლის გადამალვასაც მირცხულავას ედავებიან, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის სამუშაო ოთახის კაბინეტში აღმოაჩინეს.

შეგახსენებთ, სააპელაციო სასამართლოში, დავით მირცხულავას ადვოკატები ყოფილი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებენ, რომლის თანახმადაც, მირცხულავას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. **ინტერპრესნიუსი**

# ორი მსოფლმხედველობა ალმა მატერში

*2001 წელს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, გამოცდების გაუქმების მოთხოვნით, ქუჩა გადაკეტეს. ფართო საზოგადოებაში ალბათ მაშინ გაჩნდა განგაშის პირველი სიმპტომები - რომ ცოდნის თეთრ ტაძარში რაღაც მთავარი მოიშალა.*

ეკა ჯანაშია

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ პარლამენტმა უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონი მიიღო. კანონით მთლიანად იცვლება უმაღლესი სასწავლებლების სისტემა და სწავლების წესი. უნივერსიტეტი ირჩევს სტუდენტურ თვითმმართველობას, ტარდება კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად (მანამდე უნივერსიტეტში 5 აკადემიური თანამდებობა იყო - პროფესორი, დოცენტი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. ახალი კანონით კი გათვალისწინებულია სამი აკადემიური თანამდებობა - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი). უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა კონკურსი უნდა გაიაროს ამ თანამდებობების დასაკავებლად და ამის შემდეგ აკადემიური ნაწილიდან ირჩევა საფაკულტეტო საბჭოები; საფაკულტეტო საბჭოები ირჩევენ აკადემიურ საბჭოსა და სენატს; შემდეგ ეს ორგანოები ირჩევენ რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

ქართული ალმა მატერის დამაარსებლებმა - ივანე ჯავახიშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა უნივერსიტეტის მართვის ფორმად სწორედ არჩევითობის პრინციპი მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ისეთი ფართო თვითმმართველობა, რომელიც ახალი კანონის მიხედვით უნივერსიტეტს ექნება, არც ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის დროს ყოფილა, რადგან მაშინ მხოლოდ რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ირჩევდნენ.

აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებმა ეს ცვლილებები 15-17 წლის წინ განახორციელეს. მათ უარი თქვეს ძველ სისტემაზე, რომელიც თავს საბჭოეთმა მოახვია.

დღეისთვის კი, ვიდრე კანონით გაწერილი ყველა პროცედურა არ დასრულდება, უნივერსიტეტის ავტონომია გაუქმებულია. ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებლებში გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა. ამას დიდი ვნებათაღელვა და დაპირისპირება მოჰყვა და დღემდე გრძელდება. დაპირისპირება იყო მენტალური - უნივერსიტეტის ახალი მოწყობის წესი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა; მერკანტილური - იმ ადამიანებს, რომლებიც უნივერსიტეტის ძველი წესით მართვისას მთავარი მოთამაშეები იყვნენ, გავლენის დათმობა არ სურთ. ამ ყველაფერს კი დაემატა აკადემიური პერსონალის ერთ ნაწილის შიში, რომ ახალ წესრიგში მათი ადგილი აღარ იქნება.

*გიგა ზედანია, ფილოსოფოსი:* **„ორწლიანი გარდამავალი პერიოდი ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, იმისთვის დააწესა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უნივერსიტეტების ეფექტიანი თვითმმართველობის მექანიზმების ჩამოყალიბება. სახელმწიფო უნივერსიტეტების საქმეებში გარედან (ზევიდან) ჩარევა იმის გამო მოხდა, რომ უნივერსიტეტები ვერ ახერხებდნენ (მე ვლაპარაკობ სისტემის დონეზე, და არა ცალკეულ ადამიანებზე, რომლებიც ამ სისტემაში პირნათლად ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს) ხარისხიანი სწავლებისა და კვლევის წარმოებას. უნივერსიტეტი ისევ მიიღებს ავტონომიურ მმართველობას, როგორც კი მისი აკადემიური პერსონალი დაიკავებს ახალ აკადემიურ თანამდებობებს, აირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს აკადემიურ საბჭოსა და სენატში და მზად იქნება, თვითონ მართოს დაწესებულება".**

*თამაზ ჯოლოგუა, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:* **„რაც დღეს ხდება, ეს არ არის უნივერსიტეტის რეფორმებისთვის გაწეული შრომა. ბრძოლა მიდის უნივერსიტეტის დასამორჩილებლად. უნივერსიტეტის პროფესურის ყველაზე კომპეტენტურ და პატიოსან ნაწილსაც კი ელაპარაკებიან ცინიკურად, აგრესიულად, აგდებულად. არ არის დიალოგი. თავიდანვე რომ ყოფილიყო დიალოგი, ეს პრობლემები არ იქნებოდა. ის, ვინც დღეს დაპირისპირებულია სამინისტროსთან, რეფორმების მისაღებად მზად იყო."**

## ვინ მართავს უნივერსიტეტს

უნივერსიტეტში სერიოზული ვნებათაღელვაა. იმართება სასამართლო პროცესები, რომელიც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსს მოჰყვა. მთავარი პრობლემა ასაკობრივი ზღვარი იყო. კონკურსში გარკვეული ასაკის ადამიანებს მონაწილეობის მიღების უფლება შეეზღუდათ. ჰუმანიტარული ფაკულტეტის კონკურსის შედეგები სასამართლოს გადაწვეტილებით გაუქმდა. იგივე კონკურსი სოციალურ მეცნიერებათა და იურიდიულ ფაკულტეტებზე წარმატებით ჩატარდა. კონკურსმა იქ მშვიდად ჩაიარა. კონკურსის კრიტერიუმები, წესები ყველასათვის საერთო იყო. კომისია, რომელიც კონკურსის ჩასატარებლად შეირჩა, ფაკულტეტის აკადმიური ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა.

სასამართლოს მიერ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კონკურის გაუქმება პირველ გამარჯვებად ჩაითვალა და ბრძოლა სასამართლოში ახალი სარჩელის შეტანით განახლდა. ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტში არაფორმალურად მოქმედმა სამეცნიერო საბჭომ, თავი უნივერსიტეტის ერთადერთ ლეგიტიმურ მმართველად გამოაცხადა. დიდი საბჭოს წევრი და მათთან დაახლოებული პროფესორ-მასწავლებლები კვირაში რამდენჯერმე იკრიბებიან უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობენ. ამჯერად განხილვის საგანი იურიდიული ნიუანსებია.

*თამაზ ჯოლოგუა:* **„უნივერსიტეტში იგნორირებულია კანონი. უნიკალური შემთხვევაა, როცა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იურისტი კანონებს არ ცნობს. კანონში წერია, რომ უნდა მოხდეს აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანა, რაც ნიშნავს: პროფესორი და დოქტორი ხდება სრული პროფესორი, დოცენტის თანამდებობაზე მომუშავე დოქტორები და კანდიდატები ხდებიან ასოცირებული პროფესორები და ხარისხის არ მქონეები ხდებიან ასისტენტ-პროფესორები. ხუბუამ განაცხადა, რომ კანონში წერია გადაყვანა, რაც ნიშნავს კონკურსს და ეს გრამატიკული პრობლემააო. მე მის გამონათქვამს შემდეგ კვალიფიკაცის მივცემ: ეს არ არის გრამატიკული პრობლემა. რატომ ხდება კონკურსების ფორსირება? რატომ და კონკურსის შედეგად ფაკულტეტებზე უნდა დარჩეს მათთდამი ლოიალურად განწყობილი ხალხი, რომელიც შექმნის მათთდამი ლოიალურად განწყობილ საბჭოებს და შესაბამისად აირჩევა უნივერსიტეტის მათთდამი ლოიალურად განწყობილი მმართველობითი საბჭო. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნები. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ნაცმოძრაობის მიერ შექმნილი და დაფინანსებული სტუდენტური ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებულიყო."**

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დიდმა ნაწილმა კარგად იცის, რომ დიდი საბჭო უნივერსიტეტის მართვის დემოკრატიულ ფასადს წარმოადგენდა და სწავლების პროცესს ვერ და არ წარმართავდა. როგორც ახლა ამბობენ, უნივერსიტეტის პროფესურა, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული ტრადიციების თანახმად, რექტორატს უპირობოდ ენდობოდაო - ეს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს უფუნქციობის ყველაზე კორექტული შეფასებაა.

*გიგა ზედანია:* **„რეფორმასთან დაკავშირებული ყველაზე სერიოზული პრობლემა ის არის, რომ იგი 15 წლით ადრე არ ჩატარდა - საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბლოკის დაშლისთანავე, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიის ქვეყნებში მოხდა. შედეგები იქ უკვე საგრძნობია. წინააღმდეგობა, რომელიც დღეს საქართველოში რეფორმას ხვდება, იქ ისეთი მძაფრი არ ყოფილა. ხალხს ძალიან კარგად ახსოვდა უახლოესი წარსული. იქ ადამიანი, რომელსაც დისერტაცია კოლმეურნეობის ელექტრიფიკაციაზე ჰქონდა დაცული, ისე ადვილად ვეღარ მოითხოვდა საკუთარი აკადემიური სტატუსის შენარჩუნებას, როგორც ეს საქართველოში დღეს ხდება. კომუნისტური წარსული მაშინ იმდენად ახლოს იყო, რომ მასთან ყოველგვარი კომპრომისი შეუძლებელი ჩანდა. რასაკვირველია, ამ 15 წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, რამაც ეს რადიკალიზმი შეარბილა. ნაწილობრივ ამით აიხსნება ის წინააღმდეგობა, რომელიც დღეს უმაღლესი განათლების რეფორმას ახლავს. საქართველოს განათლების სისტემაში ადგილი ჰქონდა კრიზისს ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით: ვერ ხერხდებოდა ხარისხიანი სწავლებით სტუდენტების უზრუნველყოფა და ვერ ხორციელდებოდა აკადემიური სტანდარტების შესაბამისი კვლევა. და თუ ვინმე იკითხავს, ეს აკადემიური სტანდარტები რას ნიშნავსო, პასუხი მარტივია: ჩვენთან საყოველთაოდ იყო გავრცელებული მოვლენა, რომელსაც არ აპატიებენ არც ერთ პირველკურსელ ამერიკელ სტუდენტს. ლაპარაკია პლაგიატზე. არსებობს გერმანული ხუმრობა, რომლის მიხედვითაც ერთი წიგნიდან გადაწერა პლაგიატია, ასი წიგნიდან გადაწერა კი - დისერტაცია. ბევრი ქართველი მეცნიერი - თუმცა საბედნიეროდ, არა ყველა - იწერდა სწორედ ერთი წიგნიდან. ასევე, ვერც ერთ ამერიკულ ჟურნალში თქვენ ვერ მოახერხებთ დაბეჭდოთ სტატია, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნება უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა იმ თემის გარშემო, რომელსაც თქვენი გამოკვლევა ეხება. მაგრამ მრავლადაა ქართული დისერტაცია, რომლის ბიბლიოგრაფია 80-იანი წლების ლიტერატურით ამოიწურება. ამას, რასაკვირველია, ჰქონდა მატერიალური და ეკონომიკური მიზეზები, მაგრამ ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს პროდუქტი, რომელსაც ვიღებდით."**

ამიტომაც, პროფესურის იმ ნაწილს, რომელსაც დისერტაციები კოლმეურნეობის ელექტრიფიკაციის მსგავს თემებზე ჰქონდა დაცული, გაუჩნდა შიში, რომ კონკურსებს ვერ გაივლის, დაკარგავს შემოსავალსა და სტატუსს. მეორე ნაწილს, რომელსაც მსგავსი პრობლემა არ აქვს და ხარისხიც დამსახურებულად მოიპოვა, გაუჩნდა შიში, რომ წლების განმავლობაში მიღწეულ დამსახურებას არაფრად ჩააგდებენ. ასეთი ფობია გარკვეულწილად განათლების სამინისტროს თავდაპირველმა პოზიცამ გამოიწვია. სამინისტროს ფუნქციონერებმა თავის ტექსტებსა და გამოსვლებში დროულად ვერ მახერხეს ულირსი და ღირსეული პროფესორ-მასაწავლებლების ერთმანეთისგან გამიჯვნა და ყველანი ერთ ქვაბში მოხარშეს. ამან პროფესორ-მასწავლებლებს სამინისტროს ნდობა დაუკარგა.

*დავით აფრასიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:* **„უნივერსიტეტში კონფლიქტი ორ მსოფლმხედველობას, ორ პრინციპს შორის მიმდინარეობს. ჩემთვის უნივერსიტეტის მთავარი ელემენტი არის სტუდენტი. იგი უნდა იყოს ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების მონაწილე, რაც სწავლებას შეეხება. სტუდენტი საკუთარი საჭიროების მიხედვით უნდა ირჩევდეს საგნებს, რომლებსაც ისწავლის და - ლექტორს, ვისგანაც ისწავლის. ის თვითონ ადგენს სასწავლო ცხრილს.**

**ჩვენს ფაკულტეტზე სტუდენტს შეუძლია მთელი სწავლების განმავლობაში აირჩიოს ნებიმიერი სპეციალობა, რაც თავად სურს.**

**ამ პრინციპებთან დაპირისპირებული ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ძირითადი ელემენტი არის აკადემიური პერსონალი, რომელიც წინასწარ ადგენს, რა საგნები, ვინ და რამდენი უნდა ასწავლოს სტუდენტს. ასეთი მიდგომა იყო გერმანულ უნივერსიტეტებშიც, მაგრამ ამან გარკვეულწილად აკადემიური პერსონალის სტაგნაცია გამოიწვია. ასეთი მიდგომებისას ლექტორებს გარანტირებული აქვთ საათები, სტუდენტები ვალდებულნი არიან, იარონ მათ ლექციებზე. დროთა განმავლობაში ეს ლექტორები განვითარებას წყვეტენ, განსაკუთრებით - იმ მასწავლებლებისა, ვინც მეცნიერებაში არ იღვწიან და მხოლოდ პედაგოგიური მოღვაწეობით არიან დაკავებულნი. რა თქმა უნდა, არსებობს საფრთხე, რომ სტუდენტები „კეთილ" ლექტორს აირჩევენ, მაგრამ ასეთი სტუდენტები, არაოფიციალური კვლევის შედეგად, მხოლოდ 25 პროცენტია. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ ყველა ვერ დაასრულებს უნივერსიტეტს."**

*თამაზ ჯოლოგუა:* **"ეს არ არის ცუდი იდეა, თუმცა ჩვენს სტუდენტებს აქვთ სხვა ფსიქიკა, გერმანელისგან, ამერიკელისგან და იაპონელისგან განსხვავებული. მგონია, რომ ჩვენთან ეს არ იმუშავებს. ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების გზები და მექანიზმები არის დასადგენი, მსჯელობის, დიალოგის, კრიტიკული ანალიზის გზით. ჯერ ხომ არ ვიცით, გაამართლებს თუ არა იდეა? რომ არ გაამართლოს? ღირს კი ასეთი ახალგაზრდული მაქსიმალიზმი იმად, რასაც ის გააფუჭებს?!"**

## რეფორმის პროცესი

რეფორმების პროცესი ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ თუკი ამ პროცესს თან არ სდევს მწყობრი კონცეფცია და გამჭვირვალობა, რეფორმები გაცილებით მტკივნეული ხდება.

სტუდენტურმა ორგანიზაციამ „სტუდენტური ალტერნატივა" სამჯერ მიმართა რუსუდან ლორთქიფანიძეს (ერთხელ წერილობით, ორჯერ ზეპირად), წარმოედგინა მათთვის რეფორმის მიმდინარეობის გეგმა. რექტორატში კი პასუხობდნენ - გეგმა იმდენად ხშირად იცვლება, რომ საბოლოო ვარიანტი არ გვაქვსო. ბუნებრივად გაჩნდა ეჭვი, რომ გეგმა არ არსებობს.

უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაწილის გაუქმების შემდეგ, ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად ხარაზიშვილი, რომელიც მათემატიკოსთა მსოფლიო ხუთეულში შედის) ჰაერში გამოეკიდა.

რექტორატის გადაწყვეტილებით, ფრიადოსან სტუდენტებს სტიპენდია 50-55 ლარი დაენიშნათ. სტიპენდიების თანხა თითოეულმა ფაკულტეტმა თავად უნდა განკარგოს. აღმოჩნდა, რომ სტიპენდია გამოყოფილია მხოლოდ ფრიადოსანთა განსაზღვრულ რაოდენობაზე. ხოლო თუ ფრიადოსანთა რაოდენობა რექტორატის მიერ განსაზღვრულ რაოდენობას აღემატება, დეკანატებში გაუგებრობები იწყება. დეკანი სტუდენტებს იბარებს და ეუბნება, თავად მორიგდით, სტიპენდიებს რომელი მიიღებთო. არსებობს სხვა მეთოდებიც - ან კენჭს ყრიან, ან უფრო შეძლებულ ფრიადოსნებს ნამუსსზე აგდებენ, იქნებ შენზე გაჭირვებულს დაუთმოო.

სამეცნიერო გრანტების მაძიებელთა ნაშრომების შემსწავლელი კომისიის წევრების ვინაობა და რაოდენობა უნივერსიტეტის ფართო აკადემიური წრისთვის უცნობია. სამეცნიერო გრანტზე წარდგენილია 1200 ნაშრომი. მათ ავტორებს და სხვებსაც, ცხადია, აინტერესებთ, ვინ უნდა შეაფასოს მათი ნაშრომები. რამდენი ადამიანია ამით დაკავებული და რადენად შესაძლებელია 1200 ნაშრომის განხილვა ერთ თვეში.

*თამაზ ჯოლოგუა:* **„რეფორმა არის აუცილებელი, გარდაუვალიც კი, მაგრამ რაც ახლა უნივერსიტეტში რეფორმის სახელით ხდება, რეფორმის იდეის დისკრედიტაცია და პროფანაციაა. რუსუდან ლორთქიფანიძემ აღიარა, რომ რეფორმას არ აქვს ჩამოყალიბებული კონცეფცია და სტრატეგია.**

**გაერთიანდა ფაკულტეტები - იყო ორი ათეული და გახდა ექვსი. კაციშვილს არ დაუსაბუთებია, რატომ ექვსი და არა სამი ან თხუთმეტი. მივიღეთ შემდეგი: ტელეოპერატორობა და ებრაისტიკა არის ერთ ფაკულტეტზე, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე; ტელეოპერატორმა და ებრაისტმა ერთი წლის განმავლობაში ერთი და იგივე უნდა ისწავლონ. ადამიანმა, რომელიც აბარებს გამოცდას, არ იცის, სად აბარებს. იცის, რომ ჰუმანიტარულზე, მაგრამ კონკრეტულად სად? უნივერსიტეტში აცხადებენ - უნდა დარჩეს 800 პროფესორ-მასწავლებელიო. საიდან მიიღეს ეს ციფრი? რატომ 300 ან 400 არა?! გამოცხადებულია კონკურსი. 23 ივნისი საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა და მყარი საკონკურსო კრიტერიუმები და კომისიის შემადგენლობა ჯერაც არ არის ცნობილი..."**






# მონიკა ბელუჩი სონია განდის როლს შეასრულებს

ცნობილი იტალიელი მსახიობი მონიკა ბელუჩი დათანხმდა ამერიკაში მცხოვრები ინდოელი რეჟისორის ჯაჰმოჰან მუნდრას წინადადებას და მის ფილმში სონია განდის როლს შეასრულებს. სონია განდი, ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ტერორისტის მიერ მოკლული რაჯივ განდის მეუღლე იყო.

ფილმის რეჟისორის განცხადებით, იგი წელიწადნახევარი ცდილობდა მონიკა ბელუჩის იმპრესარიოსაგან თანხმობის მიღებას. „მონიკა ყველაზე მეტად მოუხდება ამ როლს. ისიც, როგორც სონია განდი, იტალიელია და თანაც ბრწყინვალედ გამოიყურება“, - აღნიშნა მუნდრამ.

ფილმი მოგვითხრობს ერთი ქალის ცხოვრებაზე, რომელიც იტალიის პატარა სოფელში დაიბადა და ცოლად გაჰყვა ნერუ განდის დინასტიის მემკვიდრეს, ქალზე, რომელსაც საოცრად შეუყვარდა ინდოეთი. ფილმს საფუძვლად დაედო რაშიდ კიდვაის წიგნი „სონია, ბიოგრაფია“. როგორც ფილმის პროდიუსერები აცხადებენ მომავალი ფილმის ბიუჯეტი ექვსი მილიონი დოლარია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კ ო ნ კ უ რ ს ი

## თბილისის საქალაქო სასამართლოში სტაჟიორების მიღებაზე

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და სრულყოფის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლო აცხადებს კონკურსს სტაჟიორთა მიღებაზე.

სტაჟიორების კანდიდატი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს იურისტის კვალიფიკაცია. ასევე უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა კურსის სტუდენტი.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

ბ) საქართველოს კონსტიტუციის;

გ) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის;

დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის;

ე) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმის წარმოების ერთიანი წესების" შესახებ დებულების;

ვ) საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის;

ზ) საქართველოს ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის;

თ) საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცოდნა.

("ვ", "ზ" და "თ" პუნქტებში მითითებული კანონმდებლობის ცოდნა კანდიდატს მოეთხოვება სტაჟირების განცხადებაში მითითებული სპეციალიზაციის გათვალისწინებით).

დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიუროს საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, XII კმ, №6, ტელ: 53-09-28) სტაჟირების განაცხადის ან მასში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

განაცხადის ბლანკი გაიცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მიერ.

დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება განცხადების გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადით, 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი გაიმართება გასაეუბრების ფორმით, განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს სამი კვირისა.

# განცხადება

2006 წლის 12 ივნისს დილის 12 საათზე ქობულეთის რაიონის სასამართლოს შენობაში დანიშნულია სს "ქობულეთის ტუნგოს ქარხნის" კრედიტორთა საერთო კრება.

# რუსების კინომისიონერობა

**რელიგიური ფილმების ფესტივალი „Золотой Витязь“ საქართველოშიც ჩატარდება**

ია ვეკუა

ანდრეი ტარკოვსკის „ივანეს ბავშვობა“-ში პატარა ივანეს როლის შესრულების შემდეგ ნიკოლოზ ბურლიაევის კინოკარიერა მეტ-ნაკლებად წარმატებულად წარიმართა. თუმცა სახელი ტარკოვსკისთან თანამშრომლობით კი არა, მას შემდეგ უფრო გაითქვა, რაც მსოფლიოში უნიკალური კინოფესტივალი „ოქროს რაინდი“ (ორიგინალში „Золотой Витязь“) დააარსა. ფესტივალის უნიკალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მასში მხოლოდ რელიგიურ, კონკრეტულად კი ქრისტიანულ თემატიკაზე შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ფილმები მონაწილეობს.

ამიერიდან ამ ფესტივალის ექოს საქართველოშიც გავიგებთ, რადგან გარდა იმისა, რომ ფესტივალის წარმომადგენლობა ჩვენთანაც დაარსდა, ივნისში ბათუმი კინოფორუმ „Золотой Витязь-ის ექოსაც“ უმასპინძლებს.

ფესტივალის ქართული წარმომადგენლობის დაარსების პრეზენტაცია ორიოდე დღის წინ გაიმართა, რომელსაც ქართული კინოსა და რუსული დიპლომატიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ქართული წარმომადგენლობის გახსნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა, რომლის წარმომადგენლები პრეზენტაციასაც ესწრებოდნენ. ნიკოლოზ ბურლიაევი ილია მეორეს რამდენიმე თვის წინ შეხვდა. სწორედ ამ შეხვედრაზე ისაუბრეს ფესტივალის ქართული წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.



*ფესტივალის ქართული წარმომადგენლობის პრეზენტაცია.*

ნიკოლაი ბურლიაევმა კინოფესტივალი „Золотой Витязь“ დაახლოებით 15 წლის წინ დააარსა. ფესტივალის საპატიო მეურვეა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსეი მეორე. ფესტივალი უკვე 12 ქვეყნის 12 ათას წევრს აერთიანებს და, საქართველოს მსგავსად, ყველა ქვეყანაში საკუთარი წარმომადგენლობა აქვს.

ფესტივალის დამფუძნებელი ბურლიაევის გარდა რუსული კინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მათ შორის ნიკიტა მიხალკოვიცაა. თუმცა თბილისში ვერ მიხალკოვი ვიხილეთ და ვერც მთავარი „მიზეზი“ - ნიკოლოზ ბურლიაევი. სამაგიეროდ უხვად ვნახეთ ფესტივალის ისტორიის ამსახველი კადრები, რომლებშიც ბურლიაევი ხან ცხენზე ამხედრებული, ხანაც მშვიდობის მტრედით ხელდამშვენებული იწონებს თავს. ამავე კადრებში კარგად ჩანდა, რამდენად პოპულარულია ფესტივალი, რომლის გახსნის ცერემონიალები ხალხით გადაჭედილ სტადიონებზე და ფოლკლორული ანსამბლების გრანდიოზული კონცერტების ფონზე მიმდინარეობს.

მსგავსი გრანდიოზულობა, ალბათ, ჩვენც „გვემუქრება“, რადგან ფესტივალის ქართულ წარმომადგენლობას სერიოზული გეგმები აქვს: თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ფესტივალ „Золотой Витязь-ის“ გამარჯვებულ ყველა ფილმს აჩვენებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქვე შეირჩევა მომავალი წლის ფესტივალზე გასაგზავნი ფილმები. ამით კი ახალგაზრდა ქართველ რეჟისორებს საზღვარგარეთ საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის საშუალებაც მიეცემათ.

თუმცა ფესტივალის ქართული წარმომადგენლობის მისია მხოლოდ ამით არ ამოიწურება: მის მიერ მუდმივად განხორციელდება ფესტივალის ფორმატის ფილმების ბავშვებისა და მოზარდებისთვის ჩვენება. როგორც პრეზენტაციაზე მოსულმა პატრიარქის წარმომადგენელმა, ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტმა მეუფე ისაიამ აღნიშნა, იგი ნამყოფია ფესტივალზე და მიიჩნევს, რომ მისი იდეა ზნეობრივ საფუძვლებზეა დაფუძნებული, რაც ახალგაზრდობისთვის აუცილებელია.

რაც შეეხება ივნისში ბათუმში დაგეგმილ ფესტივალს, მასზე ნაჩვენები იქნება მიმდინარე წლის 22-30 მაისს ჩატარებული „Золотой Витязь-ის“ გამარჯვებული მხატვრული, დოკუმენტური და სატელევიზიო ფილმები. ბათუმს ესტუმრებიან თავად ბურლიაევი, სერგეი შაკუროვი, ალექსანდრე მიხაილოვი, ლიდია ფედოსეევა-შუკშინა, ლუდმილა ჩურსინა, ლარისა გოლუბკინა, ალექსანდრ პანკრატოვ-ჩორნი და რუსული კინოს კიდევ არაერთი წარმომადგენელი.

# ახალი კლავირები და ნოტები თეატრში

გუშინ საღამოს ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმი ახალი კოლექციებითა და არქივებით გამრავლებას აღნიშნავდა. მას დირიჟორ დიდიმ მირცხულავასა და მიხეილ ყვარელაშვილის (ტენორი) საარქივო მასალები გადაეცა. მუზეუმს აღნიშნული არქივები მუსიკოსების ოჯახებმა გადასცეს.

ირინა ფირცხალავა: „დიდიმ მირცხულავას მეუღლემ ახლახანს გადაწყვიტა, რომ მეუღლის მთელი არსებული მასალა, პარტიტურა, კლავირი, ნოტები, ძალიან საინტერესო წიგნები თეატრისთვის გადაეცა. საერთოდ, ძალიან ძნელია განშორება იმ ნივთებთან, რაც ბატონი დიდიმის მთელ ცხოვრებას წარმოადგენდა. მაგრამ, მაინც გადაწყდა ყველაფერი გადმოტანილიყო თეატრის არქივში, ვფიქრობთ, რომ თეატრს ჩვენს მიერ შემოტანილი მასალა გამოადგება.“



*ფოტო ოპერის არქივიდან.*

ნანა ყვარელაშვილი: „თეატრის დირექტორისგან იყო თხოვნა არქივისთვის გადაგვეცა ექსპონატები. მე პირობა შევასრულე, სხვანაირად არ შეიძლებოდა, მამაჩემის სათაყვანებელ თეატრს გადავეცი მისი არქივის დიდი ნაწილი. 31 ოპერის კლავირი, უამრავი ნოტები, ქართველი, რუსი, დასავლეთ ევროპის კომპოზიტორების. უამრავი, ჯერ კიდევ დეკადის დროს დაბეჭდილი პროგრამები, ფოტოები და ლიბრეტოები. წელს მამას დაბადებიდან 100 წელი შესრულდა და მე სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი.

**- იგეგმება რაიმე ღონისძიება ამ თარიღთან დაკავშირებით?**

- არა, და არც არის საჭირო, ჩვენს ქვეყანას უამრავი სხვა პრობლემა და საზრუნავი გააჩნია. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი. თუმცა სასიამოვნო იქნება, თუ ახალგაზრდებს მის შესახებ ეცოდინებათ.

მიხეილ ყვარელაშვილის დებიუტი ოპერისა და ბალეტის თეატრში 1932 წელს შედგა ოპერაში „დაისი“ მალხაზის პარტიით. შემდგომში ყვარელაშვილმა არაერთი მთავარი პარტია შეასრულა ტენორისათვის. ამის გარდა, იგი ცნობილია, როგორც ესტრადის მომღერალი და აკაკი წერეთლის კინოსახის შემქმნელი ფილმში „აკაკის აკვანი“.

დიდიმ მირცხულავა 1937-1997 წლებში სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი და ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი დირიჟორი გახლდათ. ხელოვნებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის 1942 წელს მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, 1958 წელს საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოსკოვში წარმატებით ჩატარებული დეკადის შემდეგ კი - საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

დიდიმ მირცხულავას ხშირად უწევდა გამოსვლა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე დასავლეთ ევროპის ქალაქებში, სადაც დირიჟორის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე.

*24 საათი*

# განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის**

საქართველომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან მიიღო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტისათვის და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტის ფარგლებში განსახორციელებელი საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ელექტრო-მომარაგების სამუშაოების დასაფინანსებლად (მცირე სამუშაოები).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე სამშენებლო ფირმებს შემდეგი სახის სამუშაოს ჩასატარებლად:

■ **საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ელექტრო-მომარაგების სამუშაოები, კონტრაქტი NMW/ARET//06/01.**

კონკურსში გამარჯვებული შეირჩევა მსოფლიო ბანკის შესაბამის სახელმძღვანელოში "შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტების საშუალებით", 1995 წლის იანვარი (გადასინჯულია 1996 წლის იანვარში და აგვისტოში; 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) მითითებული პროცედურების თანახმად.

საკონკურსო დოკუმენტაცია გაიცემა უსასყიდლოდ. დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონკურსო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 17 საათამდე.

საკონკუსრო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 30 ივნისი, 14:00 საათი. ფასების წინადადებები გაიხსნება საჯაროდ 2006 წლის 30 ივნისს 14:00 საათზე კონტრაქტორთა იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

**მისამართი:** მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

თბილისი, კოსტავას ქუჩა 41, მე-3 სართ, ოთახი 327, ტელ/ფაქსი 93-46-51/922038

საკონტაქტო პირი: ელგუჯა სარიშვილი

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1. ს.ს.ი.პ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე მე-8 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 280,09 კვ მეტრი არასაცხოვრებელი ფართი გაიც ემა იჯარის უფლებით. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 38,49 აშშ დოლარი). იჯარის ვადაა 10 წელი.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 625 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო სამი თვის გადასახადში.

2. ს.ს.ი.პ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №68-ში მდებარე პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 107,32 კვ მეტრი არასაცხოვრებელი ფართი გაიცემა იჯარის უფლებით. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 300 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 52,82 აშშ დოლარი). იჯარის ვადაა 10 წელი.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 150 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო ექვსი თვის გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

ა) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ბ) იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში კომერციული საქმიანობის ჩატარება;

გ) ინფორმაციის წარმოდგენა "მეიჯარესთან" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და წესდების ასლს.

საკუთრების უფლების გაცემის სანოტარო დამოწმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის მყიდველი.

"ბე"ს გადახდა ხდება: ბანკი "რესპუბლიკა", სკ 211349192, ა/ანგარიში 345537, ბანკის კოდი 220101757, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 14 ივლისს 11 საათზე.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 15 საათამდე, მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური (ტელ.: 36-53-90).

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვროს კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი რ. ხუროძე**

# თი-ბი-სი ჯგუფი
# დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

თი-ბი-სი ბანკი ჯგუფის აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება "თი-ბი-სი ბანკის" და მისი შვილობილი კომპანიის ("ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული საბალანსო უწყისის აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების უწყისთა ("კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება") აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომლის დასკვნა, დათარიღებული 2005 წლის 15 აპრილით, უპირობოა.

ჩვენ აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ საფუძვლიანად დავრწმუნდეთ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების შემოწმებას (ტესტირებას) მტკიცებულებების საფუძველზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის განსაზღვრას და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაკეთებლად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად.

18 აპრილი, 2006

### თი-ბი-სი ჯგუფი
**კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი**
2005 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
*(ათას ქართულ ლარებში)*

| | შენიშვნა | 2005 | 2004 |
|---|---|---|---|
| | | | |
| საპროცენტო შემოსავალი | 4, 26 | 54,389 | 37,082 |
| საპროცენტო ხარჯი | 4, 26 | (17,627) | (11,091) |
| | | | |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების შესაძლო გაუფასურების რეზერვის ფორმირებამდე | 4 | 36,762 | 25,991 |
| | | | |
| საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების შესაძლო გაუფასურების რეზერვი | 5 | 7,047 | (4,704) |
| | | | |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 43,809 | 21,287 |
| | | | |
| გასაყიდი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 15 | 1,161 | - |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასებით მიღებული სარგებელი | | - | 3,498 |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან | 6 | 5,740 | 782 |
| საკომისიო შემოსავალი | 7 | 14,211 | 12,498 |
| საკომისიო ხარჯი | 7 | (2,224) | (1,703) |
| მიღებული დივიდენდები | | 14 | 288 |
| მეკავშირე საწარმოების ზარალის წილი | | (14) | (38) |
| სხვა შემოსავალი | | 1,296 | 1,069 |
| | | | |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | | 20,184 | 16,394 |
| | | | |
| საოპერაციო შემოსავალი | | 63,993 | 37,681 |
| | | | |
| საოპერაციო ხარჯი | 8, 26 | (25,422) | (17,560) |
| | | | |
| საოპერაციო მოგება | | 38,571 | 20,121 |
| | | | |
| სხვა და გარე ბალანსური ოპერაციების შესაძლო გაუფასურების რეზერვი | 5 | (58) | (563) |
| | | | |
| მოგება გადასახადის გადახდამდე | | 38,513 | 19,558 |
| | | | |
| მოგების გადასახადი | 9 | (7,314) | (3,811) |
| | | | |
| წმინდა მოგება | | 31,199 | 15,747 |

**დირექტორთა საბჭოს სახელით**

| | | |
|---|---|---|
| გენერალური დირექტორი<br>ვახტანგ ბუცხრიკიძე | | გენერალური დირექტორის მოადგილე<br>ვანო ბალიაშვილი |

PRELIMINARY DRAFT — FOR DISCUSSION PURPOSES ONLY.
TO BE RETURNED TO DELOITTE AND NOT TO BE REPRODUCED OR DISTRIBUTED IN ANY FORM WITHOUT THEIR PERMISSION

### თი-ბი-სი ჯგუფი
**კონსოლიდირებული ბალანსი**
2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
*(ათას ქართულ ლარებში)*

| | შენიშვნა | 2005 ლარი'000 | 2004 ლარი'000 |
|---|---|---|---|
| აქტივები: | | | |
| ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 10 | 94,373 | 75,966 |
| ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა | 11 | 70,466 | 66,899 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და "სპოთ" კონტრაქტები | 12 | 2,985 | - |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, | 13, 26 | 369,404 | 212,396 |
| წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში | 14 | 8,367 | 3,098 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 15 | 203 | 7,680 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები | 16 | 7,088 | 2,677 |
| ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში, წმინდა | 17 | 843 | 733 |
| ძირითადი საშუალებები, წმინდა | 18 | 36,671 | 20,195 |
| არამატერიალური აქტივები, წმინდა | 19 | 346 | 367 |
| სხვა აქტივები | 20 | 5,765 | 1,961 |
| | | | |
| **სულ აქტივები** | | 596,511 | 391,972 |
| | | | |
| ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი | | | |
| ვალდებულებები: | | | |
| ბანკებიდან და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები და ავანსები | 21 | 98,528 | 39,505 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და "სპოთ" კონტრაქტები | 12 | 1,592 | - |
| კლიენტთა ანგარიშები | 22, 26 | 380,270 | 284,873 |
| რეზერვები | 5 | 1,091 | 875 |
| მოგების გადასახადის ვალდებულება | 9 | 7,703 | 145 |
| სხვა ვალდებულებები | 23 | 7,539 | 5,211 |
| | | | |
| **სულ ვალდებულებები** | | 496,723 | 330,609 |
| | | | |
| აქციონერთა კაპიტალი: | | | |
| კაპიტალი | | 10,100 | 10,100 |
| რეზერვები | | 89,688 | 51,263 |
| | | | |
| სულ კაპიტალი | | 99,788 | 61,363 |
| | | | |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | 596,511 | 391,972 |

**დირექტორთა საბჭოს სახელით**

| | | |
|---|---|---|
| გენერალური დირექტორი<br>ვახტანგ ბუცხრიკიძე | | გენერალური დირექტორის მოადგილე<br>ვანო ბალიაშვილი |

PRELIMINARY DRAFT — FOR DISCUSSION PURPOSES ONLY.
TO BE RETURNED TO DELOITTE AND NOT TO BE REPRODUCED OR DISTRIBUTED IN ANY FORM WITHOUT THEIR PERMISSION

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი 1 - ბათუმის პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები;
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 ოქტომბერი.
ლოტი 2 - პირველ კლინიკურ საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 ოქტომბერი.
ლოტი 3 - პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მიმღების, კომპიუტერული ტომოგრაფისა და რენტგენის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 ოქტომბერი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 ივნისს 10:00-დან 15:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>. | | | | |

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 9 ივნისიდან 29 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

# ხელისუფლების უზნეო მოთამაშეები...



*ეზოში ბავშვები თამაშობენ, ერთი სახლს ღებავს, მეორე აგურს აგურზე აწყობს; ისინი ჩვენს საერთო სახლს აშენებენ. უეცრად, მშენებლობაზე თავს შეყოფს მთავარი მშენებელი, ყოჩი, რომელიც გაუღიმებს ე.წ. მუშებს და კედელთან მიირბენს: „სტუკ, სტუკ, დაგასტუკეთ, ვსიო!". გახარებულია ბავშვი, ხარობს, ყველას რომ დაასწრო, თან ტელევიზორშიც აჩვენებენ, მთელი ქართველი ხალხი ხედავს, როგორ დაასტუკა მშენებლები. მერე სადღაც კიბეზე აძვრება, მერე ღობეზე გადაბობღდება, მერე ცოტა დაჭერობანას ითამაშებს, ყველაფერს კარგად აკეთებს. ეზოს „ცუმბუშები" უკან დაჰყვებიან: აგერ მობრძანდით, ბატონო ყოჩო, აბა აქ დაბრძანდით, აბა იქით გაიხედეთ, აბა ცას ახედეთ, რა მშვენიერია, ასეთი ცა მხოლოდ ჩვენს უბანს ადგას თავზე.... ყოჩიც იფერებს, ახსოვს, - ცოტა უნდა დატუქსოს მოახლეები, მაინც ტელევიზიაა იქვე, სხვა უბნებიც ნახავენ, შეაქებენ... ეს ყოჩი, რასაკვირველია, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია, უყვარს თამაში, დასტუკებაც უყვარს და დატუქსვაც, ძრომიალიც და სირბილიც...*

რამდენიმე ხნის წინ, მაშინ როდესაც აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა ერთმანეთთან საელჩოების გახსნა გადაწყვიტეს, ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ თვითაღიარებული რესპუბლიკები სახლობანას თუ სხვადასხვა ბავშვური თამაშობებით ირთობენ თავსო. აბსოლუტურად მართალია! მათი მოქმედების სხვაგვარად შეფასება, ალბათ, წარმოუდგენელია. მაგრამ რა ვუყოთ, რომ ჩემი ქვეყნის ხელისუფლებაც გაცილებით უზნეო, ბოროტი თამაშობებით ირთობს თავს. არ ვიცი ეს რას მივამსგავსო - პაროლობანას, მაფიოზობანას თუ რას, მაგრამ ცხადია - არსებობენ მაფიოზები და აქვთ პაროლი, რომელსაც არაფრით აცხადებენ. ინფანტილური, ბოროტი, ჯიბიანი კატეგორიულობა, რომელიც, მაგალითად, ბაჩო ახალაიას უფლებების დაცვაში ვლინდება. მაინც რა შეიძლება იმალებოდეს ამ ერთი ადამიანის უკან, ვერავინ რომ ვერ ბედავს ეჭვი შეიატანოს მის კეთილსინდისიერებაში. თავისუფლების ინსტიტუტი, რომელიც საკუთარ ვალდებულებას თუ პასუხისმგებლობას მხოლოდ კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლებაში ხედავდა, დღეს ბაჩო ახალაიას პირველი ადვოკატის როლში გვევლინება. „არასერიოზულია დავეყრდნოთ ისეთი წარსულის მქონე ადამიანის ჩვენებას, როგორიც ვინმე პაატა მამარდაშვილია," - აცხადებს თეა თუთბერიძე. საინტერესოა, აქამდე ვის ჩვენებას ვეყრდნობოდით?! რასაკვირველია, ისევ ციხეში მსხდომი ადამიანების და ისევ იგივე პაატა მამარდაშვილის. თუ არა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ციხის ბუნტში კრისტალური წარსულის მქონე პატიმრები არ მონაწილეობდნენ. საინტერესოა, რას წარმოადგენს ბაჩო ახალაია სინამდვილეში, როდესაც ასე ვთქვათ ადამიანის უფლებების დამცველთ არ ერიდებათ საპროტესტო განცხადება გააკეთონ სახალხო დამცველის წინააღმდეგ და ბატონი ბაჩოს უფლებები დაიცვან მაშინ, როდესაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს არავის ახსოვს მათი საჯაროდ გამოთქმული უკმაყოფილება ქართული სასამართლოს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით, ან კი, გირგვლიანის მკვლელების დასჯის მოთხოვნით. სამწუხაროა, როდესაც ადამიანის უფლებების დამცველად წოდებული ორგანიზაცია დღეს მკვლელების და ჯალათების დაცვით შემოიფარგლება. მაგრამ ეს ამ ორგანიზაციის ტრაგიკული ფინალია, რომელსაც მათ მრავალწლიანი შრომისა და ბრძოლის შედეგად მიაღწიეს. როგორც ეტყობა, მათი მთავარი მიზანი, კოპაძის არ იყოს, შევარდნაძის მთავრობის გადაყენება იყო და არა უკეთესი საქართველო.

ფაქტი ერთია, ქართული ხელისუფლება ჯინში უდგება და უზნეო თამაშს ეთამაშება საზოგადოებას, მაშინ, როდესაც დროში წელავს და ცდილობს მიჩქმალოს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საკითხი. აქ ცხადი ერთია, დამნაშავე, ამ შემთხვევაში მკვლელობის დაკვეთაში ეჭვმიტანილი, მერაბიშვილის უწყების თანამშრომელია, რომელიც, სავარაუდოდ, მაღალ თანამდებობას იკავებს და ან კი იკავებდა. ამის გამოაშკარავება ლამის წმინდა სახლად შერაცხულ სამინისტროში, მნიშვნელოვან დაღს დაასვამს მას და მოპოვებული ნდობა პრაქტიკულად დაიკარგება. „ჩვენ შორის, სამწუხაროდ, მკვლელები აღმოჩნდნენ" - ამის თქმა უბნის ყოჩს გაუჭირდება. ამიტომ ყველაფერი აწყობილია, ყოჩისა და მისი „ცუმბუშების" რეკლამირებაზე, არაფრით არ შეიძლება ვთქვათ, რომ სარეცხის ფხვნილმა, მაგალითად „ტაიდმა", რამდენიმე ლაქა ვერ ამოიყვანა. ამ შემთხვევაში მომხმარებელი სასწრაფოდ გულს აიცრუებს სარეცხის ფხვნილ „ტაიდზე", გაუჩნდება მის მიმართ უნდობლობა და არჩევანს „არიელზე" შეაჩერებს. ასეთი მარტივია ჩვენი ხელისუფლების თამაში, რომელსაც ის საზოგადოებას ეთამაშება. ასეა ბაჩო ახალაიას საქმეც, რომლის უფლებების დაცვას ასე ხმამაღლა და აშკარად, რამდენიმე „გაბედული" პოლიტიკოსის გარდა, ვერავინ ბედავს და ამიტომ ამისათვის გაცილებით დაბალ საფეხურს, ე.წ. „ცუმბუშების" „ცუმბუშებს" იყენებენ და მათ აიძულებენ, საჯაროდ დაიცვან ბატონი ბაჩოს ადამიანური ღირსებები.

ამიტომ დღეს სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასჯის მოთხოვნა თუ ახალაიას ქმედებების წარმოჩენა არა მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნაა, არამედ ეს, სამწუხაროდ, გადაიქცა ღია ომად, რომელიც საზოგადოებამ ჩვენს უზნეო ხელისუფლებას გამოუცხადა. და თუკი ამ ომში ხალხმა არ გაიმარჯვა, ეს ნიშნავს, რომ უზნეობა სამუდამოდ მოიკიდებს ფეხს ჩვენს ქვეყანაში. და ეს მაშინ მოხდება, როდესაც აგრესიული თამაშებისგან დაღლილი აქსელერატი ყოჩი და „ცუმბუშები" თავს კუკუდამალობანით გაირთობენ.

**დაბოლოს**. კობა დავითაშვილზე თავდასხმის ფაქტი კიდევ ერთხელ ნათლად წარმოგვიდგენს ქართულ რეალობას. და რატომ? არ მიყვარს ვარაუდით, ეჭვების საფუძველზე სუბიექტური განაჩენის გამოტანა. ამიტომ დღეს თავს შევიკავებ კომენტარისგან, ვერ გეტყვით ვინ ისროლა, ვის ესროლეს სინამდვილეში და იყო თუ არა ეს წინასწარ დაგეგმილი მკვლელობის მცდელობა. ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ ჩემს ქვეყანაში დღეს გამორიცხული არ არის, ოპოზიციის ლიდერს ქუჩაში ტყვიას ესროდნენ. სამწუხაროა, რომ ჩვენს ცნობიერებაში ეს დასაშვებია.



# აფიშა

## 9 ივნისი

### თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
კლოდ მანიე
„ოსკარი“
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00
**თავისუფალი თეატრი**
დავით ტურაშვილი
„ჯინსების თაობა“
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

### მუსიკა

**კონსერვატორიის დიდი საკონცერო დარბაზი**
არგენტინელი დირიჟორის პაბლო ჰერეროს
ლექცია კონცერტი
მონაწილეობს ევ. მიქელაძის სახელობის ორკესტრი

### კინო

**„ამირანი“**
„ქაოსი“
დასაწყისი: 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00
**„რუსთაველი“**
„X ადამიანები: გადამწყვეტი ბრძოლა“
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00; 20:00; 22:00

### გალერეა

**„უნივერსი“**
თანამედროვე ქართველ მოქანდაკეთა
ნამუშევრები
**„ჰობი“**
თანამედროვე ქართული ფერწერა
**„კოპალა“**
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის
სკულპტურული ნამუშევრები
გამოფენა - „ჩემს სიზმრებში“

### კლუბები

**2SIDE**
ბრეტ ჯონსონი (აშშ) \Robot Karate \Aesoteric

# გერმანელი რეჟისორი „აბსურდისტანს“ იღებს

ცნობილი გერმანელი რეჟისორი ფაიტ ჰელმერი საქართველოსა და აზერბაიჯანში ფილმის„აბსურდისტანის“ გადაღებას იწყებს. ფილმის სცენარი „ყავა და ლუდის“ რეჟისორისა და სცენარის ავტორს ზაზა ბუაძეს ეკუთვნის.

„აბსურდისტანის სცენარი“ ორი წლის წინ, გერმანიაში დაწერა.

ფილმში 14 სხვადასხვა ქვეყნის მსახიობები მონაწილეობენ, მათ შორის, ქართველებიც -თელავის თეატრის მსახიობი ვანო იანტბელიძე, ხათუნა იოსელიანი და ქართული კინოს ახალი აღმოჩენა ანი ამირიძე.

„აზერბაიჯანში გადაღებები სამ თვეს გაგრძელდება. ერთ წლის შემდეგ ფილმი მზად იქნება და არ არის გამორიცხული, 2007 წლის „პრომეთეს“ ფესტივალზე გავიტანო“, - განაცხადა ფილმის რეჟისრომა ფაიტ ჰელმერმა.

როგორც ზაზა ბუაძემ განაცხადა, ფილმი „არტ-ჰაუზ კომედიას“ განეკუთვნება, რომელსაც, მისივე თქმით, შეიძლება ინტელექტუალური კომედიაც ეწოდოს. ფილმი ეყრდნობა საგაზეთო ინფორმაციას. რომელშიც აღწერილი იყო თურქეთში მომხდარი ინციდენტი. ერთ-ერთ თურქულ სოფელში გაფუჭდა წყალგაყვანილობა, რასაც მოჰყვა ქალების გაფიცვა: არ იქნება წყალი, არ იქნება სექსი!

რეჟისორმა გადასაღები ადგილის ასარჩევად 8 ქვეყანაში იმოგზაურა და არჩევანი აზერბაიჯანზე შეაჩერა. მისივე თქმით, გადაღებები იქნება ორ სოფელში, ლაჰიჯსა და შექში. ფილმის ნაწილს საქართველოში გადაიღებს.

ფილმზე ძირითადად ქართული გადამღები ჯგუფი იმუშავებს. კინომხატვარია ვაჟა ჯალაღანია, რომელიც მღვიმის დეკორაციას აკეთებს, სავარაუდოდ მას ქართულ კინოსტუდიაში გადაიღებენ. ფილმის ოპერატორია გიორგი ბერიძე. ასევე ქართველები არიან რეჟისორის ასისტენტები. ქართველია გრიმიორი, პიროტექნიკოსები, კოსტუმების მხატვარიც. მსახიობთა კასტინგი 28 ქვეყანაში გაკეთდა.

როგორც ფაიტ ჰელმერმა აღნიშნა, ეს ყველაზე მასშტაბური კასტინგია მსოფლიო კინოს ისტორიაში. მსახიობები 14 ქვეყნიდან შეირჩნენ. მთავარ როლში არიან გერმანელი მაქსიმოლიან მაუფი და ჩეხი ქრისტინა მალეროვა, ორივე ახალგაზრდაა, 19 წლის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თელავის რაიონის გამგეობის ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაქვეყნებთ თელავის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულთა სიას:

1. მდ. თურდოსხევიდან (თელავის სასათბურე მეურნეობიდან) ახმეტის რაიონის სოფ. ზმ. ხოდაშენამდე მკვებავი საშუალო წნევის გაზსადენის ტრასის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა შპს "კომუნალსერვისი 2".

2. ქალაქ თელავში შუქნიშნების 4 ობიექტის სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა შ.პ.ს "შუქნიშანი".

3. თელავის რაიონის სოფ. აკურაში მინი მოედნის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა შ.პ.ს "თელავის ინფრასტრუქტურისა და უზრუნველყოფის სამმართველო"

4. ქალაქ თელავში წყალსადენის ქსელის ზონირების და შიდა ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა "შ.პ.ს. მაგისტრალმშენი".

# „Armani Code“ თბილისში

არმანის უცხო ყვავილი დასიზმრებია, ეს იყო მისი ახალი შთაგონება. როცა გაიღვიძა გადაწყვიტა, ამ ყვავილით შთაგონებულს შეექმნა ყველასაგან გამორჩეული სუნამო. არმანიმ სითხეში ჩადო ის კოდი, რომელიც ყოველ ქალს გააჩნია და რომლის გამომჟღავნების შემთხვევაში ნებისმიერი მამაკაცი უძლურია ცდუნების წინაშე.

ორი დღის წინ თბილისის „ვულე-ვუმ“ ქალის მომხიბვლელობის ამ იდუმალი საიდუმლოს გამჟღავნება გადაწყვიტა, როცა რესტორან „ქალაქურში“ ერთგულ კლიენტებსა და მეგობრებს ახალი სუნამო „არმანის კოდი“ წარუდგინა. პრეზენტაციაზე ახალი სუნამოს სანთლები დაანთეს და სათანადოდ მისი არომატით აავსეს გარემო. სანამ „ვულე-ვუ“-ს წარმომადგენლები საზეიმო ტორტს გაჭრიდნენ, საჩუქრად მოტანილი რამდენიმე „კოდი“ გაათამაშეს და კიდევ ის ვიდეო კლიპი გვიჩვენეს, რომელიც არმანის ახალი არომატის ვიზუალურ ილუსტრაციას წარმოადგენს.



*ჯიორჯიო არმანი.*

სუნამო გათვლილია ახალგაზრდა მომხიბვლელ, მომაჯადოვებელ და მაცდურ ქალებზე და ამავდროულად, - ჩუმ, ფარულ, იდუმალ პერსონებზე. მას განსაზღვრული ასაკიც აქვს. ის იმ ქალებისთვისაა, ვინც ოცს გადააბიჯა და ორმოცს მიუახლოვდა. არომატი მდიდრულია და არც ისე მსუბუქი. შექმნილია ფორთოხლის ყვავილის ინგრედიენტებზე. მასში იგრძნობა ასევე ჟასმინისა და ლავანდის შეხამება.

„არმანის კოდი“ ყვავილოვან, აღმოსავლურ სუნამოთა ტიპში ექცევა. დიზაინი ძალიან ორიგინალურია. მისი იერის მთავარი დეტალი მუქი ლურჯი ფერია, თუმცა არის კიდევ ერთი მთავარი აქსესუარი, რომელსაც შავი მაქმანის ყვავილი წარმოადგენს.

*24 საათი*

# კიდევ ნახევარი წელი

ამ ბოლო პერიოდში არტ-აუქციონებზე მხატვრული ტილოები კოლოსალურ თანხებში იყიდება. ფასები ერთბაშად გაიზარდა როგორც უკვე შედევრებად აღიარებულ სურათებზე, ისე აქამდე ნაკლებად პოპულარული მხატვრების ნამუშევრებზე. ექსპერტები იუწყებიან, რომ ამგვარი ვითარება დროებითია და სახელოვნებო ბაზარზე მსოფლიოში არსებული საერთო ეკონომიკური კრიზისი სულ მალე იმოქმედებს, მაგრამ მათივე თქმით, სანამ მძიმე ხანი დადგება, კიდევ ექვსი თვეა დარჩენილი რეკორდების მოსახსნელად.




ცვალებადი ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც ამბობენ, ყველაზე მეტად ე.წ. „ახალ კოლექციონერებს“ შეეხება. ისინი ძირითადად აშშ-ს, რუსეთს, იაპონიასა და ინდოეთს წარმოადგენენ. ბოლო წლებში სწორედ მათი წყალობითა და მონდომებით აიწია ხელოვნების ნიმუშთა ღირებულების საერთო დონემ. ისინი დღემდე დიდი რაოდენობით ყიდულობენ სხვადასხვა ნაციონალური ხელოვნების ნაწარმოებებს საერთაშორისო აუქციონებზე. გასული თვეების მოვლენებსა და თუნდაც გიგო გაბაშვილის ნამუშევრის შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ, სულ უახლეს ამბებს გადავხედოთ. 31 მაისს ლონდონის სოთბის აუქციონზე ივანე აივაზოვსკის ერთ-ერთი სურათი დნეპრის ხედით სამი მილიონ სამასი ათას დოლარად გაიყიდა. სულ ცოტა ადრე, 23 მაისს კი თანამედროვე ინდოელი მხატვრის ფრენსის ნიუტონ სოუზის „ამსტერდამის პეიზაჟი“ მილიონ თორმეტი ათას დოლარად შეიძინეს. ზოგად, მაგრამ ზუსტ გათვლებს რომ დავაკვირდეთ, 1995 წლიდან თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ღირებულება ოთხჯერ გაიზარდა.

მიუხედავად ეკონომისტების არცთუ ისე სახარბიელო პროგნოზებისა, არტ-დილერები მაინც ოპტიმისტებად რჩებიან და აცხადებენ, რომ უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში სახელოვნებო ბაზარი განვითარებას განაგრძობს და კოლექციონერები კიდევ არაერთხელ გაგვაოგნებენ ხელგაშლილობით.





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნებ-ის, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Hyundai და Toyota ერთმანეთს უპირისპირდებიან

ავტორიტეტულმა ამერიკულმა ორგანიზაციამ J.D PoWer-მა და Associates-მა ახალი ავტომობილების ხარისხის კვლევის რეზულტატები გამოაქვეყნა. გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ხარისხიან და საიმედო ავტომობილთა შორის პირველ ადგილზე კომპანია Porsche, რომელმაც მოახერხა და Lexus-სა და hyndai-საც კი აჯობა. ამ ავტომობილებს რეიტინგში მეორე და მესამე ადგილები უკავიათ. მეოთხე და მეხუთე ადგილებს კი Toyota და Jaguar იკავებს.

ყველაზე საიმედო ავტომობილებად ამერიკის შეერთებულ შტატებში Lexus LS430 და PORSCHE ითვლება. ამ მარკის ავტომობილთა მფლობელებს ყველაზე ნაკლებად აწუხებდათ ავტომობილებთან დაკავშირებული პრობლემები და ხარვეზები.

Lexus-ისა და Toyota-ს მარკის მოდელები ფასის თვალსაზრისით რეიტინგში, ლიდერის სტატუსით მეთერთმეტე ადგილზე გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ Lexus ამერიკაში უკვე მეთერთმეტე წელია, რაც ყველაზე საიმედო ავტომობილად ითვლება.

სპეციალისტების განცვიფრება კორეული HUNDAI-ს მესამე ადგილზე გასვლამ გამოიწვია. გასულ წელს, ამ ავტომობილს საერთო რეიტინგში მე-11 ადგილი უჭირავს.

საინტერესოა ასევე ავტომობილებთან დაკავშირებული პრობლემების სტატისტიკაც. ყოველი ასი გაყიდული ავტომობილიდან 102 შემთხვევა HUNDAI-ზე, ხოლო 106 Toyota-ზე მოდის. "ამაში არაფერია გასაკვირი. ეს მარკა სულ უფრო სწრაფი ტემპებით მიიწევს წინ და ბაზარს თამაშის სერიოზულ წესებსაც კარნახობს",- აცხადებს Toyota-ს ჩრდილოამერიკული განყოფილების მენეჯერი ჯიმ ლენცი.

რეიტინგის ბოლო საფეხურებს Land Rover, Isuzu, Volkswagen, Hummer და SuzUki იკავებს. ამ ავტომობილების ახალი მოდელების მფლობელები უკმაყოფილებას არ მალავენ და აცხადებენ, რომ ხშირი პრობლემების გამო ისინი ხშირად მიმართავენ სადაზღვევო კომპანიებს.

## NEMIROFF მსოფლიოში მესამე ადგილზეა

## MOTOROLA სკანდალს 18 მილიონ დოლარად აფასებს

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3511 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9981 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4889 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,7955 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8373 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1897 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3119 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3118 |
| 1 ევრო | EUR | 2,3260 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4871 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3453 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,1350 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1605 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3820 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1961 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2530 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4010 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6336 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,2765 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,6591 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3582 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2996 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5892 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6032 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0672 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1414 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4211 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5570 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4695 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,5810 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8853 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2089 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4431 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2532 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4895 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0821 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2242 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2314 |




# GG&MW შეღავათებს ითხოვს

## ბენდუქიძე კომპანიის წინადადებას იწუნებს

მარიამ ჭაჭვაძე

*"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" - GG&MW მთავრობისგან დღე-ღამეში ლიცენზიით გათვალისწინებული მინერალური წყლის ჩამოსხმის შემცირებას ითხოვს, რისი დაკმაყოფილება სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს არასწორად მიაჩნია. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე სწორედ ამ საკითხზე მსჯელობდნენ, თუმცა ის კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა.*



"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მინერალური წყალი - "ბორჯომის" დღიური წარმოების 320 მ3-დან 100 მ3-მდე შემცირების თხოვნით ამ ცოტა ხნის წინათ მიმართა.

GG&MW წარმოების შემცირებას რუსულ ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ითხოვდა.

მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ეს თხოვნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დააყენა.

მინერალური წყლის მოპოვებაზე გაცემულ წიაღით სარგებლობის ლიცენზიაში შესატან ცვლილებს მინისტრი პაპუაშვილი მხარს უჭერს და იმედს გამოთქვამს, რომ მთავრობა მომავალში GG&MW-ს თხოვნას გაითვალისწინებს.

კანონში შესატანი ცვლილებების აუცილებლობაზე გუშინ მინისტრმა პაპუაშვილმა სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის დარწმუნება, ვერ მოახერხა. ბენდუქიძე GG&MW-ის თხოვნას მინერალური წყლის წარმოების მოცულობის შემცირების შესახებ არასწორად მიიჩნევს. მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამით "ბორჯომის" ჩამომსხმელმა ჯერჯერობით ერთადერთმა კომპანიამ გამოუყენებელი სიმძლავრეებს ასათვისებლად, შესაძლოა, სხვებს მისცეს სტიმული. კახა ბენდუქიძის განცხადებით, კომპანიას მოცულობის შემცირება გადასახადების შესამცირებლად სურს. **"მე ამ ნაბიჯზე არ წავიდოდი. მათთვის შეიძლება სახიფათო იყოს იმიტომ, რომ შეიძლება სიმძლავრეების გამოყენება სხვამ მოინდომოს და სხვამ დაიწყოს მისი ათვისება,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

მინისა და მინერალური წყლების კომპანიაში აცხადებენ, რომ მთავრობამ კომპანიის თხოვნა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რადგან რუსეთში "ბორჯომის" იმპორტის აკრძალვამ მინერალური წყლის მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირა. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ბადრი ჯაფარიძის თქმით, ბორჯომში ჩამოსასხმელი ქარხნები გაჩერებულია და წყლის ჩამოსხმა აღარ ხდება. **"ჩვენ დღეს საკმარისი პროდუქცია გაგვაჩნია იმისათვის, რომ დღევანდელი მოთხოვნა არსებული პროდუქციით დავაკმაყოფილოთ. ამიტომ, შესაბამისად, ლიცენზიით გათვალისწინებული 320 კუბური მეტრი წყლის ჩამოსხმა აღარ ხდება და მიგვაჩნია, მთავრობამ ეს პრობლემა უნდა გაითვალისწინოს და მოცულობა შეამციროს,"** - განაცხადა ჯაფარიძემ.

მისი თქმით, მოცულობის შემცირებით მინერალური წყლის ჩამოსხმაზე არსებული გადასახადიც შემცირდება. **"ჩვენმა კომპანიამ ამ აკრძალვებით ისედაც ბევრი იზარალა. მიმაჩნია, რომ ჩვენი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ეს გადასახადები მაინც ავიცილოთ თავიდან,"** - განაცხადა კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა.

# ვინ ჩაუტარებს მშენებარე სახლს ექსპერტიზას?

## უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს კონსტიტუცია მოითხოვს

თინა შავაძე
ნინო ნატროშვილი

*სამშენებლო სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ბევრი კანონპროექტი მომზადდა. პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე მოსალოდნელია ძირითადი კანონის - სამშენებლო კოდექსის განხილვა. სამშენებლო საქმეში მნიშვნელოვანია მშენებარე სახლის პროექტის ექსპერტიზა და მისი დამტკიცება. ამ დასკვნამ უნდა უზრუნველყოს ცხოვრების უსაფრთხო გარემო.*

- **უმეტეს შემთხვევაში მშენებარე სახლის ექსპლუატაციის ვადა არ არის დადგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლის მდგრადობის ხანგრძლივობა უცნობია. არსებული მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, კანონმა მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტია უნდა მისცეს.**
- **კანონის დებულებების უმეტესობა დღეისათვის მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.**
- **წარმოდგენილი კანონპროექტით "ბარიერი" არ უქმდება, არსებული წესისგან განსხვავებით, სახელმწიფო ამ უფლების განხორციელების იურიდიულ შესაძლებლობას აძლევს სხვა ორგანიზაციებსაც.**



B2

# ვინ ჩაუტარებს მშენებარე სახლს ექსპერტიზას?

## უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს კონსტიტუცია მოითხოვს

პირველი გვერდიდან

მთავრობამ მოამზადა საქართველოს კანონების პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს "მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების გაუქმებას. პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მოამზადა და ის დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის ჯერ კიდევ არ წარუდგენიათ. მაგრამ აღნიშნულ ინიციატივას პარლამენტში სათანადო წინააღმდეგობა უკვე შეხვდა. მიმდინარე თვეში ცალკეული კომიტეტების მიერ ბევრი შენიშვნა გამოითქვა.

დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს მიაჩნია, რომ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი საფუძვლიანად ვერ ადასტურებს "მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის გაუქმების აუცილებლობას, რადგან მასში მოყვანილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა არა კანონის გაუქმება, არამედ მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ასევე მიზანშეწონილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნორმატიული აქტით ექსპერტიზის განხორციელების უფლების გაცემა სხვა ორგანიზაციებზე. აღნიშნული პრობლემის დარეგულირება უმჯობესია მოხდეს შესაბამისი კანონით. კერძოდ, კანონით, რომელიც სამშენებლო კოდექსის შემადგენელი ნაწილია და რომელიც საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 24 ოქტომბრის N 502-II-ის დადგენილებით საქართველოს მთავრობის მიერ მუშავდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომიტეტი თანახმაა, წარმოდგენილი კანონპროექტი განხილული იქნას საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

რა მიზეზით არ გაითვალისწინა მთავრობამ ეს შენიშვნა:

მოქმედი კანონის დებულებების უმეტესობა დღეისათვის მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. ამდენად, მასში ცვლილებების შეტანა ახალი კანონის დაწერის ტოლფასი იქნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად იცვლება კომპლექსური ექსპერტიზის გაცემის წესი და შინაარსი. ხდება სავალდებულო ექსპერტიზას დაქვემდებარებული მშენებლობების ნუსხის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც პრინციპული ცვლილებაა ფუნქციების განმახორციელებელ ორგანოსთან მიმართებაში. სახელმწიფო შპს-ს ნაცვლად, ფუნქციები კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე გადადის. ინერგება ახლებური მიდგომა, კერძოდ, სერტიფიცირების სისტემა.

სხვა ორგანიზაციებისთვის ექსპერტიზის უფლების მიცემა არ არის გათვალისწინებული ეკონომიკური განვითარების მინისტრის ნორმატიული აქტით. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გათვალისწინებულია საექსპერტო ორგანიზაციების აკრედიტაცია აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში (ყოფილი საქსტანდარტის ბაზაზე შექმნილი ორგანო).

რაც შეეხება სამშენებლო კოდექსს, ზემოაღნიშნული ცვლილება შეესაბამება კოდექსით გათვალისწინებულ ექსპერტიზის ჩატარების მეთოდს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი:

როგორც კანონპროექტიდან ირკვევა, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილების მიზანია სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარ სამმართველოში სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების გაუქმება. საკანონმდებლო ცვლილებებით მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება 2007 წლიდან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სერტიფიკაციის სისტემის დანერგვის მიზნით. თუმცა გაუგებარია, ამ კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებიდან 2007 წლამდე ვინ განახორციელებს დაწყებული მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზას. კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელება მოცემულ სფეროში საკანონმდებლო ვაკუუმს შექმნის, რაც გამოიწვევს უარყოფით შედეგს. კერძოდ, მშენებლობები წარიმართება უხარისხო პროექტების საფუძველზე, აღნიშნული კი საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა სიცოცოცხლესა და ჯანმრთელობას.

რა მიზეზით არ გაითვალისწინა მთავრობამ ეს შენიშვნა:

მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა წარმოადგენს მშენებლობის ნებართვების გაცემის ერთ-ერთ შემადგენელ პროცედურას. გარდამავალ პერიოდში ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი პრინციპები განხორციელდება "მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N140 დადგენილებით, რომელშიც შევა შესაბამისი ცვლილებები.

აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს ექსპერტიზის განხორციელებას უშუალოდ ექსპერტების მიერ, მათთან ნებართვის მაძიებლის მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ექსპერტიზა ჩაუტარდება შენობა-ნაგებობათა მშენებლობის პროექტების იმ ნაწილებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ მდგრადობასთან და სიმტკიცესთან და რის საფუძველზეც გაიცემა მშენებლობის ნებართვა.

რაც შეეხება პროექტის დანარჩენ ნაწილებს, მათი უმეტესობა შესწავლის, შემოწმებისა და განხილვის პროცედურებს გადის სათანადო სამსახურებსა და უწყებებში (არქიტექტურული, გარემოსდაცვითი, ნაპირდაცვითი, საშიშ საწარმოთა ტექნოლოგიები, ამწე დანადგარები და სხვა.)

ექსპერტების შერჩევის კრიტერიუმები და ექსპერტიზის განხორციელების წესი გარდამავალ ეტაპზე დარეგულირდება ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტი:

ბიუჯეტით გათვალისწინებული მშენებლობის პროექტების სავალდებულო კომპლექსური ექსპერტიზის გაუმართლებლობის დასაბუთება, მისი, როგორც "დამატებითი ბარიერისა" და, ხშირ შემთხვევაში, "ფორმალობის" ნიშნის მიხედვით, არ არის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ მშენებლობათა ექსპერტიზის გაუქმებისათვის მყარად არგუმენტირებული სამართლებრივი საფუძველი. წარმოდგენილი კანონპროექტით "ბარიერი" არ უქმდება, არსებული წესისგან განსხვავებით, სახელმწიფო ამ უფლების განხორციელების იურიდიულ შესაძლებლობას აძლევს სხვა ორგანიზაციებსაც. ექსპერტიზის სავალდებულო პირობებში, ექსპერტიზის დასკვნის ფორმალურობა და მასში მნიშვნელოვანი ტექნიკური გადაწყვეტილებების ნაკლებობა კი პროცესის გაუმართაობაზე მიუთითებს მხოლოდ, და არა ზოგადად ექსპერტიზის მნიშვნელობის დაკნინებაზე. საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ ექსპერტიზის გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე და პროცესის ეფექტური მექანიზმით უზრუნველყოფის შემთხვევაში, აღნიშნული სახის ხარვეზები ექვემდებარება შიდა რეგულირებას და მათ არ ექნებათ მუდმივი ხასიათი.

რა მიზეზით არ გაითვალისწინა მთავრობამ ეს შენიშვნა:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ობიექტების ექსპერტიზის გაუქმებას; მცირდება ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალი (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო). ექსპერტიზის მნიშვნელობა არ კნინდება, იცვლება განმხორციელებელი ორგანიზაციების სტატუსი და ექსპერტიზის ჩატარების წესი, რასაც საფუძვლად უდევს პროცედურის გამარტივება, ექსპერტიზის ეფექტურობის გაზრდა, სხვა ორგანიზაციების დუბლირება. დამატებითი ბარიერების ქვეშ კი იგულისხმება კონსტრუქციული სირთულის თვალსაზრისით უმნიშვნელო ობიექტებზე სავალდებულო ექსპერტიზის გაუქმება.

კიდევ არსებობს მრავალი შენიშვნა, რომელიც განხილვის სტადიაშია, რაზეც საპარლამენტო კომიტეტები მომავალ კვირას იმსჯელებენ.

საქართველოს კანონის პროექტზე "მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე" "24 საათს" პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების კომიტეტის აპარატის სპეციალისტი **ვაჟა ქარუმიძე** ესაუბრა.

**- რა შენიშვნები გაჩნდა პროექტის მიმართ?**

- ამ კანონპროექტის შესახებ საჭიროა, მთავრობამ დამატებითი ინფორმაცია წარმოადგინოს. ასევე აუცილებელია იმის ახსნა, თუ რატომ არის აუცილებელი მაინცდამაინც მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახურის გაუქმება და არა საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა. საუბარია იმაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტად. ეს ფუნქცია რომ შეასრულოს, მას შესაბამისი სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს. სერტიფიკატი კი სხვა სახელმწიფო ორგანომ უნდა მისცეს. ამ შემთხვევაში საჭიროა ახალი სამსახურის შექმნა, რაც დამატებით ხარჯებს გამოიწვევს.

**- ესე იგი, ეს სამსახური არ უქმდება?**

- საქმე ის არის, რომ ეს სამსახური წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით და იქ მომუშავე პროფესიონალით საქმეს აკეთებდა. კანონპროექტი გულისხმობს დამატებითი სტრუქტურების შექმნას. კომიტეტმა ამ საკითხზე იმსჯელა და შესწორებები შეიტანა. პლენარულ სხდომაზე კანონზე ჯერ არ უმსჯელიათ. საკომიტეტო მოსმენაზე დამატებით ინფორმაციას ველოდებით. მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახური არის უწყება, რომელიც თავიდან ბოლომდე ახორციელებს ექსპერტიზას გეოდეზიაზე და არქიტექტურაზე. ამიტომ ამ კანონპროექტს პარლამენტის გარემოს დაცვისა და იურიდიული კომიტეტები პარალელურ რეჟიმში განიხილავენ.

**- ეს რა სამსახური იქნება?**

- ეს იქნება უწყება, რომელიც მშენებლობის დაწყებამდე და მის დასრულებამდე კომპლექსურ დასკვნას დადებს გეოდეზიაზე და არქიტექტურაზე.

**- კომუნისტების მმართველობის მშენებლობის დაწყებამდე სახლის ექსპლუატაციის ვადა ცნობილი იყო. ახლა სამშენებლო კომპანიასა და ამხანაგობის წევრებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ჩადებულია თუ არა ეს ვალდებულება ამ კანონპროექტში?**

- უმეტეს შემთხვევაში მშენებარე სახლის ექსპლუატაციის ვადა არ არის დადგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლის მდგრადობის ხანგრძლივობა უცნობია. არსებული მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, კანონმა მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტია უნდა მისცეს. ვფიქრობ, ამ სამსახურმა ეს ფუნქცია თავიდან ბოლომდე უნდა შეასრულოს, სახელმწიფომ კი აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნაზე, რასაც მოითხოვს კონსტიტუცია.

### აჭარაში მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებამ 90,2 მლნ ლარი შეადგინა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საქართველოს კომერციული ბანკების 16 ფილიალის საკრედიტო დაბანდებამ 2006 წლის I კვარტლის განმავლობაში 90,2 მლნ ლარი შეადგინა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წლის 31 დეკემბრის მონაცემებს 28 პროცენტით აღემატება. სებ-ის ინფორმაციით, საკრედიტო დაბანდებაში მნიშვნელოვანი წილი, ტრადიციულად, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროსათვის (34,7 პროცენტი) და ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს (37,7 პროცენტ) უკავიათ. დანარჩენი 27,6 პროცენტი გადანაწილებულია მშენებლობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სფეროებზე. სებ-ის ანალიზის მიხედვით, თუ 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფილიალების საკრედიტო პორტფელის 20,5 პროცენტი (14,4 მლნ ლარი) ეროვნული ვალუტით, ხოლო 79,5 პროცენტი (55,9 მლნ ლარი) უცხოური ვალუტით იყო განთავსებული, 2006 წლის I კვარტლის მონაცემებით, 22,4 პროცენტი (20,2 მლნ ლარი) ეროვნული ვალუტით, ხოლო 77,6 პროცენტი (70 მლნ ლარი) უცხოური ვალუტით არის დენომინირებული. 2006 წლის I კვარტალში გაცემული მთლიანი სესხების 72 პროცენტი (64,7 მლნ ლარი) გრძელვადიანია, რაც 2005 წლის 31 დეკემბრის მონაცემებს 16,6 მლნ ლარით, ანუ 33 პროცენტით აღემატება. აღნიშნულ პერიოდში ბანკების ფილიალების ვალდებულებებმა 71,8 მლნ ლარი შეადგინა, რომელთაგან 32,7 მლნ ლარი (45,5 პროცენტი) ეროვნული ვალუტით, ხოლო 39,1 მლნ ლარი (54,5 პროცენტი) - უცხოური ვალუტით არის განთავსებული.

2006 წლის I კვარტალში სწრაფი ფულადი გზავნილების მეშვეობით რეგიონში 10 მლნ აშშ დოლარი და 266 ათასი ევრო ჩაირიცხა, ხოლო გადარიცხულმა თანხამ 3,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გადმორიცხული თანხების ძირითადი ნაკადი რუსეთზე, თურქეთსა და გერმანიაზე მოდის.

რეგიონში მოქმედი სამი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (ფონდი "კონსტანტა", საფინანსო კომპანია BBK, "ფინკა საქართველო") მიერ გაცემული კრედიტების ოდენობამ, 2006 წლის I კვარტლის მონაცემებით, 3,5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მსესხებელთა საერთო რაოდენობამ 2750-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2006 წლის მარტის თვის განმავლობაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო დაბანდება 1 მლნ ლარით გაიზარდა, რაც საკრედიტო ბაზრის ამ სეგმენტში მომხმარებელთა დაინტერესების ზრდაზე მიუთითებს. მიმდინარე წლის I კვარტლის განმავლობაში რეგიონში ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა 14 ერთეულით გაიზარდა, ხოლო 2005 წლის 31 დეკემბრისათვის რეგიონში ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი 73 ლიცენზირებული პუნქტი ფუნქციონირებდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### საქართველოს გაზის დამატებითი მოცულობის მიღება თურქეთის კვოტიდან შეუძლია

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან საქართველოს წილის გაზრდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურს რეალურად მიაჩნია. როგორც გილაურმა ხუთშაბათს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, მოლაპარაკებები ამასთან დაკავშირებით თბილისში საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის ენერგეტიკის ექსპერტების დონეზე 12-13 ივნისს გაიმართება.

გილაურის თქმით, მოლაპარაკებები თურქეთთან კვოტის ნაწილის საქართველოსთვის დათმობის შესახებ დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობს და ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა. ენერგეტიკის სამინისტროს გათვლებით, 2007 წლისათვის საქართველოში გაზის მოხმარების წლიური მაჩვენებელი დღეს არსებული 1,5 მლრდ-დან 2 მლრდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება, რაც გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროების მოპოვების საჭიროებას ქმნის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### საქართველო ბთჯ-დან წელიწადში 62 მლნ დოლარს მიიღებს

საქართველომ 2020 წლამდე ნავთობის მოპოვების სტრატეგია შეიმუშავა, რაც ამ სფეროში ქვეყნის პოლიტიკის ფუნდამენტი გახდება, - ამის შესახებ აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ისაკ ნოვრუზოვმა ხუთშაბათს ბაქოში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ნავთობის მოპოვების მაქსიმალურ მაჩვენებლებს საქართველომ 80-იან წლებში მიაღწია, როდესაც 3,3 მლნ ტონა ნავთობს მოიპოვებდა და ამით ქვეყნის ნავთობზე მოთხოვნის 70 პროცენტს აკმაყოფილებდა. მომდევნო წლებში ნავთობის მოპოვების მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა.

**"2006 წლიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედება წელიწადში 50 მლნ ბარელი ნავთობის ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. საქართველო ნავთობსადენის ექსპლუატაციიდან 40 წლის განმავლობაში 2,5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალს მიიღებს, რაც წელიწადში 62 მლნ აშშ დოლარია,"** - განაცხადა ნოვრუზოვმა. მისი განმარტებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედება მნიშვნელოვნად განტვირთავს ბაქო-სუფსის ნავთობსადენს, რომელიც ოდესა-ბროდის ნავთობსადენის და საბორნე გადასასვლელის მეშვეობით, კასპიის ზღვის და შუა აზიის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირებისათვის იქნება გამოყენებული. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### მსხვილი საწარმოების ბრუნვა იანვარ-მაისში 30 პროცენტით გაიზარდა

მსხვილი კერძო და სახელმწიფო საწარმოების ბრუნვა 2006 წლის დასაწყისიდან დღემდე, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 30 პროცენტით გაიზარდა, რაც ქვეყნის ინტენსიურ ეკონომიკურ განვითარებაზე მიანიშნებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის ოთხშაბათის სხდომის დაწყებისას განაცხადა.

ნოღაიდელის განმარტებით, 2006 წლის იანვარ-მაისში ქვეყანაში 30 ათასზე მეტი საწარმო იყო რეგისტრირებული.

**"ამ პერიოდში დაახლოებით 70 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, აქედან 20 ათასი მხოლოდ მაისში. 2006 წლის პირველ 5 თვეში კერძო საწარმოების სახელფასო ფონდმა 550 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 100 მლნ ლარით მეტია,"** - განაცხადა ნოღაიდელმა და დასძინა, რომ მთავრობის მთავარი ამოცანაა დაწყებული ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, 2006 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული ეკონომიკური მაჩვენებლები ივნისის ბოლოს გახდება ცნობილი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# GTZ-ი კახელ ფერმერებზე ზრუნავს

*ბოლო ერთის თვის განმავლობაში კახეთში ქართული მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებით არაერთი ქვეყანა დაინტერესდა. საკუთარი ტექნიკის გამოფენა-გაყიდვა ავსტრიულმა კომპანია GTZ -მა რეგიონის ფერმერებისთვის გურჯაანის რაიონში გამართა.*

საერთაშორისო ექსპერტი ადრიან ბადრინი აცხადებს, რომ რეგიონში მევენახეობა მაღალ დონეზეა განვითარებული. **"თუმცა, რაც დღეს კეთდება, ამ დარგის საბოლოო განვითარებისთვის საკმარისი არ არის. საფერავი, რომელიც თქვენ, ქართველებს გაქვთ, უნიკალურია, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ქართული მევენახეობა და მეღვინეობა მსოფლიოსთვის მაგალითი გახდეს,"** - აცხადებს ბადრინი.

გამოფენა, რომელიც გურჯაანის კულტურის ცენტრში გაიმართა, ავსტრიული ფირმის პროდუქციით დაინტერესებულ ადამიანებს ვერ იტევდა. აქ წარმოდგენილი იყო როგორც ყურძნის მინიგადამამუშავებელი საწარმო, ასევე სპეციალურად ღვინის შესანახი, დასაძველებელი ცისტერნები. პროდუქციის ღირებულება იმდენად დიდია, რომ გლეხს მისი ყიდვის საშუალება არ ექნება. **"ჩვენი ტექნიკა, რომელიც, ძირითადად, გერმანულ-იტალიური წარმოებისაა, გათვლილია ფერმერებზე. თუმცა, ასეთი ფასები არ ექნებოდა, რომ არა ძვირი ტარიფები განბაჟებაზე. გარდა ამისა, გზაც დიდია - ავსტრიიდან საქართველოში ჩამოტანას 14 დღე მოვუნდით,"** - აღნიშნავს კომპანიის ტექნიკური დირექტორი რაიმონ ტისოტი.

ამ დროისთვის კომპანიამ კახეთში 32 ათასი ევროს ღირებულების ტექნიკა შემოიტანა. როგორც GTZ -ს წარმომადგენლობა აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ კახელი ფერმერების ინტერესი დიდი იქნება, ისინი რეგიონს ავსტრიული დანადგარებით კვლავ მოამარაგებენ. **"დანადგარების შეძენის მსურველი არის. ის დანადგარები, რომლებიც ჩამოვიტანეთ, უკვე გაიყიდა. თუ მოთხოვნა გაიზრდება, ჩვენ შევძლებთ, რომ ღირებულება შესაბამისად შევამციროთ,"** - აღნიშნავს რაიმონ ტისოტი და იქვე ამბობს, რომ თუ თანამშრომლობა კარგად აეწყო, ისინი ფერმერებს კრედიტების აღებაშიც დაეხმარებიან.

მეწარმეების თქმით, უკვე დროა, რომ ქართული ღვინის ჩამოსხმა ევროსტანდარტის შესაბამისი ტექნიკური აპარატურით მოხდეს. გერმანული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა 9 ივნისამდე გაგრძელდება.

*24 საათი*

### სსბ-ზე ათი კომპანიის აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ხუთშაბათს გამართულ 43 (628)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 10 კომპანიის აქციები, რომელთაგანაც გარიგება დაიდო ათივე კომპანიის ფასიან ქაღალდებზე. გარიგებების რაოდენობა 51 იყო, მათმა მოცულობამ 114 273 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ კი 216 094 ლარი.

სსბ-ზე ხუთშაბათს 75 ათასი ლარის "სოფლმშენის" (SOPM) აქციები გაიყიდა, 56 ათასი ლარის "საქართველოს ბანკის" (GEB), 54,8 ათასი ლარის კი - "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC).

გარიგებები ასევე დაიდო "თელასის" (AEST), "დავით სარაჯიშვილი და ენისელის" (ENIS), "საქწყალპროექტის" (STSP), "რეა-ქართუს" (REAQ), "გრაალი-92"-ს (GR92), სავაჭრო სახლი "ბავშთა სამყაროს" (SSBS), "საქტელეკომმშენი"-ს (STLM) და "ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო სავაჭრო ბაზის" (TUSB) აქციებზე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### "როსპოტრებნადზორი" მწარმოებლებს 70 მილიონი დოლარით აზარალებს

"როსპოტრებნადზორის" მოსკოვის განყოფილებამ საქართველოდან და მოლდოვადან მოსკოვის ტერიტორიაზე შეტანილი ღვინის, ღვინოსამასალებისა და კონიაკის განადგურების, ან გატანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. წერილი, რომელიც "როსპოტრებნოდზორის" ამ გადაწყვეტილების შესახებ იუწყება, მოსკოვში არსებულ ამ ბიზნესით დაკავებულ ყველა ობიექტს დაეგზავნა.

გაზეთ "კომერსანტში" გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამგვარი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შედეგად მიღებულმა ზარალმა შეიძლება 70 მილიონი დოლარი შეადგინოს. იზარალებენ როგორც მწარმოებლები, ასევე ალკოჰოლის ბითუმად მოვაჭრეები.

მართალია, ქართული და მოლდავური ღვინო და ღვინომასალები, უკვე რამდენიმე თვეა, კანონგარეშეა, მაგრამ რუსული ქარხნები მაინც აგრძელებდნენ პროდუქციის წარმოებას მოლდავური ღვინომასალების გამოყენებით.

ალკოჰოლით ბითუმად მოვაჭრეებმა კი, თავის მხრივ, გაიტანეს დახლებიდან პროდუქცია, მაგრამ ის არც გაუნადგურებიათ და არც მოსკოვის ტერიტორიიდან გაუტანიათ. ექსპერტთა ვარაუდით, მოსკოველ ბითუმად მოვაჭრეებს 20-30 მილიონი ბოთლი ქართული და მოლდავური წარმოების ღვინო აქვთ გადანახული. მათი საერთო ღირებულება 60 მლნ. დოლარზე მეტია.

რუსეთის მთავარი სანიტრის, გენადი ონიშჩენკოს გადაწყვეტილებით, ქართული და მოლდავური ღვინოების იმპორტი და რეალიზაცია რუსეთის ტერიტორიაზე 2006 წლის აპრილში აიკრძალა. აკრძალვის მიზეზად პროდუქციაში ჯანმრთელობისათვის მავნე პესტიციდების არსებობა დასახელდა. **ინტერპრესნიუსი**

### ენერგეტიკის სამინისტრო, შესაძლოა, რომელიმე სამინისტროს შეუერთდეს

მიმდინარე წლის ბოლოსთვის ენერგეტიკის სამინისტრო თავის ყველაზე დიდ ფუნქციას ამოწურავს. ამის შესახებ გუშინ რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროების სავარაუდო გაერთიანების კომენტირებისას, მთავრობის კანცელარიაში განაცხადა. მისი თქმით, სამინისტროს ფუნქცია არის ენერგეტიკის სფეროს ტექნიკურად გამართვა, რისი განხორციელების შემდეგაც ის, შესაძლოა, რომელიმე სამინისტროს შეუერთდეს.

რაც შეეხება ეკონომიკის სამინისტოს, ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ ის ქვეყანაში გარდამავალ ეტაპზეა აუცილებელი. **"2007 წლისათვის ეკონომიკის სამინისტრო საქართველოში, შესაძლოა, საჭირო აღარ იყოს,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მუშავდება მთავრობის ცვლილების ახალი სქემა, რომლის თანახმად, ეკონომიკური და ძალოვანი გუნდები შეიცვლება და ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროები გაერთიანდება. **ინტერპრესნიუსი**

## NEMIROFF მსოფლიოში მესამე ადგილზეა




პირველად, საერთაშორისო ალკოჰოლური ბაზრის ისტორიაში, უკრაინული ბრენდი NEMIROFF მსოფლიოს წამყვან ბრენდთა სამეულში მოხვდა.

დღეიდან სასმელი ახალი სტატუსით - TM Nemiroff- მშოფლიოში მე-3 არაყი"-ისარგებლებს.

2005 წლის შედეგები შეჯამების შედეგად, World Milionaires Clubმ-მა ალკოჰოლური სასმელების ბიზნესის შემდეგი კლასიფიკაცია შეადგინა. 1 - Smirnoff. 2 - Stolichnaya. 3 - Nemiroff.

უკრაინული ბრენდის მსოფლიო სამეულში შესვლის სენსაციურობა იმან განაპირობა, რომ მან შვედურ არაყ Absolut-ს სულ მცირედით გაუსწრო. შვედურმა არაყმა 2004 წლის კონკურსზე მესამე ადგილი აოლო.

ასე რომ, 130 წლიანი ტრადიციების მქონე უკრაინულმა ბრენდმა, რომლის წარმოებაც თავიდან პატარა ქალაქ ნემიროვში დაიწყო, უკრაინა საერთაშორისო სივრცეში სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა.

World Millionaires Club უკრაინული NEMIROFF-ის მიერ განვლილ ეტაპებს გვთავაზობს:

2002 წელი- პირველი უკრაინული ბრენდი Tm NEMIROFF პირველად ჩნდება "World Millionaires Club"-ის რეიტინგში.

2003 წელი - ბრენდი Nemiroff პირველად ღებულობს "საერთაშორისო" სტატუსს.

TM Nemiroff წარმოების ზრდისა და მოგების თვალსაზრისით რეიტინგში 33-ე ადგილს იკავებს. წყლების რეიტინგში კი მე-7 ადგილზეა.

2004 წელი - TM Nemiroff განვითარების დინამიკისა და გაყიდვების სწრაფი ტემპის თვალსაზრისით მსოფლიოში პირველი ბრენდის სტატუსს იკავებს. პროდუქციის გაყიდვების მაჩვენებელი 45%-ზე ადის.

2005 wels - World Millionaires Club უკრაინულTM Nemiroff-ს ყველაზე დინამიურ პროდუქციად მიიჩნევს.

ასე რომ, Nemiroff 2006 წელს მსოფლიოს მასშტაბით მესამე და საპატიო ადგილს იკავებს.

კომპანია Nemiroff -ის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ალექსანდრე გლუსი: " მსოფლიოში ნომერ მე-3 არყის" სტატუსი ჩვენი ბრენდისთვის დიდი წარმატებაა და ამასთან დიდი პასუხისმგებლობაც. ეს მიღწევა კომპანიას კიდევ უფრო ამბიციურ მიზნებს გაუღვიძებს. ჩვენმა ბრენდმა უკრაინა მსოფლიოში ახალ ასპარეზზე გაიყვანა.

და დღეს, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მსოფლიოს 52 ქვეყნის მომხმარებლმა უკრაინული ბრენდი Nemirooff საუკეთესო ალკოჰოლურ სასმელთა შორის მესამე საპატიო ასდგილზე გაიყვანა."

## Microsoft ანტი iPod-ურ კოალიციას უხელმძღვანელებს

კომპანია Microsoft, Toshiba, JVC და NTT-DoCoMo ციფრული ფლეერების წარმოების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას აპირებენ. ამ კოალიციის მთავარ ამოცანას მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ პოპულარული Ipod-ის ფლეერების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

ამერიკულ-იაპონური კომპანიების კოალიცია ციფრული ფლეერების წარმოებაზე იმუშავებს. კომპანია Microsift პროდუქციის პროგრამულ მომსახურებას უზრუნველყოფს, Toshiba და JVC კი აპარატურულ უზრუნველყოფას განახორციელებს.

უმსხვილესი იაპონური სატელეკომუნიკაციო კომპანია NTT DoCoMo კი გამოუშვებს მობილურ ტელეფონებს, რომლებიც კოალიციის მიერ წარმოებულ ფლეერებს შეესაბამება. რაც იმას ნიშნავს, რომ NTT-ს მობილურ ტელეფონებთან მიერთებული ციფრული ფლეერი WMP-ის ბაზაზე იმუშავებს.

რაც შეეხება iPod-ის ფლეერებს, ისინი მსოფლიო ბაზარზე დიდი პოპულარულობითა და მოთხოვნილებით სარგებლობენ. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე iPod-ის ფლეერებს 70% უჭირავს.

# ემპაიერ სტეიტ ბილდინგი 75 წლისაა

მერაბ ლორთქიფანიძე

მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ცათამბჯენს, ნიუ იორკის "ემპაიერ სტეიტ ბილდინგს" წელს აშენებიდან 75 წელი შეუსრულდა. ესოდენ სოლიდური ასაკის მიუხედავად ცათამბჯენს, რომელსაც ხშირად "ნიუ იორკის ბებერ დედოფალსაც" უწოდებენ, მაინც უამრავი მნახველი ჰყავს - ყოველწლიურად ის დაახლოებით ორ მილიონ ტურისტს იზიდავს.




"ემპაიერ სტეიტ ბილდინგი" აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი პერიოდის - "დიდი დეპრესიის" დროს აშენდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მეხუთე ავენიუზე მდებარე 102-სართულიანი ცათამბჯენის აშენებას მხოლოდ 13 თვე დასჭირდა.

სხვათა შორის, ცათამბჯენი (მისი სახელი წარმოიშვა ნიუ იორკის შტატის მეტსახელიდან - იმპერიის შტატი) ამერიკის იმდროინდელი ეპოქის ორი მულტმილიონერის - საავტომობილო იმპერია "კრაისლერის" დამაარსებელ უოლტერ კრაისლერისა და კიდევ ერთი საავტომობილო იმპერიის, "ჯენერალ მოტორსის" დამაარსებელ ჯონ ჯეიკობ რასკობის მეტოქეობის პირდაპირი შედეგია.

ამ ორმა ადამიანმა თითქმის ერთდროულად წამოიწყო ცათამბჯენის მშენებლობა. პირველი ცათამბჯენი კრაისლერმა დაასრულა და მის შედევრს "კრაისლერ ბილდინგი" (კრაისლერის შენობა) ეწოდა. ოდნავ მოგვიანებით დასრულდა "ემპაიერ სტეიტ ბილდინგის" მშენებლობაც. მათ დაახლოებით ერთნაირი ფორმა აქვთ და თითქმის თანაბარი სიმაღლისანი აღმოჩნდნენ. დიდი ანძის წყალობით, ოდნავ უფრო მაღალი "ემპაიერია".

სხვათა შორის, ეს ანძა თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც სამგზავრო ცეპელინების (დირიჟაბლების) "ნავმისადგომი". თუმცა, შემდეგ მას უფრო თანამედროვე მისია დაეკისრა - ტელეანძად გადაკეთდა.

"ემპაიერ სტეიტ ბილდინგის" მშენებლობა 1930 წლის მარტში დაიწყო. არქიტექტორებმა გამოიყენეს იმ დროს არსებული თითქმის ყველა საინჟინრო-არქიტექტურული სიახლე. მთავარმა არქიტექტორმა უილიამ ლემბმა თავის მომავალ შედევრს ჩვეულებრივი ფანქრის ფორმა მისცა. მაშინ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ დაახლოებით იგივე ფორმისა იქნებოდა "კრაისლერ ბილდინგიც".

მაგრამ ლემბის ნააზრევი უფრო სხვა რამეებით იყო აღსანიშნავი - მან ფანჯრებსა და ბეტონის მზიდი სისტემების სვეტებს შორის ფოლადის კონსტრუქციებისგან შეკრული ჩარჩოები განათავსა. ჩარჩოსა და სვეტებს შორის ლაგდებოდა დაუმუშავებელი ქვები. ამგვარად, იზოგებოდა დრო, რომელიც ქვების დასამუშავებლად იქნებოდა საჭირო.

უნდა ითქვას, რომ მშენებლობის დროის შემცირების შესანიშნავი საშუალება იყო ფოლადის ჩარჩოები, რომლებიც იმ პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა ცათამბჯენების მშენებლობისას. აღნიშნული ტექნოლოგიის წყალობით, შესაძლებელი იყო კვირაში ოთხი სართულის აშენება.

მშენებლობის ტემპის კიდევ უფრო დასაჩქარებლად, გადაწყდა, რომ ჩარჩოები და ფასადის ნაწილები ქარხნებში დამზადებულიყო, რის შემდეგაც, მათ ამწეების მეშვეობით აიტანდნენ საჭირო სიმაღლეზე. ფოლადის კონსტრუქციების შედუღება ხდებოდა პენსილვანიის შტატში მდებარე ქარხანაში. თითოეული მათგანის წონა დაახლოებით 60 ათას ტონას აღწევდა. აწყობის შემდეგ, ეს კონსტრუქციები გადაჰქონდათ (სატვირთო ბორნებით, სარკინიგზო პლატფორმებითა და სატვირთო ავტომობილებით) ქარხნიდან 500 კილომეტრით დაშორებულ ნიუ იორკში.

შედეგად, "ემპაიერ სტეიტ ბილდინგის" მშენებლობა დათქმულ დროზე გაცილებით ადრე დასრულდა. 102-სართულიანი ცათამბჯენის სიმაღლემ 380 მეტრი შეადგინა. მოგვიანებით მას კიდევ ათი სართული და ანძის ახალი სეგმენტი დაემატა, რის შემდეგაც მისმა სიმაღლემ 443 მეტრს მიაღწია.

მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენის აშენებამდე და მისი დანგრევის შემდეგაც, "ემპაიერი" ნიუ იორკის უმაღლესი შენობაა.

არანაკლებ შთამბეჭდავია გიგანტის სტატისტიკური მონაცემები: მის მშენებლობას დასჭირდა 7 მილიონი ადამიანი/საათი. ცათამბჯენის ღირებულებამ 25 მილიონი დოლარი შეადგინა (ახლანდელი კურსით, ეს დაახლოებით 625 მილონს უდრის), მისი წონა კი 365 ათას ტონას აღწევს. ნიუ იორკის სიამაყეს გააჩნია 6500 ფანჯარა და 73 ლიფტი.

გასაკვირი სულაც არაა, რომ სულ მალე, ცათამბჯენი მრავალი ფილმის "ვარსკვლავიც" გახდა. მის მიერ "შესრულებული" როლებიდან კი ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი "კინგ კონგია", რომელშიც უზარმაზარი მაიმუნი "ემპაიერის" სახურავიდან ებრძვის თვითმფრინავებს. სხვათა შორის, თუ გადაღების დროს შენობა თვითმფრინავებს და მათ ტყვიებს გადაურჩა, მოგვიანებით მან მაინც ვერ აიცდინა თვითმფრინავთან შეჯახება - 1945 წელს, იმ დროისთვის მსოფლიოს უმაღლეს შენობას ამერიკული ბომბდამშენი B25 დაჯახებია.

ცათამბჯენის იუბილესთან დაკავშირებით, ქალაქის ხლისუფლებამ აღადგნა მისი განათების ძველებური სტილი, რომელიც ადრე ქალაქის სიმბოლო იყო - "ემპაიერი" ქვემოდან პროჟექტორებით ნათდებოდა. საიუბილეო ღონისძიების დროს კი პროჟექტორები დროებით გამოირთო. ამ დროს "დიდი ვაშლი" (ნიუ იორკის მეტსახელია) ცოტა ხნით დაემსგავსა თავის თავს, როცა იქ ჯერ კიდევ არ იდგა "ემპაიერ სტეიტ ბლდინგი".

# იაპონელების საზღვარგარეთული აქტიურობა

მერაბ ლორთქიფანიძე

მალე იაპონური ავტოკომპანიები საზღვარგარეთ უფრო მეტ ავტომობილს დაამზადებენ, ვიდრე იაპონურ ქარხნებში. მოსალოდნელია, რომ ეს გარდატეხა წელს მოხდება. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას სპეციალისტებს აძლევს შარშანდელი სტატისტიკური მონაცემები და ტენდენციები.

"ტოიოტამ" და კიდევ შვიდმა იაპონურმა ავტოკომპანიამ მთელს მსოფლიოში შარშან 9.96 მილიონი ავტომობილი გაყიდეს, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემებთან შედარებით, დაახლოებით 12 პროცენტით მეტია. ოღონდ, ამ რაოდენობაში არაა გათვალისწინებული ეგრეთ წოდებული სახრახნისისეული აწყობის პრინციპი, როცა მაკომპლექტებელი ნაწილების უმეტესობა (ადგილობრივი წარმოების წილი 40 პროცენტზე ნაკლებია) შედის კონკრეტულ ქარხანაში და იქ მხოლოდ ავტომობილების აწყობა ხდება.

საზღვარგარეთ დამზადებული სატვირთო ავტომობილების ჩათვლით, საერთო მაჩვენებელი ათ მილიონზე მეტი გამოდის. ეს მაშინ, როცა სატვირთოების ჩათვლით, იაპონური ქარხნების კონვეიერები 10.8 მილიონმა ავტომობილმა დატოვა.

იაპონურმა ავტოკომპანიებმა საზღვარგარეთ ავტომობილების წარმოება ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყეს. პიონერები იყვნენ "ტოიოტა", რომელმაც ქარხანა გახსნა ბრაზილიაში და "ნისანი", რომელმაც ავტომობილების გამოშვება ტაივანში დაიწყო. თუმცა, ამის მიუხედავად, 80-იან წლებამდე იაპონელები აქცენტს მაინც ექსპორტზე აკეთებდნენ.

მაგრამ, სიტუაცია მალე შეიცვალა. კერძოდ, 90-იან წლებში იაპონიასა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობაში დაძაბულობის ფონზე, იაპონელებმა აშშ-ში და სხვა ქვეყნებში ქარხნების ინტენსიურ მშენებლობას მიჰყვეს ხელი. შედეგად, დღეს იპონური კომპანიებს მსოფლიოს ბაზრის დაახლოებით 32 პროცენტი უკავიათ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იაპონური კომპანიების მიერ საზღვარგარეთ წარმოებული ავტომობილების რაოდენობა ბოლო დეკადაში გაორმაგდა.

აქტიურობით განსაკუთრებით გამოირჩევა უდიდესი იაპონური და მსოფლიოში სიდიდით ჯერჯერობით მეორე ადგილზე მყოფი კომპანია "ტოიოტა", რომელიც წელს საზღვარგარეთ ორ ახალ ქარხანას აამოქმედებს. ერთი ქარხანა აშშ-ის შტატ ტექსასში შენდება და მისი სიმძლავრე წლიურად 200 ათასი ავტომობილი იქნება. მეორე ქარხანა ჩინეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ გუანჩჟოუს სიახლოვეს შენდება. ეს ქარხანა წლიურად 100 ათას ავტომობილს დაამზადებს.

"ტოიოტას" არც დანარჩენები ჩამორჩებიან. საზღვარგარეთ წარმოებას ასევე აფართოებენ სიდიდით მეორე და მესამე იაპონური კომპანიები - შესაბამისად "ნისანი" და "ჰონდა". ყოველივე მოასწავებს იმას, რომ მალე იაპონური ავტოკომპანიების მიერ უცხოეთში წარმოებული ავტომობილების რაოდენობა იაპონურ ქარხნებში გამოშვებულისას გადაასწრებს.

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი - "ჰონდა" და "ნისანი" უკვე რამდენიმე წელია (შესაბამისად, 1999 და 2003 წლიდან), საზღვარგარეთ უფრო მეტ ავტომობილს აწარმოებენ, ვიდრე შინ.



## ევროკავშირი ჩინეთს პირატების წინააღმდეგ მოუწოდებს

ევროკავშირის სავაჭრო კომისარი პიტერ მენდელსონი ჩინეთს ახალი წინადედით მიმართავს. ასე, რომ ევროკავშირის დავალებით, ჩინეთს ახალი საშინაო ბაზრის გახსნას და პირატების წინააღმდეგ ბრძოლა მოუწევს. სავაჭრო კომისარი აცხადებს, რომ ჩინეთმა ევროპის ინიციატივა უნდა დააკმაყოფილოს. ამის შესახებ მენდელსონმა პეკინში ვიზიტის დროს განაცხადა. ევროპულ და ამერიკულ ფირმებზე კონტრაბანდული პროდუქციის შემოტევამ არცთუ სახარბიელოდ იმოქმედა. აღნიშნული პროდუქცია კი ყველაზე მასშტაბურად ჩინეთში იყიდებოდა.

ბოლო პერიოდში, ვაშინგტონი და ბრიუსელის სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები ერთმანეთს საგრძნობლად დაშორდნენ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დასაკმაყოფილებლად საიმპორტო კვოტები მთლიანად განადგურდა. ამის საპასუხოდ, კი ჩინეთმა დასავლეთი ეკონომიკურ პროტექციონიზმში დაადანაშაულა. იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი ტავის საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდება და დადგენილ წესებს არ დაარღვევს, მაშინ მოსახლეობა ჩვენ სამომავლო ურთიერთობებს უფრო სერიოზულად აღიქვამს."-განაცხადა პიტერ მენდელსონმა შტუდენტებთან საუბრისას პეკინის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მმართველმა ძალებმა კონტრაბანდული პროდუქციის აღკვეთის მიზნით არაერთი ოპერაცია განახორციელა, ფალსიფიცირებული პროდუქციის რაოდენობა კინოპროდუქციიდან დაწყებული მედიკამენტებით დამთავრებული, საერთაშორისო ბაზარზე მაინც ჭარბად მოიპოვება.

ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ის იძულებულია, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციას მიმართოს, რომელიც ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრებისა დარღვევის საკითხებს უფრო მკაცრად გადახედავს.

## ელექტრონული ავიაბილეთები

მსოფლიო ავიაკომპანიები 2007 წლისთვის ქაღალდის ავიაბილეთებს ხმარებიდან საერთოდ ამოიღებენ და მას ბევრად უფრო პრესტიჟული, ელექტრონული ბილეთებით შეცვლიან. ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო ასოციაციამ მიიღო, რომლის გენერალური ასამბლეაც პარიზში მიმდინარეობს.

ახალი ელექტრონული ბილეთები გაყიდვაში 2007 წლის 1 იანვრიდან შემოვა. ამ ინიციატივის ავტორების აზრით, ელექტრონული ავიაბილეთები ავიაკომპანიების დანახარჯებს საგრძნობლად შეამცირებს. ქაღალდის ბილეთის ელექტრონულით ჩანაცვლება აეროპორტებში რეგისტრაციის პროცედურასაც გაამარტივებს და რაც ყველაზე მთავარია, აეროპორტებს 3,5 მილიარდი დოლარის დაზოგვის საშუალებასაც მისცემს. ხარჯების შემცირების სხვა გეგმებს შორის ასევე მნიშვნელოვანია ფრენის ხანგრძლივობის შემცირებაც. 2005 წელს, ამ თვალსაზრისით ასოციაციამ დაახლოებით 300 ავიამარშრუტის ლიკვიდაცია მოახდინა. ორგანიზაციის ექსპერტების გათვლებით, თუკი ყოველ ფრენაზე მინიმუმ ერთი წუთით შემცირდება, ეს მსოფლიო მასშტაბით 4 მილიარდი დოლარის ეკონომიას განაპირობებს.

## MOTOROLA სკანდალს 18 მილიონ დოლარად აფასებს

კომპანია Motorola-მ საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით, რუსული კომპანია Russ GPS-ის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული კომპანიის წარმომადგენლების აზრით, რუსული კომპანიის მიერ საპატენტო კანონმდებლოიბის დარღვევის ბრალდებამ კომპანია Motorola-ს 18 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა. შეგახსენებთ, რომ Russ GPS-მა კომპანია Motorola და EVROSet საპატენტო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. რუსული კომპანიის წარმომადგენლების თქმით, Motorola-მ კომპანია Russ GPS-ის მიერ შემუშავებული `მობილური კავშირის ტერმინალი" უკანონოდ გამოიყენა. ხშირ შემთხვევაში, კანონდარღვევაში ისეთი მოდელებია, როგორიცაა C115, C261, C333, C390, E365,L6 და L7. ექსპერტთა უმრავლესობა ამ საპატენტო კონფლიქტს მორიგი საპატენტო შანტაჟის კვალიფიკაციას აძლევს. Motorola-ს რუსული წარმომადგენლობა კომპანია RUss GPS კომპენსაციის სახით 18 მილიონი დოლარის გადახდას სთხოვს. აქედან 7 მილიონი დოლარი რეპუტაციის შელახვას, დანარჩენი 11 მილიონი საერთო ზარალის ანაზღაურებას მოხმარდება.

## ბრიტანელმა მილიონერმა ქალაქი იყიდა

ბრიტანელმა მილიონერმა ალექსანდრე სკოტმა ბულგარეთის ერთ-ერთი ქალაქი 3 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყიდა. ცნობილია, რომ მილიონერი ამ ქალაქს თავის სახელს - ალექსანდერს დაარქმევს. პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში, სკოტი აცხადებს, რომ მისი გადაწყვეტილება საკმაოდ თამამი და ამასთან, ძალიან მიმზიდველია. "ბულგარული დასახელება ძნელად გამოსათქმელია, ამიტომ ჩემი სახელი უფრო კარგად ჟღერს"- აცხადებს სკოტი. დიდი ბრიტანეთში ალექსანდრე სკოტი ცნობილი ბიზნესმენია. ცნობილია, რომ ის, ყოველ თვიურად მარტო ტანსაცმელში 15 ათას ფუნტს ხარჯავს. გამაჯანსარებელ პროცედურებში კი წელიწადში 100 ათას ფუნტს. მიმის სახლს, რომელიც მანჩესტერში მდებარეობს, ბრიტანელი ქალბატონის 10 ათას ფუნტად შეფასებული პორტრეტი ამშვენებს.

## ბუნებრივი აირი ნომერ პირველ საწვავად ითვლება

ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესზე ბოლო წლების სტრატეგია გაჟღერდა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოში ნავთობის ეპოქა დასრულდა. დღეიდან მსოფლიოს მართვის სადავეებს ბუნებრივი აირი ჩაიგდებს ხელში. სხვადასხვა შეფასებებით, 2030 წლისთვის ბუნებრივი აირის მოხმარება ყოველდღიურად მინიმუმ 2-4%-ით გაიზრდება. ამერიკული CHEVRON-ის ხელმძღვანელმა დევიდ ორეილმა კონგრესზე განაცხადა, რომ უახლოესი 20 წლის მანძილზე ბუნებრივი აირის მსოფლიო მოხმარება 70%-ით, დანარჩენ ენერგოპროდუქტებზე მოთხოვნილება კი მხოლოდ 30%-ით გაიზრდება. "მიუხედავად იმისა, რომ ნავთობი ბოლო 125 წლის მანძილზე ყველაზე მოთხოვნილებად პროდუქტად ითვლებოდა, პოზიციებს მალე დათმობს და გლობალურ ენერგეტიკულ განვითარებაში მის ადგილს ბუნებრივი აირი დაიკავებს."- აცხადებს CHEVRON-ის ხელმძღვანელი. კონგრესის მონაწილეების ინფორმაციით, ნავთობი მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნილებადი პროდუქტია, რის გამოც მისი მარაგი ასწლეულსაც კი აღარ ეყოფა. ნავთობის მოპოვება და ტრანსპორტირება სულ უფრო დამოკიდებული ხდება პოლიტიკურ სიტუაციებსა და ბუნებრივ ფაქტორებზე. ბუნებრივი აირი ერთადერთი საწვავი ნედლეულია, რომელიც მოსახლეობის ძირითად ნაწილს მოამარაგებს. ბუნებრივი ისტორიულად ყველაზე საიმედო საწვავად ითვლება. ისტორიას ჯერ არ ახსოვს ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებული მასშტაბური კონფლიქტები, მაშინ როცა გასულ საუკუნეში ნავთობის მოწოდებასთან დაკავშირებული კრიზისები ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და მწვავე საკითხად ითვლებოდა. ამასთან ერთად ნავთობის ღირებულების არაკონტროლირებადმა ზრდამ მწარმოებელთა ნაწილი გასულ ზამთარს კატასტროფამდეც კი მიიყვანა.

დღესკონგრესის მონაწილეები ბუნებრივი აირის ბაზარზე მთავარ პრობლემად იმას მიიჩნევენ, რომ ბუნებრივი აირის, როგორც ენერგო რესურსის გამოყენება ძირითადად იარაღში ხდება. ეს კი ამ საწვავის მიმართ მოსახლეობაში ნდობის ფაქტორზე უარყოფითად მოქმედებს. ამ საკითხების მოგვარების შედეგად, ბუნებრივი აირი მსოფლიოში მთავარი ენერგორესურსის ადგილს დაიკავებს.




# რა დროს ატარებს ქართველი ფიქრში და ოცნებაში?









*ცენტრ IPM-ის მიერ 2006 წლის მარტში, საქართველოს მასშტაბით 1000 ადამიანზე ჩატარდა კვლევა. რესპონდენტები მრავალფეროვანი ანკეტის საშუალებით გამოიკითხნენ: ღვინის სმა, ლუდის სმა, ძილი, ოცნება, ფიქრი, საუბარი სპორტზე და პოლიტიკაზე, ეკლესიაში სიარული, ლოცვა, საყიდლებზე სიარული, თამადობა, ქელეხებზე, გასვენებებში და ქორწილებში სიარული, აზარტული თამაშები და სხვა. გაინტერესებთ, საშუალოდ რამდენ დროს ატარებს წლის განმავლობაში ქართველი ადამიანი? ის თუ იცოდით, რომ გამოკითხულ მამაკაცთა 18 პროცენტი, ხოლო ქალთა 10 პროცენტი ყოველდღიურად საერთოდ არ ფიქრობს? თუ არა, მაშინ წარმოდგენილი მასალა თქვენთვის უთუოდ საინტერესო იქნება.*

გამოკითხული ადამიანების 44,3 პროცენტი, ანუ თითქმის ყოველი მეორე ადამიანი უმუშევარია, დასაქმებულთა შორის კი მამაკაცები ჭარბობენ. კაცებზე მეტი შრომისმოყვარეობით მხოლოდ 45-დან 54 წლამდე ქალები გამოირჩევიან. წლის განმავლობაში ადამიანი დაახლოებით 28 დღე მუშაობს.

საქართველოში, ერთი წლის განმავლობაში, ადამიანი საშუალოდ 43,5 დღე ფიქრს ანდომებს. ამ ფრიად საინტერესო საქმიანობაში დახარჯული დროის რაოდენობით ქალები ბევრად სჯობნიან მამაკაცებს. განსაკუთრებით ბევრს 55-დან 64 წლამდე ქალები ფიქრობენ. უფრო კონკრეტულად, 65 წლის კაცს თავისი ცხოვრების 4 წელი ფიქრში აქვს გატარებული, ხოლო ამავე ასაკის ქალს - 8 წელი. ყოველდღიურად საერთოდ არ ფიქრობს მამაკაცების 18 პროცენტი, ხოლო ქალების - 10 პროცენტი.

ყოველდღიურად ოცნება მამაკაცების 36 პროცენტს და ქალების 21 პროცენტს არ ახასიათებს. ბუნებრივია, ქალები ოცნებას გაცილებით მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე კაცები, თუმცა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, 25-დან 35 წლამდე ასაკში მამაკაცები გაცილებით მეტ დროს უთმობენ ოცნებას, ვიდრე ქალები. საბოლოოდ კი, 65 წლის კაცს ოცნებაში თავისი ცხოვრების 2,7 წელი აქვს გატარებული, ხოლო ქალს - 3,1 წელი.

ერთი წლის განმავლობაში მამაკაცი საშუალოდ 5 დღე-ნახევარს უთმობს ღვინის სმას, მაშინ, როცა ქალი ამას მხოლოდ 6 საათს ანდომებს. ღვინის სმაში დახარჯული დროის რაოდენობაში აბსოლუტური უპირატესობა მამაკაცებს აქვთ, განსაკუთრებით, 55-დან 64 წლამდე მამაკაცებს შორის. თუკი 65 წლის მამაკაცს ცხოვრების 271 დღე ღვინის სმაში აქვს დახარჯული, ქალს მხოლოდ 15 დღე აქვს დახარჯული ამაში. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ადამიანების 61 პროცენტი ღვინოს საერთოდ არ სვამს.

წლის განმავლობაში, გამოკითხული ადამიანებიდან ქალების 92 პროცენტი და კაცების 41 პროცენტი საერთოდ არ თამადობს. ამაში ყველაზე მეტ დროს 55-64 წლამდე ასაკის მამაკაცები ატარებენ.

სპორტზე საუბარში წლის განმავლობაში ადამიანი საშუალოდ 2,5 დღეს ატარებს. მათი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, კაცია. სპორტზე საუბრის აქტივობით მამაკაცები განსაკუთრებულად 45-დან 54 წლამდე ასაკში გამოირჩევიან. გამოკითხვის თანახმად, 65 წლის კაცს თავისი ცხოვრების 228 დღე სპორტზე საუბარში ექნება გატარებული, ხოლო ქალს - 27 დღე. სპორტზე საერთოდ არ საუბრობს მამაკაცების 33 პროცენტი და ქალების 65 პროცენტი.

ლუდის სმაში მამაკაცები უფრო მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები. ლუდის სმის სიყვარულით განსაკუთრებით 25-დან 34 წლამდე ასაკის მამაკაცები გამოირჩევიან. ერთი წლის განმავლობაში თუ მამაკაცი ლუდის სმაში დაახლოებით დღე-ნახევარს ხარჯავს, ქალი ამ საქმისთვის მხოლოდ 2 საათ-ნახევარს ხარჯავს. 65 წლის ასაკში მამაკაცს 76, ხოლო ქალს 7 დღე ექნება დახარჯული ლუდის სმაში. გამოკითხულთა 67,9 პროცენტი საერთოდ არ სვამს ლუდს.

საქართველოში წლის განმავლობაში ადამიანი პოლიტიკაზე საუბარს საშუალოდ 3 დღესა და 20 საათს უთმობს. მამაკაცები პოლიტიკაზე 2-ჯერ უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე ქალები, განსაკუთრებით, 45-დან 54 წლამდე მამაკაცები. ხოლო 65 წლის ასაკში მამაკაცს 251, ქალს კი 120 დღე ექნება ამ საქმიანობაში გატარებული. თუმცა გამოკითხული მოსახლეობის 31 პროცენტი კვირის განმავლობაში საერთოდ არ საუბრობს პოლიტიკაზე.

სამაგიეროდ, ხელოვნებაზე საუბარში ქალები გაცილებით მეტ დროს ატარებენ. ამ თემისადმი ინტერესით, განსაკუთრებით, 35-დან 44 წლამდე ქალები გამოირჩევიან. ზოგადად, საქართველოში ერთი წლის განმავლობაში ხელოვნებაზე საუბარში საშუალოდ ადამიანი 1,6 დღეს ატარებს. საბოლოოდ, 65 წლის ქალს თავისი ცხოვრების 93 დღე ხელოვნებაზე საუბარში აქვს გატარებული, ხოლო კაცს - 47 დღე. გამოკითხული ადამიანების ნახევარზე მეტი კვირის განმავლობაში ხელოვნებაზე საერთოდ არ საუბრობს.

ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ ადამიანი 2,97 დღეს ატარებს მაღაზიაში საყიდლებზე. ამ საქმიანობაში დახარჯული დროით რა თქმა უნდა მამაკაცებს ქალები სჭარბობენ, განსაკუთრებით 25-დან 44 წლამდე ასაკის ქალები. 65 წლის კაცს თავისი ცხოვრების 86 დღე მაღაზიაში საყიდლებზე აქვს გატარებული, ხოლო ქალს 172 დღე. თუმცა გამოკითხულთაგან არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ ხარჯავენ ამ საქმიანობაზე დროს. ამ უკანასკნელთა რიცხვს მამაკაცების 34 და ქალების 14,5 პროცენტი მიეკუთვნება.

თითქმის თანაბარ დროს ატარებენ ქალები და მამაკაცები ეკლესიაში, თუმცა მათ მიერ სხვადასხვა ასაკში დახარჯული დროის განაწილება განსხვავებულია. 12-დან 24 წლამდე მამაკაცები უფრო ხშირად დადიან ეკლესიაში, ვიდრე ქალები, ხოლო მომდევნო ასაკის ადამიანებში პირიქით - ქალები მამაკაცებთან შედრებით მეტ დროს ხარჯავენ. ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ ადამიანი ეკლესიაში 1,2 დღეს ატარებს. 65 წლის კაცს თავისი ცხოვრების 57, ქალს კი 67 დღე ექნება ეკლესიაში გატარებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა დაახლოებით 37 პროცენტი თვეში ერთხელაც არ დადის ეკლესიაში.

კერძოდ, ლოცვას კი მეტ დროს ქალები უთმობენ. ლოცვაში გატარებული დროის რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩევიან 45-დან 54 წლამდე ასაკის ქალები. ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ ადამიანი 3,6 დღე ლოცულობს. კაცების 56 და ქალების 31,5 პროცენტი კვირის მანძილზე საერთოდ არ ლოცულობს.

ერთი წლის განმავლობაში, გამოკითხული ადამიანები საშუალოდ 9 დღე ცუდ ხასიათზე არიან. მელანქოლიური განწყობით მამაკაცები ოდნავ აჭარბებენ ქალებს. 65 წლის კაცს თავისი ცხოვრების 468 დღე ცუდ ხასიათზე აქვს გატარებული, ხოლო ქალს 448 დღე. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც თვის განმავლობაში საერთოდ არ არიან ცუდ ხასიათზე, ასეთია მამაკაცების 12,4 და ქალების 15 პროცენტია.

აი, კარგ ხასიათზე კი წლის განმავლობაში ადამიანი საშუალოდ 32,9 დღეს ატარებს. 65 წლის მამაკაცს თავისი ცხოვრების 4 წელი და 156 დღე კარგ ხასიათზე აქვს გატარებული, ხოლო ქალს 4 წელი და 263 დღე. თუმცა, მამაკაცების 13,1 და ქალების 10,2 პროცენტი ერთი თვის მანძილზე საერთოდ არ არიან კარგ ხასიათზე.

ტირილი - ქალები ბევრად, თითქმის 4-ჯერ მეტს ტირიან, ვიდრე მამაკაცები. წლის განმავლობაში ადამიანი საშუალოდ 0,54 დღეს, ანუ დაახლოებით 12 საათს ტირის. 65 წლის კაცს თავისი ცხოვრების 10 დღე ტირილში აქვს გატარებული, ხოლო ქალს 32 დღე. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც თვის განმავლობაში საერთოდ არ ტირიან - კაცების 92,6 პროცენტი და ქალების 56,8 პროცენტი.

დასაფლავებებზე და ქელეხებში სიარულში მამაკაცები თითქმის ორჯერ მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე ქალები. ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ ადამიანი 0,5 დღე დასაფლავებაზე, ქელეხში ან პანაშვიდზეა. წლის განმავლობაში ქორწილებში მამაკაცების 20 და ქალების თითქმის 33 პროცენტი საერთოდ არ დადის. საერთო ჯამში, კაცები უფრო მეტ დროს უთმობენ აღნიშნულ საქმიანობას, ვიდრე ქალები.

გამოკითხული ადამიანებიდან აზარტულ თამაშებს ქალების მხოლოდ 1 და მამაკაცების 10,5 პროცენტი თამაშობს. ბუნებრივია, უფრო მეტ დროს აღნიშნულ გართობაში მამაკაცები, განსაკუთრებით, 35-44 წლამდე მამრობითი სქესის წარმომადგენლები ხარჯავენ. წლის განმავლობაში აზარტული თამაშების მოყვარულები ამ გართობაში საშუალოდ 20 საათს ხარჯავენ.




## ამინდი

| | 6/06 | 7/06 | 8/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 23 | 22 |
| რიგა | 15 | 17 | 20 |
| ვილნიუსი | 13 | 14 | 17 |
| მოსკოვი | 15 | 17 | 20 |
| მინსკი | 16 | 18 | 20 |
| პარიზი | 19 | 20 | 22 |
| რომი | 22 | 20 | 24 |
| ლონდონი | 21 | 22 | 24 |
| მადრიდი | 31 | 33 | 32 |
| ბონი | 20 | 22 | 22 |
| ვარშავა | 16 | 15 | 21 |
| ათენა | 28 | 26 | 26 |
| ბერნი | 17 | 20 | 24 |
| ამსტერდამი | 15 | 16 | 16 |
| ოსლო | 20 | 19 | 22 |
| ანკარა | 27 | 28 | 30 |
| ვარნა | 26 | 22 | 24 |
| დელი | 48 | 48 | 47 |
| ტოკიო | 26 | 23 | 25 |
| კოპენჰაგენი | 15 | 16 | 18 |
| ბაქო | 34 | 32 | 31 |
| ერევანი | 36 | 36 | 37 |
| ასტანა | 21 | 23 | 25 |
| ჰელსინკი | 9 | 12 | 16 |
| დუბლინი | 21 | 21 | 21 |
| ლისაბონი | 33 | 31 | 30 |
| პრაღა | 12 | 13 | 17 |
| სოფია | 23 | 19 | 20 |
| ბუდაპეშტი | 21 | 17 | 22 |
| ბუხარესტი | 27 | 22 | 25 |

# ყველაზე მასშტაბური სოციალური პროექტი

### "PSP ჯგუფის" და "სახალხო ბანკის" ალიანსი

სალომე ძაძამია

ყველაზე მასშტაბური სოციალური პროექტი 15 ივნისიდან ამოქმედდება და თბილისში მცხოვრებ პენსიონერებს, დევნილებსა და პედაგოგებს, "სახალხო ბანკის" პლასტიკური ბარათების მეშვეობით, საშუალება ექნებათ დედაქალაქში მოქმედ PSP-ს 45 აფთიაქში შეიძინონ მედიკამენტები 10-პროცენტიანი ფასდაკლებით.

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის განმარტებით: "პროექტის ფარგლებში სოციალურად ყველაზე ნაკლებად დაცულ ფენებს საშუალება ეძლევათ, PSP-ს აფთიაქებში "სახალხო ბანკის" პლასტიკური ბარათით შეძენილი მედიკამენტების ღირებულების 10 პროცენტი საჩუქრად მიიღონ."

"სახალხო ბანკი" 9 000 პენსიონერს და 250 000 დევნილს ემსახურება. აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი, ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისს მოიცავს, აგვისტოდან რეგიონებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ფენებსაც დაურიგდებათ "სახალხო ბანკის" პლასტიკური ბარათები, რაც აღნიშნულ პროექტში მათ ავტომატურად ჩართვას უზრუნველყოფს.




"ეს პროექტი გულისხმობს სოციალურად დაუცველი ფენებისთვის მნიშვნელოვან შეღავათებს. "სახალხო ბანკისა" და PSP-სგან კარგი ინიციატივაა. რაც უფრო მეტი კომპანია დაიწყებს სოციალური პროგრამების განხორციელებას, მით უფრო ნაკლები პრობლემები იქნება და ჩვენც მხარს დავუჭერთ მსგავს ინიციატივებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "სახალხო ბანკი" პენსიონერების იმ პრობლემებს აგვარებს, რომლებიც მათ პენსიის ასაღებ რიგებში ჰქონდათ. იხსნება ახალი ფილიალები, რაც ამ საკითხს აადვილებს," - განაცხადა ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა.

"PSP ჯგუფის" დირექტორი გოჩა გოგილაშვილი: "PSP ჯგუფის მისიაა, ადამიანებს ჯანმრთელობაზე ზრუნვა გავუადვილოთ. სწორედ ამიტომ, ჩვენ ძალიან სწრაფად შევქმენით ყველაზე ფართო სააფთიაქო ქსელი საქართველოში. ვინაიდან საქართველოში არსებული ყველა პენსიონერი "სახალხო ბანკის" მეანაბრეა, ჩვენ გადავწყვიტეთ, აღნიშნული პროექტი სწორედ "სახალხო ბანკთან" განგვეხორციელებინა. ეს კარგი საჩუქარია მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, ვისაც ძალიან ესაჭიროება მედიკამენტები. პენსიონერების მწირი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მედიკამენტების შეძენას ხმარდება. ჩვენი აფთიაქი, "სახალხო ბანკთან" ერთად, მზად არის, უზრუნველყოს ამ ადამიანების მომსახურება. თბილისში არსებულ 45 აფთიაქს, სადაც ეს პროექტი განხორციელდება, დაემატება რეგიონებში არსებული 27 აფთიაქიც. ამ პროექტით კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ PSP თქვენი ოჯახის აფთიაქია."

"ჩვენი ბანკი ცდილობს, მოსახლეობის ფართო სპექტრს კომფორტული მომსახურება შესთავაზოს. ხშირად ისმის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს წამლის შესაძენი ფული. ამ პროექტის თანახმად, სოციალურად დაუცველ ფენებს საშუალება ეძლევათ, მედიკამენტები მნიშვნელოვანი შეღავათებით შეიძინონ. მთავრობაც ზრდის თანხებს პენსიონერებისათვის. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ფრაზა "წამლის შესაძენი ფული არ მაქვს" არ არსებობდეს. ამ პროექტიდან არც ჩვენ და არც PSP არანაირ ფინანსურ მოგებას არ ველოდებით. სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ჩვენთვის მორალური მოგება იქნება," - განაცხადა "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ჯაბა კანკავას ფავორიტი - ბრაზილია, სიურპრიზი - იაპონია



C2

გაიცანით!!!



C3

იოლი გამარჯვება



C4




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15





# დიდი ფეხბურთის ერთი თვე



*გერმანია ფეხბურთით ცხოვრობს.*

ვასილ უდუმაშვილი

ფეხბურთის გულშემატკივარი უკვე დიდი ხანია ელოდა ამ დღეს. ზოგიერთი უკვე დღეებსაც ითვლიდა 9 ივნისის დადგომამდე. პლანეტის დიდი ნაწილი უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთით იცხოვრებს. მეორე პლანზე გადაიწევს ყველაფერი, პოლიტიკით დაწყებული და შოუბიზნესით დამთავრებული. ერთი თვის განმავლობაში ყველაფერს ფეხბურთი გააერთიანებს და მოვლენათა ეპიცენტრი გერმანიაში იქნება.

მსოფლიოს საუკეთესო 32 გუნდი ერთმანეთს საუკეთსოს ტიტულისთვის გაეჯიბრება. 9 ივლისს კი გაირკვევა იმ გუნდის ვინაობა, რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი იქნება.

"ფეხბურთი გლობალური ენაა, მას შეუძლია გადოს ხიდები სოციალურ, კულტურულ და კონცეფტუალურ გამყოფ ნაპირებს შორის. ფეხბურთი ემსახურება ადამიანის განვითარებასა და ზრდას, ახდენს ღირსების გრძნობის ჩამოყალიბებას, ხსნის ყველა კარს მომავალი განვითარებისთვის. ფეხბურთი ყველა ერისა და სარწმუნოების ადამიანებს აერთიანებს", - ასეთი შეფასება მიეცა მსოფლიო სპორტის ნომერ პირველ სახეობას გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანისა და ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის მიმართვაში.

ფეხბურთის მნიშვნელობაზე საუბარს აღარ მოვყვებთ, ანანისა და ბლატერის გარეშეც მშვენივრად ვიცით, თუ რა შეუძლია ამ მას. რამ, თუ არა ფეხბურთმა, შეიძლება ააცეკვოს მაგიდაზე ისეთი ცნობილი პოლიტიკოსი, როგორიც ფრანსუა მიტერანია, თუ არა საყვარელი გუნდის ჩემპიონობამ. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ეს დაუვიწყარი კადრები ბევრს ახლაც ახსოვს - საფრანგეთის პრეზიდენტი ვიპ ლოჟის მაგიდაზე შეხტა და ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად ცეკვა დაიწყო.

ვინ იცეკვებს 9 ივლისს, ძნელი სათქმელია. პროგნოზების გაკეთება ხომ უმადური საქმეა. მაგრამ დღეს მსოფლიო ჩემპიონატი იწყება და ალბათ მაინც უპრიანი იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით მაინც შევეხებით მომავალ მუნდიალს, მის ფავორიტებს და შესაძლო ალმოჩენებს.

ფავორიტები ნათელია - ბრაზილია, იტალია, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, არგენტინა. ზოგიერთი ამ სიაში ჰოლანდიის ნაკრებსაც მოიხსენიებს, თუმცა ვან ბასტენის ახალგაზრდული გუნდი წლეულს ჩემპიონობისთვის ალბათ ვერ იბრძოლებს. თვით ჰოლანდიაშიც ამბობენ, რომ ვან ბასტენს მომავლის გუნდი ჰყავს.

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი გუნდიდან ალბათ ყველას გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს. ყველაფერი მცირე გამართლებაზე იქნება დამოკიდებული.

და მაინც, ნება მომეცით, ვივარაუდო, რომ ამ ექვსეულიდან ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი მაინც ევროპელებს ექნებათ. მართალია, ბრაზილია ტურნირის უდავო ფავორიტად გამოიყურება, მაგრამ სამხრეთამერიკელებს ევროპის კონტინენტიდან თასს არ გაატანენ. ახლა ევროპის ჯერია.

იმ გუნდებზეც ვთქვათ, რომელთაგანაც სენსაციებს უნდა ველოდეთ. ჯერ ერთი, აღვნიშნავდი, რომ, წინა მუნდიალისგან განსხვავებით, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე სენსაციები ნაკლები იქნება. მიზეზი მეტად მარტივია. კორეა-იაპონიაში წამყვანი ნაკრები გუნდების ფეხბურთელები ისეთი გადაღლილები ჩავიდნენ, რომ ნორმალურად გადაადგილებაც კი არ შეეძლოთ. ამას დაემატა ისიც, რომ აზიურ გუნდებს მსაჯები საოცრად ეხმარებოდნენ და სენსაცია სენსაციაზე ცხვებოდა. ახლა ვითარება სხვაგვარია. წამყვანი ნაკრები გუნდების ფეხბურთელებს დასასვენებლად და ძალების აღსადგენად თვეზე მეტი ჰქონდათ და საეჭვოა, რომ ამ ჩემპიონატზე მსაჯობა ისეთივე იყოს, როგორიც კორეა-იაპონიაში იყო.

გაგრძელება C3 გვერდზე

## მსოფლიო ჩემპიონატის ყველა ფინალი

### 1930 ურუგვაი

**ურუგვაი - არგენტინა 4:2**
**გოლები:** 1:0 პაბლო დორადო (12), 1:1 კარლოს პუესელე (20), 1:2 გილიერმო სტაბილე (37), 2:2 პედრო სეა (57), 3:2 სანტოს ირიარტე (68), 4:2 ექტორ კასტრო (89)
**ბომბარდირი:** გილიერმო სტაბილე (არგენტინა) - 8 გოლი.

### 1934 იტალია

**იტალია - ჩეხოსლოვაკია 2:1 (1:1 ძირითადი დრო)**
**გოლები:** 0:1 ანტონინ პაკი (76), 1:1 რაიმონდო ორსი (81), 2:1 ანჯელო სკიავიო (95)
**ბომბარდირები:** ოლდრიჩ ნეჟედი (ჩეხეთი), ედმუნდ კოენი (გნერმანია), ანჯელო სკიავიო (იტალია) - 4

### 1938 საფრანგეთი

**იტალია - უნგრეთი 4:2**
**გოლები:** 1:0 ჯინო კოლაუსი (6), 1:1 პოლ ტიტკოში (8), 2:1 სილვიო პიოლა (16), 3:1 ჯინო კოლაუსი (35), 3:2 გეორგ საროში (70), 4:2 სილვიო პიოლა (82)
**ბომბარდირი:** ლეონიდასი (ბრაზილია) - 8

### 1950 ბრაზილია

**ბრაზილია - ურუგვაი 1:2**
**გოლები:** 1:0 ფრიასა (47), 1:1 სკიაფინო (66), 1:2 ჯიგია (79)
**ბომბარდირი:** ადემირი (ბრაზილია) - 9

### 1954 შვეიცარია

**გერმანია - უნგრეთი 3:2**
**გოლები:** 0:1 ფერენც პუშკაში (6), 0:2 ზოლტან ციბორი (8), 1:2 მაქს მორროლეკი (10), 2:2 ჰელმუტ რანი (18), 3:2 ჰელმუტ რანი (84)
**ბომბარდირი**: შანდორ კოშიცი (უნგრეთი) - 11

### 1958 შვედეთი

**შვედეთი - ბრაზილია 2:5**
**გოლები:** 1:0 ლინდჰოლმი (4), 1:1 ვავა (9), 1:2 ვავა (32), 1:3 პელე (55), 1:4 ზაგალო (68), 2:4 სიმონსონი (80), 2:5 პელე (90)
**ბომბარდირი:** ჟიუსტ ფონტენი (საფრანგეთი) - 13

### 1962 ჩილე

**ბრაზილია - ჩეხოსლოვაკია 3:1**
**გოლები:** 0:1 იოზეფ მასოპუსტი (15), 1:1 ამარილდო (17), 2:1 ზიტო (69), 3:1 ვავა (78)
**ბომბარდირი:** ფლორიან ალბერტი (უნგრეთი), ვალენტინ ივანოვი (სსრკ), დრაჟან იურკოვიჩი (იუგოსლავია), ლიონელ სანჩესი (ჩილე), ვავა (ბრაზილია), გარინჩა (ბრაზილია) - 4

### 1966 ინგლისი

**ინგლისი - გერმანია 4:2 (2:2 ძირითადი დრო)**
**გოლები:** 0:1 ჰალერი (12), 1:1 ჰერსტი (18), 2:1 პეტერსი (78), 2:2 ვებერი (89), 3:2 **ჰერსტი (101), 4:2 ჰერსტი (120)**
**ბომბარდირი:** ეუსებიო (პორტუგალია) - 9

### 1970 მექსიკა

**ბრაზილია - იტალია 4:1**
**გოლები:** 1:0 პელე (18), 1:1 ბონისენია (37), 2:1 გერსონი (66), 3:1 ჟაერზინიო (71), 4:1 კარლოს ალბერტო (86)
**ბომბარდირი:** გერდ მიულერი (გერმანია) - 10

### 1974 გერმანია

**გერმანია - ჰოლანდია 2:1**
**გოლები:** 0:1 ნესკენსი (2 პენ), 1:1 ბრაიტნერი (25 პენ), 2:1 მიულერი (43)
**ბომბარდირი:** გჟეგოჟ ლიატო (პოლონეთი) - 7

### 1978 არგენტინა

**არგენტინა - ჰოლანდია 3:1 (1:1 ძირითადი დრო)**
**გოლები:** 1:0 კემპესი (38), 1:1 ნანინგა (82), 2:1 კემპესი (105), 3:1 ბერტონი (116)
**ბომბარდირი:** მარიო კემპესი (არგენტინა) - 6

### 1982 ესპანეთი

**იტალია - მექსიკა 3:1**
**გოლები**: 1:0 როსი (57), 2:0 ტარდელი (69), 3:0 ალტობელი (81), 3:1 ბრაიტნერი (83)
**ბომბარდირი:** პაოლო როსი (იტალია) - 6
**საუკეთესო ფეხბურთელი:** პაოლო როსი (იტალია)

### 1986 მექსიკა

**არგენტინა - გერმანია 3:2**
**გოლები:** 1:0 ბრაუნი (23), 2:0 ვალდანო (55), 2:1 რუმენიგე (74), 2:2 ფიოლერი (80), 3:2 ბურუჩაგა (83)
**ბომბარდირი:** ჰარი ლინეკერი (ინგლისი) - 6
**საუკეთესო ფეხბურთელი**: დიეგო მარადონა (არგენტინა)

### 1990 იტალია

**გერმანია - არგენტინა 1:0**
**გოლი:** 1:0 ბრემე (85 პენ)
**ბომბარდირი:** სალვატორე სკილაჩი (იტალია) - 6
**საუკეთესო ფეხბურთელი:** სალვატორე სკილაჩი (იტალია)

### 1994 აშშ

**ბრაზილია - იტალია 3:2 პენალტების სერიაში**
**ბომბარდირი:** ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი), ოლეგ სალენკო (რუსეთი) - 6
**საუკეთესო ფეხბურთელი:** რომარიო (ბრაზილია)

### 1998 საფრანგეთი

**საფრანგეთი - ბრაზილია 3:0**
**გოლები:** 1:0 ზიდანი (27), 2:0 ზიდანი (46), 3:0 პეტი (90)
**ბომბარდირი:** დავორ შუკერი (ხორვატია) - 6
**საუკეთესო ფეხბურთელი:** რონალდო (ბრაზილია)

### 2002 იაპონია-კორეა

**ბრაზილია - გერმანია 2:0**
**გოლები:** 1:0 რონალდო (67), 2:0 რონალდო (79)
**საუკეთესო ბომბარდირი:** რონალდო (ბრაზილია) - 8
**საუკეთესო ფეხბურთელი:** ოლივერ კანი (გერმანია)

# მსაჯები და სკანდალები ჩამოტარებით

*ევროპასა და ლათინურ ამერიკაში ჩაწყობილი თამაშების თაობაზე აგორებულმა სკანდალებმა მსოფლიო ფეხბურთის მამები აიძულა მსოფლიო ჩემპიონატის ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად საგანგებო ზომები მიეღოთ. საგანგებო ზომების თანახმად, მოთამაშეებმა, მსაჯებმა და მწვრთნელებმა თავდაპირველად ხელი უნდა მოაწერონ თანხმობას, რომლის მიხედვით მათ და მათ ნათესავებს მსოფლიო ჩემპიონატზე ფსონების ჩასვლა ეკრძალებათ. ერთ-ერთი ონლაინ ბუკმეიკერის შეფასებით, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას მხოლოდ ბრიტანეთში 1,89 მილიარდი დოლარის ფსონებს ჩავლენ.*

ჯირ ლონგმანი
*"ნიუ იორკ თაიმსი"*

ერთი სიტყვით, ფიფამ შექმნა კომპანია სახელად "ადრეული გაფრთხილების (თუ განგაშის) სისტემა". ფეხბურთის მმართველ ორგანოში ვარაუდობენ, რომ კომპანია აზარტული თამაშების ინდუსტრიასთან თანამშრომლობით იმოქმედებს და გამოავლენს მატჩების შედეგებზე მანიპულირების მცდელობებს. მართალია, სისტემაზე ჯერჯერობით ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფიფას მოხელეებს აშფოთებთ ვირტუალური საბუკმეიკერო კანტორების სოკოებივით მომრავლება, აზიურ სინდიკატთა გავლენა და ახლახან ბრაზილიაში, იტალიასა და გერმანიაში აგორებული სკანდალები. იმ შემთხვევაში, თუ საეჭვო სქემები გამოვლინდა, ფიფა იძულებული გახდება მიიღოს ისეთი პრევენციული ზომები, როგორიცაა მატჩის წინ მსაჯის შეცვლა.

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯები და მათი დამხმარეები (ასეთი კი 81 ადამიანია) ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ფრანკფურტის სიახლოვეს სასტუმრო Kempinksi Gravenbruch Hotel-ში დააბინავეს. მსაჯთა ნავსაყუდელი იმითაა აღსანიშნავი, რომ მასში ცხოვრების უფლება სხვას არავის აქვს, გარდა სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრებისა და სასტუმროს ერთგული ძველი კლიენტებისა, რომლებსაც უკვე კარგად იცნობს მომსახურე პერსონალი. სასტუმროში არის ათი მცველი, ხოლო სასტუმროს მიმდებარე ნაკვეთს იცავს ოთხი პოლიციელი. ესეც რომ არა, მსაჯებს ეკრძალებათ ნომერში უპასუხონ სატელეფონო ზარებს. ერთი სიტყვით, სრული იზოლაცია გარე სამყაროსთან.

საგულისხმოა ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯები გასამრჯელოდ მიიღებენ 40 ათას დოლარს, ორჯერ მეტს, ვიდრე 2002 წლის კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე იყო. დამეთანხმებით, ასეთი გასამრჯელო ერთი თვის მუშაობისთვის არცთუ ცოტაა. ცნობისთვის: გერმანიის ნაკრების თითოეული მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემთხვევაში პრემიად დაახლოებით 390 ათას დოლარს მიიღებს.

...მსოფლიო ჩემპიონატისთვის შესაფერ კანდიდატებს ანუ მსაჯებს მთელი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ საკლუბო მატჩების მომსახურებისას. ბუნებრივია, მათზე დაკვირვება გერმანიაშიც გაგრძელდება. მაგალითად, სამსაჯო კომისია ზედმიწევნით დააკვირდება პირველ მატჩებს, რომლის მიხედვითაც შემდგომი ეტაპებისთვის ღირსეულ მსაჯებს შეარჩევს.

ფიფა ამბობს, რომ სრულად ენდობა ჩემპიონატის მსაჯებს. საინტერესოა, რომ მაისში იტალიამ უკან გამოიწვია მასიმო დე სანტისის კანდიდატურა, რომელსაც ჩემპიონატზე უნდა ემსაჯა. მიზეზი შეთანხმებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალის გამოძიებაა, რომელსაც, თავის მხრივ, ქვეყნის ჩემპიონ "იუვენტუსთან" მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური სკანდალი დღესდღეობით ყველაზე ცინცხალია, ის მაინც ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელიც არსებობს სპორტის ამ სახეობაში - ჩეხეთით დაწყებული და ვიეტნამით დამთავრებული.

შარშან, ნოემბერში, გერმანელ მსაჯს რობერტ ჰოიზერს ბუნდესლიგის მეორე დივიზიონის საკლუბო მატჩებში ბერლინში მომუშავე ხორვატიული საბუკიმეიკერო სინდიკატის სასარგებლოდ განხორციელებული მაქინაციებისთვის ორი წლითა და ხუთი თვითი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

შარშან, ოქტომბერში, ბრაზილიის ლიგის 11 მატჩის შედეგი მას შემდეგ გაუქმდა, რაც მსაჯმა ედისონ პერეირა დე კარვალიომ შეხვერდათა შედეგებზე გავლენისთვის ქრთამის აღება აღიარა. ხოლო მას შემდეგ, რაც ორმა კლუბმა სარჩელი აღძრა ბრაზილიელი მსაჯის წინააღმდეგ, მას ბრაზილიაში მატჩების განსჯა სამუდამოდ აეკრძალა.

...წლეულს, მარტში, ექვსი მოთამაშე და მწვრთნელი ბელგიური კლუბებიდან მას შემდეგ დაითხოვეს, როდესაც ჩინურ საბუკმეიკერო სინდიკატთან შეთანხმებულ მატჩებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში ამხილეს. ერთი თვის წინ კი ჰოლანდიის პროკურატურამ განაცხადა, რომ ჰოლანდიის ლიგაში შესაძლო ყალთაბანდობებს გამოიძიებს.

...გერმანიიის მსოფლიო ჩემპიონატზე შესაძლო ჩაწყობილი თამაშების თავიდან აცილების მიზნით ფრანკფურტში მსაჯებთან ოფიციალური ინტერვიუსთვის ჟურნალისტები სასტუმროში არ შეუშვეს. ჟურნალისტებს მსაჯებთან გასაუბრების ნება მიეცათ მხოლოდ სასტუმროს ბაღში, ისიც პოლიციელთა მეთვალყურეობით.

მსაჯთა უმეტესობამ სკანდალებზე საუბრისგან თავი შეიკავა, ერთი ნაწილი კი აღნიშნავდა, რომ რამდენიმე მსაჯი, რომელთა საქმიანობასაც იძიებდნენ, დამნაშავედ არ უცვნიათ და არც მაქინაციებში დაუდანაშაულებიათ.

ამბობენ, მსოფლიო ჩემპიონატზე სკანდალები არ მოხდება, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელის შესაძლო საქციელზე პასუხს ვერ ვაგებთო. განსაკუთრებით ორ შეხვედრას გამოყოფენ, რომელიც წლების განმავლობაში ყველას საეჭვოდ ეჩენება.

1978 წელს არგენტინას პერუსთან გამარჯვება სჭირდებოდა, ამასთან, ოთხბურთიანი სხვაობით, რათა ბრაზილიელებისთვის გატანილი ბურთების სხვაობით გაესწროთ და ჰოლანდიასთან ფინალში თამაშის უფლება მოეპოვებინათ. როდესაც არგენტინამ პერუ დაამარცხა 6:0, ბევრმა ამაში შეთქმულება დაინახა, რადგან პერუს მეკარე არგენტინული წარმოშობისა გახლდათ. მეტიც, ახლა იმასაც ამბობენ, გაწეული სამსახურისთვის არგენტინამ თავის დროზე პერუს ხორბლის პარტია გაუგზავნაო. მართალია, მაშინ ვერაფერი დაამტკიცეს, მაგრამ ფიფამ მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების ფორმატი შეცვალა, ისე, როგორი სახითაც დღეს ტარდება უმთავრესი ასპარეზობა (საუბარია გამოგდების სისტემაზე).

1982 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა ავსტრიასთან მატჩში სწრაფად გაიტანა გოლი, რასაც ის მოჰყვა, რომ შემდეგ გუნდები შეგნებულად მოეშვნენ და მსაჯის საფინალო სასტვენამდე ნარნარით ჩაამთავრეს შეხვედრა. შედეგი ის იყო, რომ გატანილი თუ გაშვებული გოლების სხვაობით გამოვარდნილი ალჟირის ხარჯზე ორივე გუნდი გავიდა მეორე წრეში. მას შემდეგაა, რომ ფიფა ქვეჯგუფებში ერთდროულად ატარებს ფინალურ მატჩებს, რათა არც ერთ გუნდს არ ჰქონდეს საშუალება წინასწარ იცოდეს, თუ რამდენი გოლის გატანა სჭირდება მეორე წრეში გასასვლელად.

მარკუს მერკი, პატივცემული გერმანელი მსაჯი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე ვიხილავთ, აცხადებს, რომ მას სკანდალებში გახვეული კოლეგების ქმედებები აღიზიანებს.

"ამას უნდა ვებრძოლოთ, - აცხადებს მარკუს მერკი, - გულშემატკივარს თამაშების უცნობი შედეგებით ხილვა სურს. სპორტში ესაა მიმზიდველი".

# ჯაბა კანკავას ფავორიტი - ბრაზილია, სიურპრიზი - იაპონია

მიხეილ აბაიშვილი

იწყება მსოფლიო ჩემპიონატი და იწყება ვნებათაღელვა. ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს. გულშემატკივარი, სპეციალისტი, ფეხბურთელი, დიასახლისი თუ მარქშეიდერი, ყველა ფეხბურთით იწყებს ცხოვრებას. რას ფიქრობენ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატზე? ვის მიიჩნევენ გამარჯვების პრეტენდენტებად, ფავორიტებად და აუტსაიდერებად? ვინ ვერ გაამართლებს იმედებს? გთავაზობთ ეროვნული ნაკრების შედარებით ახალბედა წევრის, კიევის "არსენალის" 20 წლის ნახევარმცველის ჯაბა კანკავას კომენტარს ამ თემაზე. აქვე ვიტყვი, რომ, ახალბედობის მიუხედავად, კანკავამ ეროვნული ნაკრების მაისურით ბრწყინვალედ ჩაატარა თამაშები, კლაუს ტოპმიოლერის დიდი სიმპათია დაიმსახურა და იმ ნაკრებში მოხვედრის დიდი პერსპექტივა აქვს, რომელიც აგვისტოდან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება.

**- ჯაბა, ვის გულშემატკივრობ მსოფლიო ჩემპიონატზე?**

- ბავშვობიდან ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ და სიმპათიებს არ ვიცვლი. ბრაზილია ჩემი ფავორიტია.

**- ბრაზილიის გარდა, რომელი გუნდები მიგაჩნია გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად?**

- ბევრი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ყველა რომ ჩამოვთვალო, შორს წავალ. სამ გუნდს დავასახელებ - ბრაზილია, ინგლისი და პორტუგალია.

**- ბრაზილიელები ხუთგზის ჩემპიონები არიან, ევროპაში კი მხოლოდ ერთხელ, 1958 წელს გაიმარჯვეს. ახლაც ევროპაშია მუნდიალი. ეს გარემოება ხელშემშლელ ფაქტორად ხომ არ იქცევა ბრაზილიისთვის?**

- ამ გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი მეგავარსკვლავია, თან ყველა წინასწარმეტყველებს ბრაზილიელთა მეექვსე ჩემპიონობას. შეიძლება ამან უარყოფითად იმოქმედოს ბრაზილიის ნაკრებზე. თორემ, ისე, ვერც წარმომიდგენია, რამდენად არ უნდა გაუმართლოს ბრაზილიის ნაკრებს ნებისმიერ მეტოქესთან, რომ ვერ გაიმარჯვოს. ბრაზილიის ნაკრები სულ სხვა დონე და სიმაღლეა. მისი მსგავსი გუნდი პირადად მე არ მეგულება.

**- გერმანიაზე რას იტყვი?**

- გერმანელებს, ტრადიციულად, ძლიერი გუნდი ჰყავთ და მგონია, რომ ტრადიციულად შორს წავლენ. მაგრამ ასევე მგონია, რომ ჩემპიონები ვერ გახდებიან.

**- მუნდიალზე სამი ისეთი გუნდი თამაშობს, რომლებთანაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოგიწევს დაპირისპირება. რას ელი საფრანგეთისგან, იტალიისგან და უკრაინისგან?**

- უკრაინული ფეხბურთისა და თამაშის სტილის მოყვარული ნამდვილად არ ვარ. ამ გუნდს გრანდებს და ფავორიტებს ვერ მივაკუთვნებ. გამორიცხული არ არის, უკრაინამ ჯგუფური ბარიერი დაძლიოს, უფრო მეტს კი ნამდვილად ვერ შეძლებს. არც იტალიის ნაკრები ჩანს ისეთი ძლიერი, რომ ტიტულისთვის იბრძოლოს. ერთ-ერთი ბოლო საკონტროლო მატჩი გავიხსენოთ - იტალიამ ვერ მოუგო შევჩენკოს გარეშე მოთამაშე უკრაინას. ფრანგებს კი ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

**- ყოველ მსოფლიო ჩემპიონატზე რომელიმე უცნობი გუნდი სერიოზულ წარმატებას აღწევს. წინა მუნდიალზე ასეთი სამი იყო - სენეგალი, კორეა და თურქეთი. შენი აზრით, ამ ჩემპიონატზე ვინ შემოგვთავაზებს სიურპრიზს?**

- ჩემპიონატზე რამდენიმე ისეთი გუნდია, რომლებზეც წარმოდგენაც კი არა მაქვს. მეორე რიგის გუნდებიდან იაპონელებისგან მოველი სიურპიზს. იაპონიას ვერსკვლავი ფეხბურთელები არ ჰყავს, თუმცა კარგად დაბალანსებული გუნდია, იაპონელთა ხასიათიდან გამომდინარე, თავდაუზოგავი და ბრძოლისუნარიანი.

**- ჩემპიონატს თბილისიდან ადევნებ თვალყურს?**

- თბილისში 14 ივნისამდე დავრჩები. შემდეგ შვებულება მიმთავრდება და "არსენალში" უნდა დავბრუნდე - წინასასეზონო შეკრება მეწყება. შეიძლება გეგმები შემეცვალოს, მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ვიტყვი.



## ჯგუფური ეტაპის თამაშები

### A ჯგუფი

9 ივნისი. 20.00 გერმანია - კოსტა რიკა
9 ივნისი. 23.00 პოლონეთი - ეკვადორი
14 ივნისი. 23.00 გერმანია - პოლონეთი
15 ივნისი. 17.00 ეკვადორი - კოსტა რიკა
20 ივნისი. 18.00 ეკვადორი - გერმანია
20 ივნისი. 18.00 კოსტა რიკა - პოლონეთი

### B ჯგუფი

10 ივნისი. 17.00 ინგლისი - პარაგვაი
10 ივნისი. 20.00 ტრინიდადი - შვედეთი
15 ივნისი. 20.00 ინგლისი - ტრინიდადი
15 ივნისი. 23.00 შვედეთი - პარაგვაი
20 ივნისი. 23.00 შვედეთი - ინგლისი
20 ივნისი. 23.00 პარაგვაი - ტრინიდადი

### C ჯგუფი

10 ივნისი. 20.00 არგენტინა - კოტ-დ'ვუარი
11 ივნისი. 17.00 სერბეთი - ჰოლანდია
16 ივნისი. 17.00 არგენტინა - სერბეთი
16 ივნისი. 20.00 ჰოლანდია - კოტ-დ'ვუარი
21 ივნისი. 23.00 ჰოლანდია - არგენტინა
21 ივნისი. 23.00 კოტ-დ'ვუარი - სერბეთი

### D ჯგუფი

11 ივნისი. 20.00 მექსიკა - ირანი
11 ივნისი. 23.00 ანგოლა - პორტუგალია
16 ივნისი. 23.00 მექსიკა - ანგოლა
17 ივნისი. 17.00 პორტუგალია - ირანი
21 ივნისი. 18.00 პორტუგალია - მექსიკა
21 ივნისი. 18.00 ირანი - ანგოლა

### E ჯგუფი

12 ივნისი. 23.00 იტალია - განა
12 ივნისი. 20.00 აშშ - ჩეხეთი
17 ივნისი. 23.00 იტალია - აშშ
17 ივნისი. 20.00 ჩეხეთი - განა
22 ივნისი. 18.00 ჩეხეთი - იტალია
22 ივნისი. 18.00 განა - აშშ

### F ჯგუფი

13 ივნისი. 20.00 ბრაზილია - ხორვატია
12 ივნისი. 17.00 ავსტრალია - იაპონია
18 ივნისი. 20.00 ბრაზილია - ავსტრალია
18 ივნისი. 17.00 იაპონია - ხორვატია
22 ივნისი. 23.00 იაპონია - ბრაზილია
22 ივნისი. 23.00 ხორვატია - ავსტრალია

### G ჯგუფი

13 ივნისი. 20.00 საფრანგეთი - შვეიცარია
13 ივნისი. 17.00 კორეა - ტოგო
18 ივნისი. 23.00 საფრანგეთი - კორეა
19 ივნისი. 17.00 ტოგო - შვეიცარია
23 ივნისი. 23.00 ტოგო - საფრანგეთი
23 ივნისი. 23.00 შვეიცარია - კორეა

### H ჯგუფი

14 ივნისი. 17.00 ესპანეთი - უკრაინა
14 ივნისი. 20.00 ტუნისი - საუდის არაბეთი
19 ივნისი. 23.00 ესპანეთი - ტუნისი
19 ივნისი. 20.00 საუდის არაბეთი - უკრაინა
23 ივნისი. 18.00 ს. არაბეთი - ესპანეთი
23 ივნისი. 18.00 უკრაინა - ტუნისი

## ინფოთეკა

### ბუნდესნაკრები ფავორიტია

გერმანული პრესის ინფორმაციით, დღეს უკვე ყოველ მეოთხე გერმანელს სწამს, რომ ბუნდესნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

გერმანელთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა - 40% ფავორიტად ბრაზილიას მიიჩნევს, 25% - ბუნდესნაკრებს. შემდეგ მოდიან ინგლისელები - 6%, არგენტინელები, იტალიელები და ფრანგები - 5-5%-ით.

გარდა ამისა, მათი უმეტესობა კმაყოფილებას გამოთქვამს ნაკრების თავკაცის იურგენ კლინსმანის მუშაობით. ადგილობრივ გულშემატკივართა 67%-ს მატჩების ყურება შინ, ტელევიზიით ურჩევნია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქალაქის ქუჩებში, პაბებსა თუ აეროპორტებში დიდი მონიტორები იქნება დამონტაჟებული.

### კასანო "რეალიდან" არ მიდის

მადრიდის "რეალის" იტალიელი თავდამსხმელის ანტონიო კასანოს აგენტმა უარყო გავრცელებული ხმები მისი კლიენტის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.

"კასანოს "მილანში" გადასვლის ისტორია ჟურნალისტების მიერ გამოგონილი ჭორია და მეტი არაფერი. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ანტონიოს "რეალიდან" წასვლა არ უნდა. მანამდე მისით "ინტერი" იყო დაინტერესებული, თუმცა ანტონიომ უარი თქვა იტალიაში დაბრუნებაზე", - განაცხადა კასანოს აგენტმა.

### "ბარსელონა" ლამპარდში 30 მილიონს იხდის

კატალონიური "ბარსელონა" ლონდონის "ჩელსის" ფულად კომპენსაციასა და კიდევ ერთ ფეხბურთელს სთავაზობს ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდის სანაცვლოდ.

ინგლისური "სანის" ცნობით, ტრანსფერის თანხად 30 მილიონი ფუნტი სტერლინგი სახელდება. თანხის გარდა, "არისტოკრატები" პორტუგალიელ ნახევარმცველ დეკუსაც მიიღებენ.

მიუხედავად ლონდონელთა განცხადებისა, რომ ლამპარდი არ იყიდება, "ბარსელონა" მაინც ოპტიმიზმს ინარჩუნებს იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისელი ფეხბურთელის წარმოშობით კატალონიელი მეუღლე ელენ რივზი შესაძლოა დაარწმუნოს "ბარსელონაში" გადასვლაში.

| A ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | | | | | | |
| კოსტა რიკა | | | | | | |
| პოლონეთი | | | | | | |
| ეკვადორი | | | | | | |

| B ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | | | |
| პარაგვაი | | | | | | |
| ტრინიდადი და ტობაგო | | | | | | |
| შვედეთი | | | | | | |

| C ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | | | | | | |
| კოტ-დ'ვუარი | | | | | | |
| სერბეთი | | | | | | |
| ჰოლანდია | | | | | | |

| D ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | | | | | | |
| ირანი | | | | | | |
| ანგოლა | | | | | | |
| პორტუგალია | | | | | | |

| E ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | | | | | |
| განა | | | | | | |
| აშშ | | | | | | |
| ჩეხეთი | | | | | | |

| F ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | | | | | | |
| ავსტრალია | | | | | | |
| ხორვატია | | | | | | |
| იაპონია | | | | | | |

| G ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | | | | | | |
| შვეიცარია | | | | | | |
| კორეა | | | | | | |
| ტოგო | | | | | | |

| H ჯგუფი | | | | | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | | | | | | |
| ესპანეთი | | | | | | |
| ტუნისი | | | | | | |
| საუდის არაბეთი | | | | | | |

# დიდი ფეხბურთის ერთი თვე

პირველი გვერდიდან

სენსაციები კი, წესით, პროგნოზირებადი უნდა იყოს. მაგალითად, ბევრისთვის მექსიკის, განის, ჩეხეთის ან უკრაინის ნაკრების წარმატებები სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს, არადა, ამ გუნდებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ფეხბურთს უმაღლეს დონეზე თამაშობენ. ასე რომ, შეიძლება ვივარაუდოთ: წლეულს მუნდიალი განსაკუთრებული სენსაციების გარეშე ჩაივლის.

მუნდიალი კიდევ ერთი რამით იქნება საინტერესო: გერმანიაში ჩავიდა მსოფლიოს ყველა მეგავარსკვლავი. ფაქტობრივად, მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა არც ერთი სუპერვარსკვლავი არ დარჩენილა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით კამერუნელ სამუელ ეტოოს. ერთი სიტყვით, ყველა გერმანიაშია. რონალდინიო, რონალდო, კაკა, შევჩენკო, ბალაკი, ლამპარდი, რუნი (რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ითამაშებს), ანრი, ზიდანი, ბექჰემი, რაული, ტოტი, დელ პიერო, კრესპო და მესი. ამ უკანასკნელს კი შეუძლია მუნდიალის აღმოჩენადაც იქცეს.



ახალგაზრდა არგენტინელი ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, ვისგანაც ჩემპიონატზე ბევრს ელიან.

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ტურნირის დაწყებისთვის ყველაფერი მოამზადეს, თუმცა პრობლემები კვლავაც არსებობს. თავი დავანებოთ ბილეთების რეალიზაციასთან შექმნილ მუდმივ პრობლემას. წლევანდელ მუნდიალს გაცილებით დიდი საფრთხე ემუქრება. მსოფლიოში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო მუნდიალზე ტერორისტების შემოტევის ეშინიათ. გერმანელმა სამართალდამცავებმა შეძლებისდაგვარად მოაგვარეს ეს საკითხი, მაგრამ ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაციები, რომ ასეთი საფრთხე არსებობს.

გერმანიაში ჩასულ გულშემატკივრებს კი სრულ კომფორტს შეუქმნიან. მთელი გერმანია საფეხბურთო რელსებზე გადავა. რა სახის მომსახურებას აღარ შესთავაზებენ გულშემატკივრებს - მატჩების შემდეგ ზოგი ლუდის ბარში შეიქცევს თავს, ზოგიც საგანგებოდ მუნდიალისთვის გახსნილ ბორდელებში. მართალია, გერმანელების ასეთმა საქციელმა გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ გერმანიაში პროსტიტუცია ლეგალურია და რატომ არ უნდა იშოვონ ამით ფული ტურნირის ორგანიზატორებმა.

ამ მცირე გადახვევის შემდეგ კვლავ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. დღეს დიდი ფეხბურთი იწყება. ერთი თვის განმავლობაში მილიონობით ადამიანისთვის ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი იქნება.

# გაიცანით!!!

დაიწყო! - ფეხბურთის გულშემატკივრები დიდხანს ველოდით ამ დღეს და აჰა, მსოფლიო ჩემპიონატი გახურდა. დღეიდან 30 საინტერესო, დაძაბული და დატვირთული დღე გველის.

გერმანია და იქ შეკრებილი ოცდათორმეტი ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიოს ყურადღების ცენტრში არიან. ბუნებრივია, გერმანიაში ჩასულმა მოთამაშეებმა თან ცოლები და მეგობარი გოგონებიც ჩაიყვანეს.

უფრო ახლოს გავიცნოთ წამყვანი მოთამაშეების გულთამპყრობლები.

მაშ ასე:

**ვიქტორია ბექჰემი** - ინგლისის ნაკრების კაპიტნის დევიდ ბექჰემის ცოლი და მისი სამი შვილის დედა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვიქტორია ადამსი-ბექჰემისა ყველაზე პოპულარულია ფეხბურთელთა მეორე ნახევრებს შორის. სიმართლესთან ისიც ახლოსაა, რომ პრესამ სხვა მოთამაშეთა თანამგზავრების მიმართ სწორედ ვიკის წყალობით გაამახვილა ყურადღება. მისის ბექჰემი 1974 წელს მოევლინა ქვეყნიერებას. გათხოვებამდე ბრიტანულ პოპ-ჯგუფ "Spice Girls"-ში მღეროდა და პოშ სპაისის მეტსახელით იყო ცნობილი. 1999 წელს ოფიციალურად იქორწინა მადრიდის "რეალის" ნახევარმცველზე და აგერ უკვე მეშვიდე წელია, ღირსეულად ატარებს საუკეთესო ცოლის ტიტულს.

**რაიკა ოლივეირა** - ბრაზილიელი სუპერმოდელი რონალდოს მაშინ შეხვდა, როცა "კიჟა" დაშორდა სხვა ცნობილ მოდელს დანიელა ჩიკარელის, რომელთანაც ექვსთვიანი ქორწინება აკავშირებდა. 1999 წელს, როცა 22 წლის რაიკამ საერთაშორისო მოდის კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა, მოდის სამყაროში "ბრაზილიურ სენსაციად" მონათლეს. ამჟამად რონალდოს 181 სმ სიმაღლის მეგობარი გოგონა მოდის სახლების Victoria's Secret და Dior-ის სახე გახლავთ. ჯერჯერობით რაიკა "კიჟასთან" ქორწინებისგან თავს იკავებს, რადგან არ უნდა რონალდოს მიერ მიტოვებული ქალების გრძელ სიას შეემატოს.

**ნიკოლ მერი** - ტიერი ანრიმ საფრანგეთში ცნობილ მოდელსა



რონალდოს მეგობარი გოგონა რაიკა ოლივეირა, ბუფონის საცოლე ალიონა სვირიდოვა, ნედვედის ცოლი ივონა ნედვედი.

და მსახიობზე 2003 წლის 5 ივლისს იქორწინა. მომავალი მეუღლე "სამფეროვანთა" ნაკრების ლიდერმა ნიუ იორკში, ერთ-ერთი სარეკლამო რგოლის გადაღებისას გაიცნო. 25 წლის ნიკოლი მეუღლეს ერთი წუთითაც არ ტოვებს და მის უკლებლივ ყველა მატჩს ესწრება. 2005 წელს მათ ოჯახს მესამე წევრი - ქალიშვილი თეა შეემატა.

**ვერონიკა ზიდანი** - ზინედინ ზიდანის გაცნობამდე, ანუ 1993 წლამდე, ესპანური წარმოშობის ფრანგი ვერონიკა ფერნანდესი პროფესიონალი მოცეკვავე გახლდათ და ცეკვის გაკვეთილებსაც ატარებდა. შიგადაშიგ პოდიუმზეც გამოდიოდა. ზიზუსთან შეუღლების შემდეგ ქალბატონმა ზიდანმა ცეკვაზეც და მოდელობაზეც უარი თქვა და მთლიანად ოჯახს მიუძღვნა თავი: "რეალის" ფეხბურთელს ოთხი ვაჟი აჩუქა: ენცო, ლუკა, თეო და ელიაზი.

**კრისტენ პაზიკი** - ამერიკელი ფოტომოდელი ანდრეი შევჩენკოს ჯორჯო არმანის ერთ-ერთი ჩვენებისას შეხვდა. შევას მეორე ნახევარი სილვიო ბერლუსკონის ვაჟთან რომანის შემდეგ გახდა საქვეყნოდ ცნობილი. პაზიკი ხშირად ჩნდებოდა ჟურნალების - "ვოგისა" და "გოს" გარეკანებზე. უკრაინელმა ფეხბურთელმა და ამერიკელმა მოდელმა ერთწლიანი შეხვედრების შემდეგ დაქორწინება გადაწყვიტეს - 2004 წლის 14 ივლისს ვაშინგტონის მერიაში თავიანთი ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს. იმავე წლის 29 ოქტომბერს ვაჟიანობა იზეიმეს - ქვეყნიერებას მოევლინა ჯორდანო შევჩენკო.

**ჰელენ სვედინი** - ულამაზესმა შვედმა მოდელმა და პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს სათაყვანებელმა ქალბატონმა მამაკაცთა ჟურნალებისთვის დედიშობილა პოზიორობით მოიპოვა პოპულარობა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გული დაეპყრო და ფიგუსთვის სამი ულამაზესი ქალიშვილი ეჩუქებინა. ლუიში და ჰელენი 1996 წელს ფლამენკოს კონცერტზე შეხვდნენ ერთმანეთს, თუმცა ოფიციალურად გაცნობიდან ხუთ წელიწადში იქორწინეს.

**ივანა ნედვედი** - ჩეხეთის საუკეთესო ფეხბურთელი პაველ ნედვედი მას ჯერ კიდევ მაშინ შეხვდა, როცა ივანა 13 წლის იყო, პაველი კი - 15-სა. ბავშვური მეგობრობა თანდათან სიყვარულში გადაიზარდა და რამდენიმე წლის შემდეგ იქორწინეს კიდეც. 32 წლის ივანას მთავარი საზრუნავი მეუღლე და ბავშვების აღზრდაა. ნედვედების ოჯახს მალე მესამე შვილი შეემატება.

**ვერენა კერტი** - 2003 წელს გერმანიაში ოლივერ კანის თავსდამტყდარი სკანდალი სწორედ ამ 21 წლის ბანოვანის სახელს უკავშირდება. ვერენა "ბაიერნის" მეკარესა და მის ოფიციალურ მეუღლეს სიმონას შორის მაშინ ჩადგა, როცა სიმონი ოლივერისგან დღე-დღეზე მეორე ბავშვს ელოდა. მაგრამ კანი ოჯახის დანგრევისგან ვერ იხსნა ვერც ვაჟის დაბადებამ და ვერც სიმონასთან 18-წლიანმა თანაცხოვრებამ. ბუნდესნაკრების კარის დარაჯი ყოფილ ბარმენს ერთ-ერთ მიუნხენურ დისკოთეკაზე შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ოლივერი დღემდე ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება ყოფილ მეუღლესთან, არაოფიციალურად ვერენასთან ერთად ცხოვრობს.

**ლეონტის სლაასტი** - ის 2004 წელს გახდა ჰოლანდიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის რუუდ ვან ნისტელროის კანონიერი მეუღლე. მათი რომანი რვა წელიწადს გრძელდებოდა, თუმცა ბავშვობაში გაიცნეს ერთმანეთი. სხვა ფეხბურთელთა ცოლებისგან განსხვავებით, ლეონტისი იშვიათად ჩნდება ფართო საზოგადოების წინაშე. ფეხბურთელის 26 წლის მეუღლე დიასახლისობითაა დაკავებული, მით უმეტეს, რომ სულ მალე რუუდს პირველ შვილს აჩუქებს.

**ილარი ბლაზი** - 25 წლის იტალიელ მოდელს ბავშვობიდან ორი რამ უყვარდა გამორჩეულად: ფოტოკამერის წინ პოზირება და ფეხბურთის მატჩებზე დასწრება. საბოლოოდ ილარი მოდელი გახდა, 2005 წელს კი "სკუადრა აძურას" ფორვარდზე ფრანჩესკო ტოტიზე იქორწინა. გასული წლის ნოემბერში ფრანჩესკოსა და ილარის ვაჟიშვილი კრისტიანი შეეძინათ. "რომას" ლიდერის თანამეცხედრე იტალიის ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე მუშაობს, აპრილში კი იტალიური "სან-რემოს" ფესტივალს უძღვებოდა.

# დია 2006: 11 ივნისს რჩეულებს დააჯილდოებენ!

ვასილ უდუმაშვილი

კვირას, 11 ივნისს, საქართველოს საფეხბურთო სამყარო განვლილ სეზონს შეაჯამებს და სეზონის საუკეთესო მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს დააჯილდოებს - დია წლეულს მეორედ გაიმართება.

თუ შარშან საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალი "ბერიკონში" გაიმართა, წლეულს ღონისძიებას ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი უმასპინძლებს. ცერემონიალს დაამშვენებენ ანსამბლები "ერისიონი" და "ქართული ხმები", მომღერლები მერაბ სეფაშვილი და დათო გომართელი.

დია 2006-ს დაესწრებიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა, რომლებიც ამჟამად გერმანიაში ფიფას მორიგ კონგრესზე არიან მიწვეულნი. ოპერისა და ბალეტის თეატრში იქნება ეროვნული გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც.

გუშინ გაიმართა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, რომელზეც გვითხრეს, რომ წლეულს დია-ს დაჯილდოება შარშანდელისგან ოდნავ განსხვავებული იქნება. კერძოდ, ცხრა ნომინაციაში გამარჯვებულებს სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვა გამოავლენს, ორ მთავარ ნომინაციას კი ფეხბურთის სპეციალისტები დაასახელებენ. კერძოდ, ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს სწორედ პროფესიონალები გამოავლენენ.

პრესკონფერენციას, პროფლიგისა და ფედერაციის წარმომადგენლების გარდა, ესწრებოდა ოპერის თეატრის დირექტორი ბატონი დავით საყვარელიძეც, რომელმაც დიას ორგანიზატორებს საკმაოდ საინტრესო იდეა მიაწოდა: "კარგი იქნება, რომ ეს ჯილდო ვეტერანი სპორტსმენებისთვისაც დავაწესოთ და ყოველწლიურად ვინმე ფეხბურთში შეტანილი ღვაწლისთვის დავაჯილდოოთ", - განაცხადა დავით საყვარელიძემ.

დაჯილდოების ცერემონიალი კვირას, 19 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. მსურველებს შეუძლიათ ამ ცერემონიალზე დასწრება. ჯერჯერობით შეიძლება ბილეთების ყიდვაც, თუმცა, რაოდენობა შეზღუდულია. სულ 300 ბილეთი გაიყიდება.

## ბრაიტნერი: "ბლატერი ფეხბურთის აზრზე არ არის"

ბავარიის პრემიერ-მინისტრთან ოფიციალური ვიზიტისას ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა. "უდიდეს პატივს ვცემ გერდ მიულერს, რომელმაც 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანელთა გამარჯვების გოლი გაიტანა", - განაცხადა ბლატერმა და პაულ ბრაიტნერზე მიუთითა. თუმცა, ამ უკანასკნელმა იმ მუნდიალის ფინალურ მატჩში ბურთი პენალტით შეაგდო, გამარჯვების გოლი კი მიულერის ანგარიშზეა.

"ბლატერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთის აზრზე არ არის", - ასეთი კომენტარი გაუკეთა პაულ ბრაიტნერმა ბლატერის განცხადებას.

## ისაქსონი პირველ მატჩს დააკლდება

შვედეთის ნაკრების ძირითადი მეკარე ანდრეას ისაქსონი მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის სასტარტო შეხვედრას ტრინიდადი და ტობაგოს წინააღმდეგ გამოტოვებს. შვედმა გოლკიპერმა ნაკრების ვარჯიშისას ტვინის შერყევა მიიღო.

შვედი ნახევარმცველის კიმ ჩელსტრიომის დარტყმული ბურთი ისაქსონს თავში მოხვდა. მეკარე მიწაზე თავით დაეცა. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ შეცვლის "რენის" კარის დარაჯს. მის სავარაუდო შემცვლელებად სახელდებიან "არსენალის" ყოფილი მეკარე რამი შაბანი და იონ ალვბოგე. თუმცა, ორივე მათგანს საერთაშორისო თამაშის მცირე გამოცდილება აქვს.

## სანტა-კრუსი ინგლისთან ვერ ითამაშებს

გადაწყდა, რომ პარაგვაის ეროვნული ნაკრებისა და გერმანული "ბაიერნის" თავდამსხმელი როკე სანტა-კრუსი ინგლისელთა წინააღმდეგ სადებიუტო შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. ორიოდე დღის წინ სანტა-კრუსმა ნაკრებთან დაწყებული ვარჯიში მუხლის ტკივილის გამო საათნახევარში შეწყვიტა. 24 წლის ფეხბურთელმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მარცხენა ფეხზე ორი ოპერაცია გადაიტანა.

## ჯერარდი სასტარტო მატჩს გამოტოვებს

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი ბარძაყის ტრავმის გამო პარაგვაისთან პირველ მატჩს გამოტოვებს.

ჯერარდმა ნაკრებთან ერთად ვერ ივარჯიშა, თუმცა ინგლისელთა თავკაცის სვენ გორან-ერიქსონის თქმით, "ლივერპულის" კაპიტანს ზურგის ტკივილი აწუხებს. იმ შემთხვევაში, თუ ჯერარდმა ხვალინდელი მატჩისთვის ფორმა ვერ აღიდგინა, ერიქსონი მას ოუენ ჰარგრივზით ან ჯეიმი კარაგერით შეცვლის. წინა მსოფლიო ჩემპიონატი კორეა-იაპონიაში სტივენ ჯერარდმა ოპერაციის გამო გამოტოვა.

## სისეს გოვუ შეცვლის

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გაამჟღავნა იმ ფეხბურთელის ვინაობა, ვინც ტრავმირებულ ჯიბრილ სისეს შეცვლის. "სამფეროვანთა" ნაკრებში "ლივერპულის" თავდამსხმელს "ლიონის" ფორვარდი სიდნეი გოვუ შეცვლის. 26 წლის ფრანგი ფეხბურთელი "ლიონში" 1999 წლიდან თამაშობს. უკანასკნელ სეზონში გოვუმ 35 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

## ჰუტი "მიდლსბროშია"

ინგლისური გამოცემა "გარდიანის" ინფორმაციით, პრემიერლიგის "მიდლსბრომ" ოფიციალურ შეთანხმებას მიაღწია ლონდონის "ჩელსისთან" რობერტ ჰუტის თაობაზე. გერმანელი ფეხბურთელის აგენტის თქმით, მისი კლიენტი, რომელიც ამჟამად ნაკრების განკარგულებაშია, "მიდლსბროსთან" კონტრაქტს კვირის ბოლოს გააფორმებს. ტრანსფერის თანხა არ ხმაურდება, თუმცა ბრიტანული პრესის ცნობით, ის 5,5 მილიონ ფუნტს შეადგენს.

## მარტინმა კარიერა დაასრულა

ინგლისური "ევერტონის" მეკარემ ნაიჯელ მარტინმა ოფიციალურად გაახმაურა თავისი გადაწყვეტილება სპორტული კარიერის დასრულების თაობაზე. გოლკიპერმა ქრონიკული ტრავმის გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. რამდენიმე სეზონია, რაც მარტინს აქილევსის მყესი აწუხებს.

## დი კანიო მწვრთნელობას აპირებს

რომის "ლაციოს" თავდამსხმელის პაოლო დი კანიოს თქმით, ზაფხულში საფეხბურთო კარიერას დაასრულებს და მწვრთნელობას დაიწყებს. "15 ივნისს კლუბთან კონტრაქტი ოფიციალურად მიმთავრდება. ბუცებსაც სწორედ ამ დღეს გავიხდი სამუდამოდ. მერე კი "კოვერნაჩოს" ჩავუდგები სათავეში. მაგრამ ჩემი ოცნება "ლაციოს" მწვრთნელობაა და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ოცნებას რეალობად ვაქცევ", - განაცხადა დი კანიომ.

## ბალაკი ნაკრებს კოსტა-რიკასთან დააკლდება

გერმანული პრესის ცნობით, ოფიციალურად გაირკვა, რომ ბუნდესნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი კოსტა-რიკასთან ვერ ითამაშებს. "ამ შეხვედრაში ბალაკს სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა, რათა შემდეგი მატჩებისთვის სათანადო ფორმაში იყოს. ჩვენ სრულყოფილი მიხაელ ბალაკი გვჭირდება და არა ნახევარი", - განაცხადა გერმანელთა ნაკრების თავკაცმა იურგენ კლინსმანმა. 29 წლის ნახევარმცველმა კოლუმბიელებთან ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა.

## აბიატის "იუვენტუსში" დარჩენა უნდა

კრისტიან აბიატის აგენტის განცხადებით, "იუვენტუსის" იტალიელი მეკარე, რომელიც ოფიციალურად "მილანის" კუთვნილებაა, ტურინულ კლუბში იმ შემთხვევაშიც დარჩება, თუ გუნდი მომავალი სეზონიდან სერია ბ-ში გააგრძელებს ასპარეზობას.

"თუ "იუვე" სერია ბ-ში დაქვეითდება, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავთ. ერთი წლის შემდეგ ისევ სერია ა-ს დაუბრუნდება. მართალია, ამჟამად ჩემი კლიენტი "მილანის" კუთვნილებაა, მაგრამ მე "იუვენტუსში" ვურჩევ დარჩენას", - განაცხადა კრისტიან აბიატის აგენტმა.

# საქართველო დებიუტანტია

*ქართველ მორაგბეთა უცხოური ვოიაჟები გრძელდება: მომავალი ბორჯღალოსნები ერთი კვირის წინ გაემგზავრნენ კლერმონ-ოვერნს (საფრანგეთი), სადაც დღეს ახალგაზრული (21 წლამდე) მსოფლიო თასი იწყება.*

შეჯიბრებაში 12 უკეთესი გუნდი მონაწილეობს. ფორმულა ასეთ ტურნირთათვის ტრადიციული, ჯვარედინია. დასი ოთხ, სამგუნდა პულადაა დაყოფილი. თანაპულელები ერთმანეთს არ ხვდებიან. სამაგიეროდ, ან პული დონს ეთამაშება, ბანი კი - განს.

მერე დგება ერთი დიდი, საერთო ცხრილი, რომელშიც ქულები ზე 14-ული, პრემიალური სისტემით ითვლება (მოგება 4, ფრე 2, რვაზე ნაკლებით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა - 1 პრემია).

სამი პულური რაუნდის შემდეგ დასი სამ, იერარქიულ ოთხეულად იყოფა და ადგილებს პლეი-ოფში გაითამაშებს. ამით თითო გუნდს ხუთი თამაში გამოსდის. მატჩები ყოველ მეოთხე დღესაა და 19 წლის ჭაბუკთა რკენებისგან განსხვავებით, კაცურად, 80 წუთს გრძელდება.

საქართველო დებიუტანტია. ჩვენებმა შარშან, ვალიადოლიდში (ესპანეთი) ევროპის პირველობა მოიგეს, მაგრამ როგორც ხშირად მომხდარა, პატივცემულმა საერთაშორისო საბჭომ (ირბ) მსოფლიო თასის დასის დაკომპლექტება ახლაც თავის ჭკუაზე დააპირა, რაც ბორჯღალოსანთა თამაშგარეთ დატოვებას მოასწავებდა.

ჩვენდა ბედად, ნოემბერში, ევროპის დასავლეთ კიდეზე ჩამოსული ურუგვაი ძალიან გრძელსახელიან, მაგრამ ყოვლად უაზრო საკონტინენტთაშორისო თასზე სათამაშოდ კავკასიაში აღარ გვეწვია, რის გამოც ირბ-ს საქართველოს ვალი დაედო.

ჰოდა, სამნაწილიან კომპენსაციად

1. კაცი ბორჯღალოსნები იაპონიაში მიავლინა ბითურმა დუბლინურმა კანტორამ, ოღონდ საუკეთესო და სრული გუნდი არ შეგვაკრებინა;

2. ვაკეში გვაახლა ნაქები ბარბაროსები, რომლებმაც წინა საღამოს უნაღდესი ვარსკვლავებით გადაძეძგილი რაზმი თბილისის ნაცვლად იოჰანესბერგში ათამაშეს; და

3. მომავალი ბორჯღალოსნები მსოფლიო თასზე დაუშვა, ანუ წყალობად მოგვასაღა ის უფლება, რომელიც გუნდმა მოედანზე, თამაშით მოიპოვა.

### დავითი გოლიათთა მარაქაში

მომავალ ბორჯღალოსნებს კაცთა ნაკრების მწვრთნელთა სამეულის წევრი, ლოკომოტიველი დავით ჩავლეიშვილი თავკაცობს. ექიმია ლოკომოტივისვე ლეგენდარული 9 ნომერი ზურაბ ხარშილაძე, გუნდის ბირთვს კი ისინი შეადგენენ, ვინც შარშან ესპანეთში ჩემპიონი გახდა.

ნაკრებში საქართველოს თასის მონაწილე ათივე (!) კლუბია წარმოდგენილი. გარდა ამისა, ოთხი ჩვენებური უცხოეთში მოღვაწეობს: საფრანგეთში, უკრაინაში, რუმინეთში და, ასე განსაჯეთ, სამხრეთ აფრიკაშიც.

მენეჯერი ახალი გვყავს, შევარდენელი ზურაბ ზოიძე. მას ირბ-ის ვებსაითმა შეჯიბრების ადგილას, კლერმონ-ფერანში ჩამოართვა ინტერვიუ და ნარკვევს სახელად უწოდა "დავითი გოლიათთა მარაქაში".

ბატონმა ზურაბმა ინტერვიუერ ვილი ბილიარდს აუხსნა, საფრანგეთში ჩვენი ასე ნაადრევად ჩამოსვლის მიზეზი ისაა, რომ სავარჯიშოდ შინ ბალახიანი მოედანი ვერ მოგვეძევება და ხშირად ფეხბურთის სტადიონების ავტოსადგომებზე გვიწევს წვრთნაო.

ჩვენები დაბა პონ-დიუ-შატოში ემზადებიან. მასპინძლებს კავკასიელები ძალიან მოსწონთ. ზოიძის შეფასებით, უელსთან თამაშის წინ ბიჭები ცოტათი ნერვიულობენ, მაგრამ არ იმჩნევენ. რაც მთავარია, მომავალმა ბორჯღალოსნებმა ოცნება აიხდინეს და სახელოვან მეტოქეებს ხუთჯერ ებურთავებიან.

ბატონ ბილიარდს ეგეც მოეხსენება, რომ საქართველომ კაცთა მსოფლიო თასზე, 2003 წელს, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკას ლელო გაუტანა და ფანობის გული მოიგო. თავის ტოლა ბოკეს ბორჯღალოსნები საფრანგეთშიც ერაგბებიან.

ზოიძეს მიაჩნია, რომ ბოლო ორი მატჩის მოგება რიგიანი შედეგი იქნება. გუნდის მიზანთა მიზანი განთესვით მონიჭებული მე-12 ადგილის გაუმჯობესებაა.

სხვა მხრივ, მორაგბეთა წრეში "ზოიად" ცნობილი ვეტერანს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ რაგბია ერთადერთი თამაში, რომელშიც საქართველო ნებისმიერი ასაკის მსოფლიო თასზე რეგულარულად ხვდება.

### 21 წლამდელთა მსოფლიო თასი

**ა:** სამხრეთი აფრიკა (1), უელსი (8), ირლანდია (9) -
**დ:** საფრანგეთი (4), არგენტინა (5), საქართველო (12)
**ბ:** ავსტრალია (2), ინგლისი (7), იტალია (10) -
**გ:** ახალი ზელანდია (3), შოტლანდია (6), ფიჯი (11)

**ბორჯღალოსანთა განრიგი** (საქართველოს დროით)
**პულში**
პარასკევი 9/06 უელსი (იზუარი 19.00)
სამშაბათი 13/06 სამხრეთი აფრიკა (ტიერი 21.00)
შაბათი 17/06 ირლანდია (იზუარი 18.00)

**პლეი-ოფში**
ოთხშაბათი 21/06 ნახევარფინალი (იზუარი 17.00 ან 19.00)
კვირა 25/06 ფინალი (ტიერი 14.30 ან 16.30)

**მომავალი ბორჯღალოსნები**
ევროპის შარშანდელი ჩემპიონი
**ბეკები:**
დავით გურგენიძე (აკადემია) ვახტანგ ჩიხლაძე (ლოკომოტივი), ირაკლი გეგენავა (ყოჩები) ივანე სულამანიძე (აკადემია), გიორგი მჭედლიშვილი (ლელო), დავით კაჭარავა (ყოჩები) ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ოდესა უკრაინა) გიორგი ბეგაძე (აკადემია), ლუკა კილასონია (შარქსის აკადემია სამხრეთ აფრიკა), გიორგი მჟავანაძე (არმაზი)
**ფორვარდები:**
გიორგი სოსელია (არმაზი), ნიკა მალალდაძე (ლოკომოტივი) გიორგი ჟღენტი (კონსტანცა რუმინეთი), დავით ქუბრიაშვილი (ლელო), ბადრი ყალიჩავა (ყოჩები), ბექა შეყლაშვილი (ხულიგანა) მიხეილ არჩუაშვილი (ყოჩები), ლაშა აზალაძე (დინამო), სოლომონ ქარუხნიშვილი (რუსთავი), ოთარ მინაშვილი (არმაზი) პაატა მაისურაძე (ყოჩები), სიმონ მაისურაძე (კლერმონი საფრანგეთი), ლაშა თავართქილაძე (უნივერსიტეტი), დიმიტრი ბასილაია (არმაზი), მერაბ გაბუნია (ქუთაისი)
**მთავარი მწვრთნელი:** დავით ჩავლეიშვილი

***მასალა მომზადებულია ვებგვერდზე: rugby.ge***

# "ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

მიხეილ აბაიშვილი



გუშინ სამშენებლო კომპანია "ოლიმპიურმა ვარსკვლავმა", სპორტული ტერმინი რომ ვიხმაროთ, ოფიციალური სტარტი აიღო. კომპანია, რომლის დამფუძნებლებიც არიან დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე, უახლოეს ორ წელიწადში ყოფილი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის თანამედროვე სპორტულ-საცხოვრებელ კომპლექსს ააშენებს. ეს მოვლენა დედაქალაქის ცხოვრებისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მშენებლობის გახსნის პრეზენტაციაზე ქალაქის მერი გიგი უგულავა, საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი და ქალაქის მთავრობის სხვა პირველი პირები მივიდნენ. სიმბოლური ლენტი გაჭრა გიგი უგულავამ და პრეზენტაციაზე შეკრებილ საზოგადოებას მიმართა.

"ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი წამოწყებაა ქალაქისთვის. ამ ტერიტორიაზე იყო საკოლმეურნეო ბაზარი, რომელიც ნამდვილად ვერ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. ჩვენი მთავარი ამოცანაა გავაკეთოთ ის, რაც დროს გაუსწრებს. "ოლიმპიური ვარსკვლავის" პროექტი სწორედ ასეთად შეიძლება შეფასდეს. ეს არის მრავალფუნქციური მშენებლობა, რომლის დასრულების შემდეგ დედაქალაქი მიიღებს ბრწყინვალე საოფისე, საცხოვრებელ და სპორტულ კომპლექსს. ეს გახდება ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობა, რაც უფრო გაალამაზებს საბურთალოს და თბილისს. წარმატებას გისურვებთ ამ წამოწყებაში, მრავალი ასეთი პროექტი განგეხორციელებინოთ", - თქვა ქალაქის მერმა.

არც ისე დიდი ხანია, რაც "ოლიმპიური ვარსკვლავი" დაფუძნდა, თუმცა, უკვე არაერთი საქველმოქმედო აქცია ჩაატარა. არც გუშინდელი პრეზენტაცია ყოფილა გამონაკლისი. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, აწ გარდაცვლილი დავით ციმაკურიძის ოჯახს კომპანიამ საჩუქრად გადასცა ავტომანქანა "ნივა". პრეზენტაციაზე მოვიდნენ კოჯრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, რომლებიც "ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" დაასაჩუქრა და პატარა საზეიმო ვახშამიც მოუწყო. სხვათა შორის, ეს ბავშვთა სახლი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატია და კომპანიამ ის ამ ნიშნითაც აირჩია.

"კოჯრის ბავშვთა სახლთან ახლახან დავიწყეთ ურთიერთობა და ასეთ აქციებს ხშირად მოვაწყობთ. იმედი გვაქვს, რომ ამ ბავშვებში, რომლებიც დღეს პრეზენტაციაზე მოვიყვანეთ, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონები აღიზრდებიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას ყველანაირად ხელს შევუწყობთ", - განაცხადა "ოლიმპიური ვარსკვლავის" დამფუძნებელმა და ათენის ოლიმპიადის გამარჯვებულმა გიორგი ასანიძემ.

პრეზენტაციაზე ზურაბ ზვიადაურიც იყო. მან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

"მიხარია, რომ, როგორც იქნა, მზადების პროცესს მოვრჩით და საქმეზე გადავედით. დღეიდან დავიწყებთ მშენებლობას და უახლოეს ორ წელიწადში თბილისს ახალი მრავალფუნქციური კომპლექსი შეემატება. შეგახსენებთ, რომ კომპანიის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებული ქართველი სპორტსმენები ამ კომპლექსში საცხოვრებელი ფართით დაჯილდოვდებიან", - მითხრა ზურაბ ზვიადაურმა. იქვე დაამატა, რომ ერთი ასეთი ბინის პრიზად მიღების დიდი იმედი აქვს და ყველაფერს გააკეთებს, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს.

# იოლი გამარჯვება



საფრანგეთის ღია პირველობა ჩოგბურთში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გუშინ გაიმართა ქალთა ტურნირის ორივე ნახევარფინალური მატჩი, გუშინწინ კი ორი ნახევარფინალისტი მამაკაცთა თანრიგში გამოვლინდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნადალმა და ლუბიჩიჩმა იოლად გაიმარჯვეს.

რაფაელ ნადალი ნიკოლა ჯოკოვიჩს ეთამაშებოდა და გამარჯვების მოსაპოვებლად დიდი ოფლის ღვრა არ დასჭირდა. ჯოკოვიჩი ტრავმირებული გავიდა კორტზე და ორის სეტის შემდეგ თამაში შეწყვიტა. ასე რომ, ნადალი ნახევარფინალში სრულიად დასვენებული ითამაშებს, რაც მისი გამარჯვების შანსს კიდევ უფრო გაზრდის. არც ლუბიჩიჩს გასჭირვებია ბენატოს დამარცხება. მან ზედიზედ მოიგო სამი სეტი და ნახევარფინალის საგზურიც დაიბევა.

ჯოკოვიჩის დამარცხების შემდეგ ნადალი ჟურნალისტებს ესაუბრა.

**- თქვენთვის მოულოდნელი იყო, რომ მეტოქემ თამაში შეწყვიტა. გრძნობდით თუ არა, რომ იგი ტრავმირებული იყო?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. ტრავმირებული რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ თამაში რომ შეწყვიტა, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან მეორე სეტში კარგად თამაშობდა. თუმცა მაინც ეტყობოდა, რომ პრობლემები აქვს.

**- ბოლო მატჩის შემდეგ თქვით, რომ დაღლილი ხართ. ასეთ სტილში მოპოვებული გამარჯვების წყალობით ალბათ დასვენებასაც შეძლებთ.**

- არა, არა და კიდევ ერთხელ არა. მე არ მითქვამს, დაღლილი ვარ-მეთქი. თავს მშვენივრად ვგრძნობ. ვატყობ, რომ ყოველ მატჩში უკეთესად ვთამაშობ. თუმცა, ვერც იმას უარვყოფ, რომ ამჯერად ორი სეტის გამართვა ჩემთვის კარგი იყო და არც დასვენება მაწყენს.

**- თქვენ პირველად მოგიხდათ ჯოკოვიჩთან თამაში. რას იტყვით დღევანდელ მატჩზე?**

- ჯოკოვიჩი ახალგაზრდა და აგრესიული ჩოგბურთელია. სამწუხაროდ, დღეს ვერ შეძლო თავისი პოტენციალის სრულად გამოვლენა.

**- მომდევნო მატჩში ლუბიჩიჩს ხვდებით. ამ ჩოგბურთელზე რას იტყვით?**

- ნახევარფინალი მძიმე იქნება. ლუბიჩიჩი რომ დავამარცხო, ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი უნდა ვაჩვენო.

**- ჯოკოვიჩზე თქვით, რომ ახალგაზრდაა. არადა, თქვენზე სულ რამდენიმე თვით არის პატარა. რა განსხვავებაა თქვენსა და ჯოკოვიჩს შორის?**

- არ ვიცი. უბრალოდ, თიხის კორტები ჩემთვის მშობლიურია და ალბათ უპირატესობაც ამიტომ მაქვს.

**- გასულ წელს პირველად გახვედით როლან გაროს ნახევარფინალში. ახლაც იგივე მოხდა. რამდენად განსხვავებული გრძნობა დაგეუფლათ?**

- გასული წელი სრულიად განსხვავებული იყო. ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ წელს უფრო იოლად ვიგებ. შესაძლოა ერთი შეხედვით ასეთ ჩანდეს, მაგრამ მერწმუნეთ, დიდი შრომა მჭირდება გამარჯვების მოსაპოვებლად.

**- მეორე ნახევარფინალში ნალბანდიანი და ფედერერი ითამაშებენ. თქვენი აზრით, ვინ არის ფავორიტი?**

- კითხვითვე გიპასუხებთ. ვინ არის მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი? ფავორიტიც, ცხადია, ის იქნება.

**- თქვენ ვისთან გირჩევნიათ ფინალში თამაში - ნალბანდიანთან თუ ფედერერთან?**

- ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ. ჯერჯერობით არც მე ვარ ფინალში და რატომ უნდა ვისაუბრო იმაზე, თუ ვისთან მირჩევნია თამაში.

**- ერთ-ერთი მათგანი ხომ აუცილებლად გავა ფინალში?**

- ამაზე მაშინ ვისაუბროთ, როცა მეც მოვიპოვებ ფინალის საგზურს.

**- ის მაინც გვითხარით, როგორი იქნება ნალბანდიანისა და ფედერერის დაპირისპირება.**

- ჩემი აზრით, ძალიან დაძაბული მატჩი იქნება.

**- გამარჯვებულის გამოვლენას ხუთი სეტი დასჭირდება?**

- არ ვიცი. ორივესთან მითამაშია. ყველაფერია მოსალოდნელი.

**- წლევანდელ როლან გაროზე თქვენთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა რა იყო?**

- ის, რომ დავიდ ფერერი ნახევარფინალში ვერ გავიდა.

**- ფედერერი ნომერ პირველი ჩოგბურთელია, თქვენ - მეორე. როჯერის წინააღმდეგ კარგი სტატისტიკა გაქვთ, სხვადასხვა საფარის კორტებზეც დაგიმარცხებიათ. საკუთარ თავს პირველ ნომრად არ თვლით?**

- როჯერი პირველია, მე - მეორე.

**8 ივნისი**
**ქალები**
ვაიდასოვა - კუზნეცოვა 7:5,6:7,2:6
ენინ არდენი - კლაისტერსი 6:3,6:2

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა (დაბა ხელვაჩაური დ. აღმაშენებლის ქ N21) აცხადებს ტენდერს სოფ. Aახალსოფლის სპორტული დარბაზის კაპიტალურ შეკეთებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა იურდიულ და ფიზიკურ პირს.

**2.** მიწოდების სავარაუდო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 29 ივნისის 10 საათიდან 2006 წლის 30 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. N21. III-ე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინპექციიდან)
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის, გაკოტრების და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან)
- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 28 ივნისის ჩათვლით 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშსზე: მიმღები- ს.ს. სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი, ბანკის კოდი 220101457, ხელვაჩაურის რაიონის საფინანსო სამსახურის სპეც ანგარიში, ანგარიშის N33060001, საიდენტიფიკაციო კოდი 248385117..

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მანველიძე ტ. 4 10 30, 7 62 93, 8(93) 35 72 14 მისამართზე: დაბა ხელვაჩაური დ. აღმაშენებლის ქ. N21.

**სატენდერო კომისია**

## შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. N11-ში მდებარე 4000 ც. დაბალხარისხიანი სარკინიგზე სალიანდაგე განძელების ე.წ. "შპალების" გაყიდვაზე.

ერთი ცალი განძელის საწყისი ფასია 10 (ათი) ლარი, დღგ-ს გარეშე განძელების მთლიანი საფასური გადახდილ უნდა იქნეს ერთიანად. განძელების შესყიდვა უნდა განხორციელდეს სპეციალური შეფუთვების გაუხსნელად. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებულია შეიტანოს ბე 1000 ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: **სს თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835, საანგარიშსწორებო ანგარიში 34700347, საიდენტიფიკაციო ნომერი 245383678.**

განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 23 ივნისის ჩათვლით. მონაწილეთა წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 26 ივნისს 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი მონაცემები:

■ განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს ქონების დასახელება და მონაწილის თანხმობა საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
■ მონაწილის წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში დალუქული სახით;
■ ბეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
■ პირადობის მოწმობის მონაცემები;
■ ნოტარიალური წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
■ იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს ( ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წესდების ასლი)

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება. განაცხადების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, ტელ. +995 (222) 7 62 60, 7 49 14, საკონკურსო კომისია DEG

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული კონკურსის შესწორება

3 ივნისს გაზეთ "24 საათში" სკონტეინერო ტერმინალის მოწყობის მიზნით შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "სადგურ თბილისი-სატვირთოს" საკონტეინერო მოედნის (19305 კვ.მ მიწის ფართების და მასზე განლაგებული ტექნიკური საშუალებები) დროებით სარგებლობაში იჯარით გაცემის თაობაზე გამოქვეყნებული საკონკურსო პირობების შესწორება.

■ **განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 3 ივნისიდან 2006 წლის 22 ივნისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**Ǩონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო -** 2006 წლის 23 ივნისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ 7 ივნისის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობის 2006 წლის პროგრამის" "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის" ფარგლებში, ინსტიტუციური დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის მიზნით მომსახურების შესასყიდად გამოცხადებული ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას დაემატოს პუნქტი:

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონების ხაშურისა და საჩხერეს რაიონების 7 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| ხაშური | სოფ. გომის პჯდ რეაბილიტაცია | 138.0 |
| ხაშური | სოფ. ალის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ხაშური | სოფ. ქვიშხეთის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ხაშური | სოფ. წაღვლის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხაშური | სოფ. ხცისის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| საჩხერე | სოფ. ჭალას პჯდ რეაბილიტაცია | 133.0 |
| საჩხერე | სოფ. არგვეთას პჯდ მშენებლობა | 138.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
n საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობა;
n საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.
და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ *2006* წლის *9 ივნისიდან*, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) *10*-დან *18* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *150 (ასორმოცდაათი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია **12 000** (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით**,** სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს *2006* წლის *7 ივლისის*, *12* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს *12:00* საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***შიდა ქართლის რეგიონის ქარელის რაიონის 7 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| ქარელი | სოფ. ბრეთის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ქარელი | სოფ. რუისის პჯდ რეაბილიტაცია | 184.0 |
| ქარელი | სოფ. აგარას პჯდ მშენებლობა | 194.0 |
| ქარელი | სოფ. ბრეძას პჯდ რეაბილიტაცია | 132.0 |
| ქარელი | სოფ. დირბის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ქარელი | სოფ. აბისის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ქარელი | სოფ. ზღუდერის პჯდ მშენებლობა | 70.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
n საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობა;
n საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.
და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ *2006* წლის *9 ივნისიდან*, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) *10*-დან *18* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *150 (ასორმოცდაათი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია **13 000** (ცამეტი ათასი) ლარის ოდენობით**,** სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს *2006* წლის *7 ივლისის*, *15* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს *15:00* საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# სამოქალაქო რეესტრის სააგენტო აცხადებს ტენდერს საოფისე ავეჯის შესყიდვაზე

**ქ. თბილისი, ვანის ქ.N4**

| | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაგიდა | ცალი | 227 | მოთხოვნის შესაბამისად, თბილისში და რეგიონებში | მოთხოვნის შესაბამისად. |
| 2 | კარადა | ცალი | 210 | „------------------" | „------------------" |
| 3 | კარტოთეკის კარადა | ცალი | 60 | „------------------" | „------------------" |
| 4 | რბილი სავარძელი (გორგოლაჭებით) | ცალი | 317 | „------------------" | „------------------" |
| 5 | სკამი | ცალი | 140 | „------------------" | „------------------" |
| 6 | სამზარეულოს მაგიდა სკამებით | კომპლექტი | 15 | „------------------" | „------------------" |
| 7 | ტუმბო | ცალი | 46 | „------------------" | „------------------" |
| 8 | დახლი | ცალი | 89 | „------------------" | „------------------" |
| 9 | სკამები მოსაცდელი დარბაზისათვის | ცალი | 28X3 | „------------------" | „------------------" |
| 10 | კაბინეტის კომპლექტი | კომპლექტი | 3 | „------------------" | „------------------" |
| 11 | კარადა (სტელაჟი) | ცალი | 28 | ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №8 | „------------------" |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **არა უგვიანეს 2006 წ. 30 ივნისის 18 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), ვანის ქ. N4, II სართული, შესყიდვების სამსახურის ოთახში ტელ. 34-07-01.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;
2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა დაცვით.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, ვანის ქ.N4

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება ერთდროულად, ერთი დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს. ტელ - 34-07-01, 8 (93) 31-79-30 ვანის ქ. N4,

დამატებითი ინფორმაცია:

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილწყალკანალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში **ქურდიანის (ყოფილი ჩერნიშევსკის), შავთელისა და ნიშნიანიძის ქუჩებზე წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად.**

2. შესყიდვის ობიექტებია:

**ლოტი N1:**

**ქურდიანის (ყოფილი ჩერნიშევსკის) ქუჩაზე კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები**

პროექტი ითვალისწინებს კანალიზაციის ქსელის შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). ახალი ქსელი სრულდაბა ასბო-ცემენტის მილებით,.

**ლოტი N2**

**შავთელისა და ნიშნიანიძის ქუჩებზე წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოები**

პროექტები ითვალისწინებს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). წყალსადენის ახალი ქსელი სრულდაბა ფოლადის მილებით, ხოლო კანალიზაციის - პოლიეთილენის მილებით.

3. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) და მოცულობის სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **30 ივნისის** 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები:
შპს "თბილწყალკანალი";
ს/კოდი: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **3 ივლისს** 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

8.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

8.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მოწოდების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით:
**ზურაბ ღონღაძე,**
ტელ: **487 140;**
ელ. ფოსტა: **zgongadze@Tbilisiwater.com**
ბ) საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით
**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: **99 67 82;**
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@ Tbilisiwater.com**
სატენდერო კომისია

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის", "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***2. შესასყიდი მომსახურება*** - ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი საგანმანათლებლო და საინფორმაციო ლიტერატურის გამოცემა 6 878 სტანდარტული გვერდი არანაკლებ 10 ეგზემპლარად; ხმოვანი ლიტერატურის ჩაწერა და გამოცემა 28 554 სტანდარტული გვერდი არანაკლებ 9 ეგზემპლარად; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უსინათლოთა სამკითხველო დარბაზში დაცული ხმოვანი ლიტერატურის გამრავლება არანაკლებ 9 ეგზემპლარად, უსინათლო პირთათვის გამოცემულ პროდუქციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

***3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** - 2006 წლის ივლისიდან 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დახურულ კონვერტში) სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 ივნისის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

